საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№09 (574)

17 - 23 მარტი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru




## მადლობა და საყვედური ბიძინა ივანიშვილს 20

## «ჭყონდიდი 2021» — დასასრული თუ «აღდგომის» დასაწყისი?



2

## «ეკლესია უნდა განიწმინდოს და სუფთა ფურცლიდან დაიწყოს მოღვაწეობა» 3




## კიდევ ერთი ექსპერიმენტი ქართველების თავზე 5



დიმიტრი ლორთქიფანიძე:



## დღეს კაცობრიობა განიხილება, როგორც საცდელი ბოცვერი, რომელმაც სიცოცხლის რისკის ფასად უნდა დააზღვიოს ნეგატიური შედეგები 4



## უნდობლობის სინდრომი და უძაღლო ქვეყანაში აყეფებული კატები 6-7



გურამ კაპანაძე:

## 8 დღეს ჭიათურის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკოლოგიური კატასტროფა



## 9 ადრე ვხუმრობდით, — ლობიოს ძეგლი უნდა დავუდგათ, გადაგვარჩინაო, ახლა კარტოფილის ძეგლზე უნდა ვიფიქროთ



14

## გალიის ბავშვები: ახალი ხუნვეიბინები მსოფლიო რევოლუციას მოაწყობენ



## მავნე აირების გამოყოფის ცოდვის მიტევებას ვატიკანი ინდულგენციების გაყიდვით იწყებს? 15



## აშშ-ში ძალაუფლება «ციფრულმა გიგანტებმა» ჩაიგდეს ხელში 10

ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნაცებმა საქართველოს დაქცევა-განადგურების გზაზე პირველი ნაბიჯი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გადადგეს, როდესაც ჩვენი მამა-პაპის არაერთი თაობის აღმზრდელი განათლების ქართული სისტემის მოსპობით დასავლელ „მეგობართა“ რეკომენდაციით, ყველაფერ ქართულს, ეროვნულს, ტრადიციულსა და ამ ღირებულებათა შეუპოვარ მცველს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელ კათალიკოს-პატრიარქს შეფარული ბრძოლა გამოუცხადეს.**

# «ჭყონდიდი 2021» — საქართველოს დასასრული თუ ქართველი ერის «აღდგომის» დასაწყისი?

**„თუკი ეკლესია დუმს და ერიდება სახელმწიფოსთან კონფლიქტს. თუკი მიტროპოლიტებიც დუმან, მონაზვნები არაფერს ამბობენ, მაშინ ვინღა ილაპარაკოს?“**

*წმინდა პაისი მთაწმინდელი (ათონელი)*

**სანამ პუბლიცისტიკის ანბანას ვსწავლობდი, ლიტერატურულ წრეებში ამ საქმის უპირობოდ მიჩნეულ ავტორიტეტთაგან ხშირად მსმენია, ნებისმიერი წერილის მიმზიდველი, შინაარსის შესაბამისი, თვალში საცემი სათაური, ნაშრომის წარმატების ნახევარიაო?! ვინაიდან არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემ მიერ შერჩეული სათაური ზემოხსენებულ კრიტერიუმს სრულად შეესატყვისებოდა, წინამდებარე წერილს ეპიგრაფად ბერი პაისის გამონათქვამი წავუმძღვარე.**

სათაურიდან გამომდინარე ბევრი, ალბათ, იფიქრებს, რომ წერილის მთავარი თემა მარტვილში, ჭყონდიდის ეპარქიაში, მომხდარი სამარცხვინო ინციდენტის განხილვა-ანალიზი იქნება. არა! ასეთ მოლოდინს, რომ იტყვიან, „ცივი წყალი უნდა გადავასხა“, რადგან **ის, რაც 2021 წლის 9 მარტს მოხდა, არა მხლოდ ეკლესიის, არამედ. საზოგადოდ, ქვეყნის, ანუ ერისა და ბერის სავალალო მდგომარეობის აისბერგის ხილული ნაწილია** და წერილის მთავარი თემა, გნებავთ ამოცანა, აისბერგის უხილავი ნაწილის დანახვა-გაანალიზებაა, რათა გავიგოთ, რისთვის, რატომ ვის გამო აღმოვჩნდით, რბილად რომ ვთქვათ, ყველა მმართულებით არასახარბიელო მდგომარეობაში.

ნაცებმა საქართველოს დაქცევა-განადგურების გზაზე პირველი ნაბიჯი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გადადგეს, როდესაც ჩვენი მამა-პაპის არაერთი თაობის აღმზრდელი განათლების ქართული სისტემის მოსპობით დასავლელ „მეგობართა“ რეკომენდაციით, ყველაფერ ქართულს, ეროვნულს, ტრადიციულსა და ამ ღირებულებათა შეუპოვარ მცველს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელ კათალიკოს-პატრიარქს შეფარული ბრძოლა გამოუცხადეს. შეფარული, რადგან „ნაცმოძრაობამ“ საქართველოს საბოლოოდ განადგურება ხელისუფლებაში ყოფის 9 წლის განმავლობაში, საბედნიეროდ, ვერ შეძლო, მაგრამ იგივეს ქოც-ნაცებთან ტანდემში ცდილობს. ოღონდ მთავარი ოპოზიციის სტატუსით.

აქ ერთ სკანდალურ განცხადებას გავაკეთებ. **კოვიდპანდემიის გამო ქვეყანაში, კარგა ხანია, საგანგებო ვითარება გამოცხადებული და ე.წ. კომენდატის საათი მოქმედებს** (ქოცების მრავალ ქმედებათა მსგავსად, ვერც ამ სისულელეს ვუპოვნე ახსნა — რა, საღამოს 9 საათის შემდეგ კოვიდ ვირუსი უფრო ინტენსიურად მოქმედებს და ვრცელდება, ვიდრე 9 საათამდე?) და, **როგორც მარტვილში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, საქართველოს დედაეკლესიის საპატრიარქოშიც და, შესაბამისად, ეპარქიათა მორწმუნე მრევლშიც საგანგებო ვითარებაა, რომელიც, თუ ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, აუცილებლად გამოსაცხადებელია, რათა ეკლესიის საპატრიარქოს წმინდა სინოდი, სასწრაფოდ და ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს „მეუფე ყანდურებისგან!“** თქვენი მონა-მორჩილის ეს განცხადება ისეთი ტონალობისაა, რომ წინამდებარე წერილის ფინალადაც გამოდგებოდა, მაგრამ, არც ახლა არაუშავს, რადგანაც ეპილოგისთვის უმწვავესი „აკორდი“ მაქვს ჩაფიქრებული.

„შევარდნაძის ჩაი“ ხეირიანად გაცივებულიც არ იყო, რომ „ვარდების რევოლუციადწოდებული სახელმწიფო გადატრიალების მთავარი აქტორები, სოროსის ლეკვები **გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი** წვრილფეხა ნაცლიბერასტების თანხლებით საგანგებო თათბირის ჩასატარებლად „სტუმრად“ ეწვივნენ იმხანად საქართველოს 1-ელ არხს, დღეს ე.წ. საზოგადოებრივ მაუწყებელს.

როგორც იმ თათბირის მონაწილე **ირმა ინაშვილი** (იმხანად რიგითი ჟურნალისტი, დღეს პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ გენმდივანი) იხსენებს, **„სტუმრებმა“ არხზე მომუშავე ჟურნალისტებს საქართველოს დედა-ეკლესიისა და მისი წინამძღოლის, ილია II-ის დისკრედიტაციისთვის გამიზნული „დოკუმენტური“ ფილმებისა და თოქშოუების გაკეთება დაავალეს. დამსწრეთგან ერთადერთმა ირმა ინაშვილმა დატოვა პროტესტის ნიშნად სოროსელთა თავყრილობა, თუმცა, დროებით — მცირე ხნის შემდეგ დაბრუნებულმა პატარა პერფორმანსი მოუწყო „საპატიო სტუმრებს“ — მაცხოვარის ჯვრით ხელში და „ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!“ ძახილით, აიაზმა აპკურა სატანის ნაშიერთ.** შემდეგი ნაბიჯი იყო გლდანის ეკლესიის „კრაზით“ შენგრევა, მორწმუნე მრევლის დარბევა და იეღოველების სექტასთან მებრძოლი, გლდანის ეკლესიის წინამძღვრის, **მამა ბასილის** დაპატიმრება **გიგა ბოკერიას** საამებლად (ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ერთ-ერთ ანტიიეღოვურ აქციაზე ავადსახსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტის“ მაშინდელი ლიდერი, ე.ი., თვითონაც სექტანტი, მამა ბასილის მრევლმა გვარიანად მიჟეჟა და სხვა ყველაფერთან ერთად ეს ბოლმაც ახრჩობდა). სიტყვამ მოიტანა და საპატრიარქოს მისამართით ერთი კითხვა გამიჩნდა — **რატომ და რისთვის არის ქართული ეკლესიიდან დღემდე განკვეთილი მამა ბასილ მკალავიშვილი? რა, მეუფე პეტრეს აღარ სჯობია? პეტრეს, რომელმაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შიგნიდან ააფეთქა და ახლა თავის სულიერ შვილებთან, ნაცებთან ერთად ლიბერასტული კონტრრევოლუციის მოწყობაზე ფიქრობს და მოქმედებს კიდეც.** საქართველოს ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყება ყოფილ „კმარელისა“ და უწიგნური „პროფესორის“ — თეა თუთბერიძის სახელს უკავშირდება. საზოგადოებას შევახსენებ, რომ სწორედ თეა თუთბერიძემ გამოაქვეყნა ინტერნეტსივრცეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხმყოფელი ვიდეოკლიპები, შემდეგ კი, 2009 წლის 18 ოქტომბერს, ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, თუ პრეზიდენტებზე, რომის პაპსა და სხვა საჯარო პირებზე შეიძლება უხამსი კლიპების გადაღება, რუსეთის აგენტი პატრიარქი ვინ მიგდიაო?! მანვე ფეისბუკში გააკეთა თავისი გვერდი — „მე მიყვარს ჩემი გეი-პატრიარქი“ თუ არ ჩავთვლით პრესაში გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილს, ბუდარიხა თუთბერიძეს ერის სულიერი მამის შეურაცხყოფა ხახვივით შერჩა და მას შემდეგ დაუსჯელობით გათამამებულმა სხვა ბუდარა-ბუდარიხებმაც პატრიარქისა და დედაეკლესიის ლანძღვა-გინება ჩვეულებრივ ამბად აქციეს.** თუნდაც „მწერალ“ **ზაზა ბურჭულაძის** ნათქვამი რად ღირს, როცა ამ „ხლისტმა“ უწმინდესისა და უნეტარესის ზოოპარკის გალიაში დამწყვდევა მოითხოვა ამ საჭირბოროტო თემის პულსზე ყოველთვის ედო ხელი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას. ქვემოთ ქრონოლოგიურად შემოგთავაზებთ სტატიების მხოლოდ სათაურებს, ზოგჯერ მცირე კომენტარით, რათა დავინახოთ, როგორ ნელნელა, ნაბიჯ- ნაბიჯ მივდიოდით საშინელ მკრეხელობამდე...

*** „მეუფე ყანდური”** — 2012 წლის სექტემბერი. სტატია, რომელშიც ვერაგობაში ვამხილე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი **მეუფე გრიგოლი**, მეუფე პეტრეს “ძმა და პირის ზიარება”, ერისკაცობაში **გურამ ბერბიჭაშვილი**, სხვათა შორის, ჩემი თანაკლასელი, რომელსაც, თეა თუთბერიძის „ბუდარიხობისა“ არ იყოს, მეტსახელად „ყანდური“ მიენება — საავტორო უფლების დარღვევისთვის ფინანსურ კომპენსაციას არ ვითხოვ, უბრალოდ, მინდა იცოდეთ რომ ორივე „კლიჩკა“ ჩემი დამკვიდრებულია ქართულ მედიაში. თუმცა რატომ ორი, როცა „ხლისტიბიც“ ჩემია ისევე, როგორც „ლიბერასტები“. ეს სატრაბახოდ კი არა, ისე, ცნობისათვის.

*** „გადამწყვეტი შეტევა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე“,** 2015 წლის 21 ოქტომბერი;

*** „პიდორ-ხლისტები ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ“,** 2015 წლის 19 აგვისტო...

*** „გვყავს ჭყონდიდელი, არ გვყავს დავითი“,** 2016 წლის 10 თებერვალი...

*** „როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურები სიკვდილს პატრიარქისა“,** 2017 წლის 31 იანვარი — სტატია, რომელშიც ე.წ. ციანიდის სკანდალამდე ყანდურობაში ვამხილე რიგი მაღალი იერარქიის სასულიერო პირები:

**1. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი დიმიტრი — პატრიარქის ძმისშვილი და, მიუხედავად ამისა, ლიბერალი;**

**2. ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტი გრიგოლი;**

**3. ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე;**

**4. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი;**

**5. ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი კალისტრატე.**

ეს მიტროპოლიტები ლიბერალები არიან (მეტ-ნაკლებად), პატრიარქის კვერთხის დაუფლების მეტ-ნაკლები შანსით, მაგრამ ყოველგვარი მეტ-ნაკლებობის გარეშე ყველა მიშარასტია...

*** „ნეოლიბერალთა ორკესტრირებული შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე“,** 2019.

ბოლო სტატიაში გამოვეხმაურე ე.წ. ევროკომისიის ყოველწლიურ ანგარიშს, რომელშიც ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს კათალიკოს პატრიარქი დადანაშაულებულია სიძულვილის ენით საუბარში მხოლოდ იმიტომ რომ უწმინდისმა ლგბტ ლონისძიებებს ქართველი ერის შეურაცხყოფა უწოდა, ხოლო ჰომოსექსუალიზმს ავადმყოფობა. რადგან ქართველების უმრავლესობისთვის საქართველო პატრიარქია, ხოლო პატრიარქი — საქართველო, ევროკომისიის დასკვნა, უწინარესად, ქართველი ერის შეურაცხყოფაა, რაზეც ქოც-ნაცთა ხელისუფლებასა და მათ ტელევიზიებს კრინტიც არ დაუძრავთ — ეგება ყოველდღიური საზრუნავით დაკავებულ ქართველ საზოგადოებას ვერაფერი გაეგო, მაგრამ... როდესაც 2019 წლის 13 აპრილს ე.წ. „დაიცავი საქართველო“-ს ყრილობაზე ღონისძიების წამყვანმა და საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორმა **დავით მაღრაძემ** სიტყვით გამოსვლის თხოვნაზე უარი მტკიცა, ჯერ ვაცალე პოეტს დასავლელი „მეგობრების“ საამებლად ყრილობის იგლისურ ენაზე (?) გახსნა და შემდეგ სწორედ ევროკომისიის დასკვნით და დიდი ჭაბუას ავტოგრაფით „შეიარაღებული“, ძალით ავიჭერი ფილარმონიის სცენაზე და საზოგადოებას ვაუწყე ქოცნაცთა ხელისუფლების ცვედანობის შესახებ. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია დარბაზში და „დაიცავი საქართველოს“ ლიდერებმა მიკროფონი გამომირთეს, მაგრამ გვიანღა, რადგან სათქმელი უკვე ნათქვამი იყო. ეს ყველაფერი სატრაბახოდ კი არა, წერილის თავში ხსნებული ბოლო „აკორდისათვის“. ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი და უპირველესი ვაზირი (დღევანდელი მნიშვნელობით, პრემიერმინისტრი) **დავით აღმაშენებლის** აღმზრდელი, **გიორგი ჭყონდიდელი** იყო და, რადგან გვყავს ჭყონდიდელი (უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე), მაგრამ არა გვყავს დავითი, ისევ **ბერი პაისი** მინდა ვახსენო. რადგან ქვეყანა თავზე გვენგრევა, მაგრამ ერი მაინც დუმს, ბერმა არა მხოლოდ უნდა ილაპარაკოს, არამედ საქმეც უნდა აკეთოს იმ პრინციპით კი არა, რომლითაც ბოლო 30 წელიწადია, ვცხოვრობთ —მარჯვენა ყბაში თუ მოგდეს, მარცხენა მიუშვირეო, არამედ პირიქით, მარცხენაში თუ მოგდეს მარჯვენაში ისეთი თხლიშე, რომ შუა ბაზარი კოჯორი ეგონოს! ყარაჩოღელი გიჟუას პოლიტიკით რომ არ ვცხოვრობთ, იმიტომაც დავკარგეთ სოხუმცხინვალი და აჰა, ჩვენი ისტორიული მტრები, უკვე გარეჯის წმინდა ლავრას გვედავებიან. სად არის გამოსავალი? ჩემი აზრით, **საქართველოში უნდა ჩავატაროთ პლებისციტის მსგავსი ფარული გამოკითხვა, რომლის შედეგებიდან გამომდინარე, გამოვლინდება პატიოსანი ღვთისმსახურნი, შემდეგ სასულიერო პირებისა და ერისკაცებისგან შეიქმნას ორგანიზაცია, რომელსაც გარკვეული ვადით გადაეცემა აღმასრულებელი ხელისუფლება.**

ყველა პეტრეს მსგავსი ნაბიჭვარი ხომ არ ზის წმინდა სინოდში?!

**დავით მხეიძე**



**როგორც მარტვილში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, საქართველოს დედაეკლესიის საპატრიარქოშიც და, შესაბამისად, ეპარქიათა მორწმუნე მრევლშიც საგანგებო ვითარებაა, რომელიც, თუ ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, აუცილებლად გამოსაცხადებელია, რათა ეკლესიის საპატრიარქოს წმინდა სინოდი, სასწრაფოდ და ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს «მეუფე ყანდურებისგან!»**

**„შეიძლება, საქართველო დამოუკიდებლად ჩაითვალოს, როცა ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდვნის? ვერ დაგისჯია კრიმინალები, ქვეყნის მოღალატენი, რომლებიც პარლამენტის შენობის წინ კარვებში არიან გამაგრებულნი. ხელს ახლებ, ოკეანისგაღმიდან თითს დაგიქნევენ, სამართალდამცავებს ხელს წაუთაქებენ კისერში და ეტყვიან, ეს დემოკრატიააო. საინტერესოა, თავიანთ ქვეყნებში ასეთი თავაშვებულების ქმედებებს როგორ უპასუხებენ“.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ხელისუფალმა ეკლესიასთან თანხმობით, დავითის მსგავსად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოიწვიოს საეკლესიო კრება, რათა ეკლესია განიწმიდოს და სუფთა ფურცლიდან დაიწყოს მოღვაწეობა

**მარტვილში, ჭყონდიდის ეპარქიაში, პეტრე ცაავას პირადი „მრევლისა“ და მისი მხარდამჭერი მედიასაშუალებების მიერ სასულიერო პირების წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია, როცა რამდენიმე ადამიანი დაშავდა, საზოგადოებაში კვლავ აქტიური განხილვის საგანია. სოციალურ ქსელებში (და არა მხოლოდ) წერენ, რომ აღნიშნული ფაქტით ანტიეკლესიურმა ძალებმა, პრაქტიკულად, პრეცედენტი შექმნეს. მეტიც, ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ მომავალში მსგავსი პროვოკაციები გახშირდება და როგორც საპატრიარქოზე, ისე ცალკეულ სასულიერო პირებზე შეტევები კიდევ უფრო გამწვავდება. გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი), რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ფიზიკური დევნა საკუთარ თავზე მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად გამოსცადა.**

**— მამაო, უწინარესად, მინდა, ჭყონდიდის ეპარქიაში განვითარებულ მოვლენებზე გკითხოთ. ამ დღეებში საზოგადოებამ უმძიმესი კადრები იხილა — რამდენიმე ადამიანი, ჟურნალისტებთან ერთად, მიუვარდა მეუფეს და ლანძღვა-გინებით კარს უმტვრევდა. როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი. ამინ!

რა თქმა უნდა, მეტად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ **ეს გამოძახილია გულგრილი დამოკიდებულებისა საპატრიარქოსგან იმ მტკივნეული პროცესების მიმართ, რომლებიც წარსულში ხდებოდა...** აღსანიშნავია ისიც, რომ **სააკაშვილის** მმართველობის პერიოდში ჰარმონიული დამოკიდებულება იყო საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის, უფრო მეტიც, **საქართველოს მოღალატე სააკაშვილს სახელოვან პრეზიდენტად მოიხსენიებდნენ და დიდ დავით აღმაშენებელს ადარებდნენ. იმ დავითს, რომელმაც რუის-ურბნისის კრების მოწვევით გაწმიდა ეკლესია ქვაბ-ავაზაკთაგან და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა.** ჭყონდიდის ეპარქიაში რაც **მოხდა, გამოძახილია ეკლესიის წიაღში ჩანერგილი სააკაშვილის მომხრე მაღალიერარქთა ძირგამომთხრელი ქმედებისა, რომლებმაც გახლიჩეს ეკლესია...**

ჩემო ქართველო ერო, დღეს ჩვენს ქვეყანას უმძიმესი დღეები უდგას, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდით. **საქართველოს შავი ღრუბელივით კვლავ თავს დასტრიალებს თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის, თენგიზ სიგუას მსგავსი სახელმწიფო გადამტრიალებლები, რომლებსაც მართავს სატანური სექტის ლიდერი სააკაშვილი,** დღეს ამ დილემის წინაშე აღმოვჩნდით იქიდან გამომდინარე, რომ 1991-92 წლებში არ დაისაჯნენ 1991-92 წლების სახელმწიფოს გადატრიალების მომწყობნი. **შეიძლება, საქართველო დამოუკიდებლად ჩაითვალოს, როცა ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდვნის? ვერ დაგისჯია კრიმინალები, ქვეყნის მოღალატენი, რომლებიც პარლამენტის შენობის წინ კარვებში არიან გამაგრებულნი. ხელს ახლებ, ოკეანისგაღმიდან თითს დაგიქნევენ, სამართალდამცავებს ხელს წაუთაქებენ კისერში და ეტყვიან, ეს დემოკრატიააო. საინტერესოა, თავიანთ ქვეყნებში ასეთი თავაშვებულების ქმედებებს როგორ უპასუხებენ,** თუმცა ფაქტია: კაპიტოლიუმზე იერიშის მიტანისთვის ასეულობით პირი დააპატიმრეს. ჩვენთან კი, გონებადაბნელებული ოპოზიციის ხედვით, მათი მომხრე ყველა კრიმინალი და ბოროტმოქმედი პოლიტპატიმარია...

**— მარტვილის ინციდენტის შემდეგ საპატრიარქომ არაერთი განცხადება გაავრცელა. ითქვა, რომ ამით ეკლესიის მტრებმა შექმნეს სასულიერო პირებზე ფიზიკური ძალადობის პრეცედენტი... მოდი, გავიხსენოთ წარსული. პირველი სასტიკი პრეცედენტი სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა შექმნა თქვენი დაკავებით, როცა ეკლესიის კარი სამხედრო ტექნიკით შეანგრია... ხომ არ ფიქრობთ, რომ ის, რაც დღეს ხდება ერთგვარი გაგრძელებაა 17 წლის წინანდელი პროცესებისა?**

— გეთანხმებით, ეკლესიის მტრებმა ძალადობის პრეცედენტი შექმნეს. რაც შეეხება 17 წლის წინანდელ მოვლენებს, რა თქმა უნდა, მეტად მძიმე გასახსენებელია ჩემთვის 2004 წლის 12 მარტი, როცა სააკაშვილის რეჟიმმა გაუგონარი ძალადობა ჩაიდინა. წარმოიდგინეთ, დილის 7 საათზე განხორციელდა თავდასხმა ეკლესიაზე და ღამენათევ მრევლს, მათ შორის ხანდაზმულ ქალებს, სასტიკად გაუსწორდა 3000-მდე სპეცრაზმელი, სპეციალურ ფორმებში გადაცმულ „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებთან ერთად. სხვათა შორის, მაშინ იმ უმოწყალო რბევაში მონაწილეობდა ამჟამად მსახიობი, ყოფილი პოლიციელი **დავით როსტომაშვილი,** ოპერაციას კი ხელმძღვანელობდნენ **გია ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გოგი თავთუხაშვილი,** რომლებსაც არაერთი ბოროტება აქვთ ჩადენილი. სწორედ ეს იყო ძალადობრივი შეტევა ეკლესიაზე და ეს ყველაფერი ბოლოს ჩემი დაკავებით დასრულდა კიდევ ათ ადამიანთან ერთად. გეკითხებით — მაშინ არ იყო თანადგომა საჭირო? მაშინ არ უნდა ყოფილიყო გამოხმაურება? არა, მაშინ დუმდა ერი და ბერი... როცა ეს ხდებოდა და ბევრი ვერ ჭვრეტდა მოსალოდნელ უბედურებას, მრევლთან ერთად დავადექი ქრისტეს ეკლიან გზას, **დავიდგი საკმაოდ მძიმე ჯვარი, რის გამოც ენით აუწერელი დევნა-შევიწროება გამოვიარე. დღეს უკან მიხედვის არ მეშინია. თამამად გავუსწორებ თვალს „მე“-ს, შემდეგ — ჩემს ტანჯულ ერს, ჩემს მართლმადიდებლებს, და ბოლოს უფალსა და ყოვლადწმიდა დედას. სწორედ ამ რწმენითა და იმედით ვებრძოდით მსოფლიო მასონურ მანქანას, სოროსის დაჯგუფებას, იმ კონგრესმენებს, რომლებიც უტევდნენ ქრისტეს სჯულს...**

**— გასაგებია, რომ ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის წინა პლანზე დგანან გარკვეული მედიასაშუალებები, კონკრეტული ადამიანები და მათ შორის პოლიტიკოსებიც, მაგრამ ყველა ხვდება, რომ მარტო ისინი, მით უმეტეს საზოგადოების მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, ასეთი მასშტაბის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებენ. ვინ და რა ძალები შეიძლება იდგნენ მათ უკან? საიდან იღებენ ისინი ამხელა რესურსს?**

— ამაზე ნაწილობრივ უკვე გაგეცით პასუხი. რა თქმა უნდა, მათ ზურგს უმაგრებენ ბნელი ძალები მზაკვარი **სოროსისა** და მისი დაჯგუფების სახით, რომელთა უმთავრესი მიზანია, ამოძირკვონ და გაანადგურონ ყოველივე ტრადიციული და ქართველებმა, როგორც თვითმყოფადმა ერმა, არ იარსებონ, რადგან მათი მთავარი დამაბრკოლებელი ძალა მართლმადიდებლობაა. თქვენ წარმოგიდგენიათ, ესენი ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, რა მოხდება?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ერთმანეთს ძალლებივით დაესევიან. **სააკაშვილს, მელიას, ბურჯანაძეს, გიორგი ვაშაძეს, ნათელაშვილს** პრემიერის სავარძელი მოუნდებათ. პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლისთვის **დავით უსუფაშვილი, დავით ბაქრაძე, ირმა ინაშვილი** და **გიგა ბოკერია** ერთმანეთს შეეცილებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას **ბარამიძე** მოისურვებს, რათა ვერტმფრენებიდან კვლავ განაგრძოს რაკეტების დაშენა საქართველოს მოსახლეობისთვის და ეკლესიების დარბევა, ხოლო ისინი, ვისაც სავარძლები არ შეხვდებათ, განსაკუთრებით ჭიჭყინა, ავყია ქალები: **ბოკუჩავა, სამადაშვილი, ხოშტარია, დეკანოიძე,** ისეთ ამბავს ატეხენ, **ნინო ბურჯანაძე** მოგონილი იქნება...

**— გამოსავალს ხედავთ?**

— მოვიშველიებ დიდი ილიას სიტყვებს: **„ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პილიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“.** ამით ყოველივე ახსნილია. პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ხელისუფლებას, ასევე ეკლესიას. ხელისუფალმა ეკლესიასთან თანხმობით, დავითის მსგავსად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოიწვიოს საეკლესიო კრება, რათა ეკლესია განიწმიდოს და ახალი ფურცლით დაიწყოს მოღვაწეობა. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ **მეტად რთულ პირობებში ერგო ირაკლი ღარიბაშვილს სახელმწიფოს მართვა. მას უფალი მეტად სერიოზულ გამოცდას უტარებს. თუ დაინახავს ხელისუფლების თანადგომას, ერი მის გვერდით დადგება, ღმერთს მინდობილი ადამიანი ყოველივეს შეძლებს.** თანამემამულენო, ჩვენი ქვეყნის ბედი სასწორზე იწონება. ინტელიგენციის საღ ნაწილთან, ერის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დავადგეთ უფლის ვიწრო გზას და ღვთის შემწეობით ვიხსნათ საქართველო, გადავარჩინოთ ჩვენი სულები!

## «ჭყონდიდის ეპარქიაში რაც მოხდა, ეკლესიის წიაღში ჩანერგილი სააკაშვილის მომხრე მაღალიერარქთა ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოძახილია»

## «საპატრიარქოში შექმნილ ქაოსს, იმედია, ახალი პატრიარქი მიხედავს. ილია II მოხუცია და ვერ აკონტროლებს პროცესებს. ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, ერთი აზრი არ სუფევს. ახალი პატრიარქი საღი გონებით, მიზანმიმართულად, სარწმუნოების საკეთილდღეოდ წარმართავს მოვლენებს. გარწმუნებთ, ბნელი ძალები ვერაფერს გახდებიან, რადგან მართლმადიდებლობა საქართველოში ის უძლიერესი ბასტიონია, რომელსაც ვერავინ შეარყევს»

**— საზოგადოების დიდი ნაწილი დილემის წინაშეა — გაიკეთოს თუ არა ვაქცინა, რომელმაც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამოიწვია გარკვეული უკუშედეგი. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— თვალყურს ვადევნებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ვაქცინასა და ვაქცინაციასთან. ძნელი გასარკვევია, ესა თუ ის პრეპარატი რომელი ნივთიერებით არის დამზადებული, მაგრამ ფაქტია: ვაქცინით აცრამ ბევრ ქვეყანაში უარყოფითი თანამდევი მოვლენები გამოიწვია და ადამიანთა გარდაცვალებით დასრულდა. გაურკვეველია, როგორი ხარისხის ვაქცინა შემოიტანეს საქართველოში. საზოგადოება გაორებულია, ვერ გადაუწყვეტია, რა გააკეთოს. კვლავ ვიმეორებ, ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია არჩევანში. დრო გვიჩვენებს, ვის რა მიზანი ამოძრავებს — ადამიანების დახმარება თუ მათი სიცოცხლის ფასად ხელის მოთბობა. ყოველივე მედიცინის მუშაკებმა უნდა გადაწყვიტონ და ხალხი არ გაიმეტონ.

**— მამაო, თქვენი აზრით, როგორ წარიმართება მოვლენები, როგორც მთავრობაში, ასევე საპატრიარქოში?**

— ვიმედოვნებ, ღმერთი არ დაუშვებს საქართველოში კიდევ ერთ სახელმწიფო გადატრიალებას. **გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ სამართლიანად ვისჯებით: სასიკვდილოდ გავიმეტეთ საქართველოს ღვთივკურთხეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მართლმადიდებლობის დამცველი აკადემიკოსი გურამ შარაძე, რომელიც დავხვრიტეთ. მათი მკვლელები არ გაგვისამართლებია და ამის გამო ვისჯებით. რაც შეეხება საპატრიარქოში შექმნილ ქაოსს, იმედია, ახალი პატრიარქი მიხედავს და დაასრულებს. ილია II მოხუცია და ვერ აკონტროლებს პროცესებს. ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, ერთი აზრი არ სუფევს. ახალი პატრიარქი საღი გონებით, მიზანმიმართულად, სარწმუნოების საკეთილდღეოდ წარმართავს მოვლენებს. გარწმუნებთ, ბნელი ძალები ვერაფერს გახდებიან, რადგან მართლმადიდებლობა საქართველოში ის უძლიერესი ბასტიონია, რომელსაც ვერავინ შეარყევს.**

კარვების ბინადართ შევახსენებ: უაზრო, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ პლაკატებს რომ აფრიალებენ, დიდი ილიას სიტყვები წაიკითხონ, იქნებ მაშინ ჩახვდნენ თავიანთი ქმედების აზრს და გონს მოეგონ: **„საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯუარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ 15 საუკუნეა გულში ჯვრითა და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა...“.**

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გვეუბნებიან, რომ ვაქცინაცია არის ნებაყოფლობითი და არავის არაფერს აძალებენ, კოვიდპასპორტის არსებობა ხომ არ ნიშნავს, რომ მთელ რიგ სამოქალაქო უფლებებში იზღუდები, თუ არ ხარ აცრილი და არ გაქვს კოვიდვაქცინის დამადასტურებელი ცნობა?!**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# დღეს კაცობრიობა განიხილება, როგორც საცდელი ბოცვერი, რომელმაც სიცოცხლის რისკის ფასად უნდა დააზღვიოს ნეგატიური შედეგები

**15 მარტს საქართველოში კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ახალი და ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუცდელი „ასტრაზენეკათი" მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია დაიწყო. პროცესს ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული 82 სამედიცინო დაწესებულება და ათასობით მედპერსონალი ემსახურება.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებით, ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ საქართველო ეპიდემიასთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზეა, ეს კი წინგადადგმული ნაბიჯია: „ასე გამოიყურება სინათლე გვირაბის ბოლოს! გმადლობთ, ჩვენო საერთაშორისო პარტნიორებო, რომლებმაც ეს შესაძლებელი გახადეთ," — ასე ემოციურად გამოეხმაურა პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** პრეპარატის პირველი პარტიის შემოსვლას ქვეყანაში, ჯანდაცვის მინისტრმა **ეკატერინა ტიკარაძემ** კი ყურადღება გაამახვილა მედპერსონალის ვაქცინაციაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითია. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის, განცხადებით, თითოეულ აცრილ ადამიანს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან მიეცემა „ორენოვანი ცნობა, რომ ის აიცრა ამა და ამ ვაქცინით ამა და ამ დღეს".

**ცნობისთვის:** მსოფლიოში ახალი კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით უკვე 345 მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა. იყო შემთხვევები, როცა ვაქცინაციის შემდეგ ადამიანი გარდაიცვალა (მაგალითად, ნორვეგიაში 20-მდე ასეთი შემთხვევა აღირიცხა, სიკვდილის შემთხვევები იყო ავსტრიასა და იტალიაშიც). რაც შეეხება საქართველოს, ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, მოსახლეობას არწმუნებს, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითია, თუმცა უცნობია, შეექმნებათ თუ არა აცრაზე უარისმთქმელ მოქალაქეებს (იგივე მედიკოსებს) პრობლემა სამსახურში და ა.შ.

**რა საფრთხეებს შეიცავს დღეს სრულად გამოუცდელი პრეპარატით საქართველოს მოსახლეობის ვაქცინაცია, რამდენად არის ეს პროცესი ნებაყოფლობითი და რისთვის გაიცემა სინამდვილეში აცრის დამადასტურებელი ცნობები? „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, საქართველოში, უკვე ორი დღეა, მიმდინარეობს ვაქცინაცია კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო პრეპარატ „ასტრაზენეკათი", რომელიც ევროპის რიგ ქვეყნებში საეჭვო შედეგების გამო დაბლოკეს. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ ეს პროცესი ნებაყოფლობითია, თუმცა, რას გულისხმობენ ისინი ნებაყოფლობით ვაქცინაციაში და შეექმნებათ თუ არა აცრაზე უარისმთქმელ მოქალაქეებს სამსახურებში პრობლემა, გაურკვეველია. აცრილ ადამიანებს სპეციალურ დამადასტურებელ ცნობებს აძლევენ. რა საფრთხეებს შეიძლება, შეიცავდეს ჩვენთვის ეს ყველაფერი?**

— სანამ კონკრეტულ ასპექტებზე ვილაპარაკებ, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ვაქცინაციის შედეგებთან, პირველ რიგში გეტყვით, რომ კაცმა არ იცის, რა გაიკეთეს **მარინა ენდელაძემ** და **პაატა იმნაძემ**, რომლებმაც სამედიცინო პუნქტებიდან გამოსვლის შემდეგ ტელევიზიებით გვაუწყეს, რომ ჩაიტარეს ვაქცინაცია და ამაში საფრთხის შემცველი არაფერი არ არის. ეს ერთი. მეორე — ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მოქალაქისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია და ყურადსაღები ის, რომ „ასტრაზენეკას" ვაქცინაზე საქართველოს საპატრიარქოში **მეუფე იოანეს (გამრეკელი)** მიერ გაკეთდა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ წმინდა სინოდმა იმსჯელა ამ საკითხზე. და როგორც ირკვევა, ეს პრეპარატი დაფუძნებულია აბორტის მსხვერპლი ემბრიონის გენეტიკურ მასალაზე და მისაღებია თუ არა ნებისმიერი ქრისტიანისთვის პრეპარატი, რომელიც დამზადებულია მუცლად მყოფი ძალადობის მსხვერპლი ადამიანის გენეტიკური მასალისგან, ყველამ თვითონ განსაჯოს.

რაც შეეხება სხვა ასპექტებს, რომლებიც, საზოგადად, ვაქცინაციას უკავშირდება, მოგეხსენებათ, არსებობს სხვადასხვა ტიპის ვაქცინა სხვადასხვა შემცველობით და მახასიათებლებით. მაგალითად, არის ვექტორული ტიპის პრეპარატი, როგორიც არის რუსული წარმოების „სპუტნიკ V", რომელიც ძალიან ბევრი ქვეყნისთვისაა მისაღები. სხვათა შორის, მასზე მოთხოვნა იზრდება არა მხოლოდ ცენტრალურ ევროპაში, არამედ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც, მაგალითად, აზერბაიჯანმა გადაწყვიტა, მოსახლეობა აცრას სწორედ ამ პრეპარატით. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მას არ ესაჭიროება ე.წ. ცივი ჯაჭვი და, ამასთანავე, როგორც ვიცით, მეორე აცრის აუცილებლობაც არ არსებობს. აი, ეს არის ის უპირატესობები, რომლებიც მას გააჩნია სხვა პრეპარატებთან შედარებით, მაგრამ რატომ დაიწუნა ის ჩვენმა ხელმძღვანელობამ, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია...

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერს, შესაძლოა, საფუძვლად პოლიტიკური სარჩული ედოს?**

— თუ ამ ყველაფერს საფუძვლად პოლიტიკური სარჩული უდევს და, როგორც ჩანს, ეს ვარაუდი რეალობას მოკლებული ნამდვილად არ არის, მაშინ ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: რატომ არ ახდენს გავლენას იგივე სარჩული და გარემოება იმაზე, რომ, მაგალითად, ხორბლის იმპორტში, პრაქტიკულად, ასი პროცენტით რუსეთზე ვართ დამოკიდებული? რაც შეეხება ისევ ვაქცინას და ვაქცინაციას, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი დიდი ამერიკული კომპანია „მოდერნას " მიმართ მსოფლიოში გამოითქვა სერიოზული ეჭვი ამ კომპანიის კომპეტენტურობაზე. „მოდერნა" არასდროს ყოფილა დაკავებული ვაქცინების წარმოებით და ასეთ ხანმოკლე პერიოდში გადაწყობა ამ ტიპის ფარმაკოლოგიური პროდუქციის გამოშვებაზე, ბუნებრივია, სკეპტიციზმის საფუძველს აჩენს.

**— დავუბრუნდეთ „ასტრაზენეკას", ევროპის რიგ ქვეყნებში ამ ვაქცინის გამოყენებას საკმაოდ საეჭო შედეგები მოჰყვა — აცრის შემდეგ იყო გარდაცვალების შემთხვევები. როგორ ფიქრობთ, მაინცდამაინც ეს ვაქცინა რატომ შემოიტანეს საქართველოში? ჯანდაცვის სამინისტროში ამ შეკითხვაზე პასუხობენ, რომ „ვაქცინა მაღალი ხარისხისაა".**

— **რეალობა არის ასეთი: „ასტრაზენეკა" არის პრეპარატი, რომელმაც არათუ საეჭო შედეგები მოიტანა, ევროპის რიგ ქვეყნებში მისი გამოყენება შეაჩერეს. მაგალითად, ავსტრიამ ერთ-ერთი პარტია საერთოდ ამოიღო ვაქცინაციის პროგრამიდან. ეს არის სერია ABD 0053... ისე, სხვათა შორის, საინტერესოა, ჩვენთან შემოტანილი პარტია ის ხომ არ არის, რომელიც ავსტრიამ ამოიღო და ხომ არ ხდება გარკვეული ელიტური კორუფცია?! ვფიქრობ, ეს შესამოწმებელია.** ახლა მეორე ასპექტი, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია: გვეუბნებიან, რომ ვაქცინაცია არის ნებაყოფლობითი და არავის არაფერს აძალებენ, კოვიდპასპორტის არსებობა, ხომ არ ნიშნავს, რომ მთელ რიგ სამოქალაქო უფლებებში იზღუდები, თუ არ ხარ აცრილი და არ გაქვს კოვიდვაქცინის დამადასტურებელი ცნობა?!

**— ფიქრობთ, რომ მოსახლეობაზე გარკვეული წნეხი იქნება?**

— რა თქმა უნდა, ზემოქმედების ინსტრუმენტები გამონახული იქნება და ამას, ალბათ, მალე დავინახავთ. კონკრეტულად ეს გამოიხატება იმაში, რომ, მაგალითად, **ვერ აიღებ ბილეთს საერთაშორისო ავიარეისზე. შესაბამისად, ავიამიმოსვლით ვერ ისარგებლებ და თავისთავად უკვე შეიზღუდები. მე, რა თქმა უნდა, არ მინდა, რომ ვინმემ უსაფუძვლო ანტივაქცინურ დიალოგში დაგვადანაშაულოს, ჩემი მიზანი ანტივაქცინური პროპაგანდა ნამდვილად არ არის და არც ვეწევი ამას, ამიტომ მოვიყვან იმ ფაქტებს, რომლებიც ჩემთვის ცნობილია.** ცნობილი ალერგოლოგი, ბატონი **ბიძინა კულუმბეგოვი** აცხადებს, რომ „ფაიზერის" საგამოცდო მესამე ფაზა უნდა გაგრძელებულიყო ერთ წელს, რეალურად კი გაგრძელდა მხოლოდ ორ თვეს. ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს კაცობრიობა განიხილება, როგორც ერთგვარი საცდელი ბოცვერი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უნდა დააზღვიოს ნეგატიური შედეგები, რაც ჩემთვის წარმოუდგენელია. ეს ლახავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების ფუძემდებლურ პრინციპებს. ამიტომ, თუ ჩვენ დღეს არჩევანსა და ნებაყოფლობითობაზე ვსაუბრობთ, მაშინ **უნდა გავარჩიოთ ემბრიონის, აბორტის მსხვერპლის გენეტიკურ მასალაზე დაფუძნებული ვაქცინა ისეთი ტიპის ვექტორული ვაქცინისგან, რომელზეც დასაწყისში ვისაუბრეთ... დღეს ასეთია დაახლოებით შვიდი ვაქცინა, მათ შორის ირანული, ჩინური და აგერ უკვე რუსებმაც დაარეგისტრირეს...**

**— დასაწყისში თქვით, რომ ვაქცინაციის პროცესში მოსახლეობაზე შეიძლება ამოქმედდეს იძულების გარკვეული ინსტრუმენტები. თუ ეს მართლა მოხდება, როგორ ფიქრობთ, რა გზა დარჩებათ მოქალაქეებს, რა უნდა გააკეთოს, მაგალითად, მორწმუნე ადამიანმა, რომლის მრწამსსაც ეწინააღმდეგება გარკვეული ტიპის პრეპარატით აცრა?**

— წინასწარ ამაზე რთულია კონკრეტული საუბარი, ამიტომ დაველოდოთ მოვლენებს, თუმცა ნებაყოფლობითობა, რომელზეც ჯანდაცვის უწყების წარმომადგენლები გამუდმებით საუბრობენ, ასევე უნდა შეეხოს მედპერსონალსაც, იმიტომ, რომ უამრავი მედიკოსია მორწმუნე და ბევრი მათგანისთვისაც შეიძლება იყოს დამაფიქრებელი ის გარემოებები, რომლებიც გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს. რა თქმა უნდა, მედიცინის მუშაკებსაც უნდა ჰქონდეთ უფლება, გაიკეთონ ან არ გაიკეთონ ვაქცინა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, დაველოდოთ მოვლენებს...

**— 14 მარტს ქუთაისში გამართულ მრავალათასიან აქციაზეც შეგეკითხებით. უკვე მეორედ ვნახეთ უზარმაზარი ნაკადი ხალხისა, რომელიც უკვე უკანდახევას არ აპირებს, თუმცა ხელისუფლება, რომელიც თურქულ კომპანიას გაურიგდა, ამ ყველაფერს თითქოს არ იმჩნევს. როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება ეს აქციები?**

— ქუთაისში ვიმყოფებოდი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და მინდა, გითხრათ, რომ **ასეთი ერთსულოვნება, ასეთი ერთიანობა სრულიად ერის და საზოგადოების, როგორც ნამოხვანჰესის საკითხზეა, დიდი ხანია, არ მინახავს. რა თქმა უნდა, აქციის გაგრძელების სრული საფუძველი არსებობს, თუკი ხელისუფლება არ გაითვალისწინებს საზოგადოების კანონიერ მოთხოვნებს.** რაც შეეხება კონკრეტულად ნამოხვანჰესს და თურქულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, **ხელისუფლებამ უცხოურ ორგანიზაციას მიჰყიდა, პრაქტიკულად, მთელი ხეობა, ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავს, და ეს მომავალი თაობების სახელით ქვეყნის რესურსების განიავების მოღალატეობრივი პოლიტიკაა.** ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით და სხვათა შორის, ამ ყველაფერში ნათლად იკვეთება ელიტური კორუფციის ნიშნებიც. ამას, რა თქმა უნდა, მთელი ერი აღუდგება წინ და ამას ჩვენ ძალიან მალე ვნახავთ; მით უფრო, რომ ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, **ეს, პირველ რიგში, არის წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობა, ვინაიდან ეს დანაშაულებრივი ხელშეკრულება გაფორმდა სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში** და ამ დოკუმენტმა გამოიარა ექვსი სხვადასხვა პრემიერის ხელში. დრო მოვა და ისინი ამ ყველაფრისთვის პასუხს აგებენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ასტრაზენეკა» არის პრეპარატი, რომელმაც არათუ საეჭო შედეგები მოიტანა, ევროპის რიგ ქვეყნებში მისი გამოყენება შეაჩერეს. მაგალითად, ავსტრიამ ერთ-ერთი პარტია საერთოდ ამოიღო ვაქცინაციის პროგრამიდან. ეს არის სერია ABD 0053... ისე, სხვათა შორის, საინტერესოა, ჩვენთან შემოტანილი პარტია ის ხომ არ არის, რომელიც ავსტრიამ ამოიღო და ხომ არ ხდება გარკვეული ელიტური კორუფცია... ხელისუფლებამ უცხოურ ორგანიზაციას მიჰყიდა, პრაქტიკულად, მთელი ხეობა, ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავს, და ეს მომავალი თაობების სახელით ქვეყნის რესუსრების განიავების მოღალატეობრივი პოლიტიკაა»**

**„ასეთი ერთსულოვნება, ასეთი ერთიანობა, სრულიად ერისა და საზოგადოების, როგორც ნამოხვანჰესის საკითხზეა, დიდი ხანია, არ მინახავს. რა თქმა უნდა, აქციის გაგრძელების სრული საფუძველი არსებობს, თუკი ხელისუფლება არ გაითვალისწინებს საზოგადოების კანონიერ მოთხოვნებს"**

**იტყვიან, რომ რუსეთი მტერია, მტერთან კი მოლაპარაკებებს არანაირ საკითხზე არ ვაწარმოებთ. მერე რა, რომ იგივე საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მხარდამჭერები არიან?! ეს მათ ხელს არ უშლის, ვაქცინა იყიდონ და მოსახლეობა აცრან, მით უმეტეს იტალიაში, სადაც გარდაცვლილთა ოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა. მათ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა სიკვდილისგან უნდა იხსნან, ჩვენ კი...**

ტრაგედია და სტატისტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კიდევ ერთი ექსპერიმენტი ქართველების თავზე

**როგორც იქნა, გვაღირსეს და ვაქცინის პირველი პარტია საქართველოშიც შემოვიდა. გვაღირსეს იმიტომ, რომ ევროპელმა მომწოდებლებმა ხელისუფლება რამდენჯერმე მოატყუეს, ხელისუფლებამ — ჩვენ და ვიყავით ასე, ერთმანეთის მოტყუებაში. სიმართლე რომ ვთქვათ, მტყუან-მართლის გარკვევა ახლაც ძნელია და, რაც ყველაზე საინტერესოა, იმის გარკვევაც შეუძლებელია, შემოტანილი ვაქცინები კარგია თუ არა.**



**ჩვენ ამაყად დავეცემით ბრძოლის ველზე და თანაც ისე, რომ ახლობლებს რიგიანად დატირების შესაძლებლობაც არ ექნებათ. სამაგიეროდ, დასავლეთი იქნება კმაყოფილი, რუსულ ეკონომიკას ქართული ფული რომ არ შეემატება და მერე რა, რომ რუსული ფულით ქართული ეკონომიკა, ათეული წლებია, სუნთქავს. აკი გითხარით, ერთეულების სიკვდილია ტრაგედია, თორემ საქართველოს 3600-ზე მეტი გარდაცვლილი მოქალაქე, უბრალოდ, სტატისტიკაა**

საქმე ის არის, რომ, როცა ვაქცინის პირველი პარტია საქართველოსკენ დაიძრა, ევროპის რამდენიმე ქვეყანამ კონკრეტულად ამ ვაქცინებით („ასტრაზენეკა“) აცრა შეაჩერა, აქაოდა, რაღაც უკუჩვენებები აღმოაჩნდა, ჯერ ისინი უნდა შევისწავლოთო. დავაკონრეტებთ — **ამ ქვეყნებს აღნიშნული ვაქცინა არ აუკრძალავთ, მაგრამ დროებით შეაჩერეს. ეჭვი გვაქვს, უკუჩვენებების შესასწავლად ჩვენც დაგვაკვირდებიან, შეისწავლიან, ქართველებზე როგორ იმოქმედებს და, თუ არ მოეწონებათ, აკრძალავენ. უკვე მერამდენედ ვართ საცდელი ბოცვრების როლში, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია — ვაქცინაციასაც კი საცდელი სახე აქვს.**

ეს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენეს ოპოზიციურმა ტელევიზიებმა და ჯერ ხომ ხელისუფლებას აბრალებდნენ ყველა გარდაცვლილს, ვინც კი „კოვიდით“ დაიღუპა, ახლა ამ ექვსი ქვეყნის მიერ გამოცხადებულ შეჩერებას იხვევენ ხელზე და მოსახლეობას მოუწოდებენ, აცრებზე უარი თქვან. რეალურად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ეს ვაქცინა აღიარებულია და, საქართველოს გარდა, ვაქცინაცია ასამდე ქვეყანაში სწორედ ამ პრეპარატით ხორციელდება. ადრეც დავწერეთ და ახლაც გავიმეორებთ — ნებისმიერ ვაქცინას, რომელიც ბაზარზეა, აუცილებლად ექნება უკუჩვენება, რადგან მის შესასწავლად დრო, უბრალოდ, არ იყო. წამალი მთლიანად რომ შეისწავლონ და შემდეგ მასზე ლიცენზია გაიცეს, 4-5 წელია გამოსაცდელი ვადა — აკვირდებიან ადამიანებს, სწავლობენ უმნიშვნელო უკუჩვენებასაც კი. ახლა კი, 4-5 წელი კი არა, **ერთი წელიც არ გასულა და საყოველთაო აცრები დაიწყო. გამოსაცდელი დრო არავის ჰქონია, 4-5 წლის შემდეგ მომაკვდინებელი ვირუსი ნახევარ მსოფლიოს გაანადგურებდა და გარისკეს.** მართალია, გარისკეს ადამიანების სიცოცხლით, მაგრამ სხვა გზა რეალურად არსად ჩანდა. ახლა კი ტელევიზიები ყველა გარდაცვლილს სახელმწიფოს „ტენიან“ და, როგორც **თენგიზ ცერცვაძემ** თქვა, ახლა მათ მხოლოდ ორი კი არა, გაცილებით მეტი გვამი სურთ. **საქართველოსთვის არახალია ის, რომ კონკრეტული პირების ძალაუფლებისკენ სწრაფვა ან მისი შენარჩუნება ადამიანების სიცოცხლეზე გადის. ჩვენ, რიგითი ადამიანები, სტატისტების როლში ვართ და ერთეულების სიკვდილი თუ ტრაგედიაა, მასების გარდაცვალება — სტატისტიკა.** ასე იყო, მაგალითად, მაშინ, როცა ნაციონალების ზეობის პერიოდში, ციხეებში ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ადამიანი კვდებოდა, ეს სტატისტიკა იყო, ხოლო, როცა შარშან ციხეებში 17 პატიმარი გარდაიცვალა, ტრაგედიაა.

სხვათა შორის, ევროპის ყველა ქვეყანაში, სადაც ვაქცინაცია მიმდინარეობს, არის ე.წ. კომერციული ვაქცინები. ანუ, სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიას აქვს უფლება, სახელმწიფოს მიერ შესყიდული ვაქცინების გარდა, სხვა ვაქცინა შეიტანოს და მოსახლეობას არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდეს. რაც მთავარია, ფარმაცევტულ კომპანიებს არანაირი შეზღუდვა არ აქვთ, მათ შეუძლიათ შეიტანონ ნებისმიერი ვაქცინა, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის აღიარებული. შესაბამისად, ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებთან, ცოტა ძვირს იხდიან, ცოტა ძვირად ყიდიან, მაგრამ მოსახლეობისთვის რამდენიმე სახის ვაქცინაა ხელმისაწვდომი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ** განაცხადა, რომ საქართველოც მისცემს უფლებას ფარმაცევტულ კომპანიებს, ვაქცინა შემოიტანონ და გაყიდონ, თუმცა რაღაც დეტალებია დასაზუსტებელიო. ძაღლის თავიც სწორედ ამ „რაღაც დეტალებში“ მარხია. დღეს ყველაზე იაფი ჩინური ვაქცინაა. სამწუხაროდ, **როგორც ყველაფერ ჩინურს, ვაქცინასაც მსოფლიო ეჭვის თვალით უყურებს და არცთუ უსაფუძვლოდ. ამიტომ დიდია იმის შანსი, რომ საქართველო ამ იაფი ჩინური ვაქცინით გაჯერდეს. ეს მაშინ, როცა ევროპულ ვაქცინებთან შედარებით, გაცილებით იაფია რუსული ვაქცინა.** სამი სახეობის ვაქცინა, რომლებსაც რუსეთი აწარმოებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის აღიარებული, მაგრამ **ისე ჩანს, ჩვენთან რუსული ვაქცინების შემოტანა აიკრძალება. რატომ? რუსეთი ხომ მტერია და მერე რა, მისგან პურის გამოსაცხობად საჭირო ხორბლის ას პროცენტს რომ ვყიდულობთ?! ვაქცინა არ უნდა შევიძინოთ. ეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება არ არის, ამას დასავლელი პარტნიორები ითხოვენ. ევროპა და ამერიკა შეშფოთებას არ მალავენ, რომ რუსეთის ეკონომიკა ვაქცინების გაყიდვის შედეგად გაიზარდა და ამ წლების განმავლობაში დაწესებული სანქციებით მიყენებული ზიანის კომპენსაცია შეძლო.** ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც რუსულ ვაქცინას შეიძენს, რუსეთის ეკონომიკის ზრდაში საკუთარ წვლილს შეიტანს, ამიტომაც **ევროპა და ამერიკა მაქსიმალურად ცდილობენ, ასეთი ქვეყნების რიცხვი რაც შეიძლება მცირე იყოს. მერე რა, თუ, მაგალითად, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი რუსულ ვაქცინაზე უარს არ ამბობენ?! სხვებმა არ უნდა იყიდონ. არაფერს ვამბობთ ევროპის ე.წ. მეორე რანგის ქვეყნებზე, რომლებიც თამამად აფორმებენ ხელშეკრულებას რუსეთთან და აგერ, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, სერბეთი, პრაქტიკულად, ასი პროცენტით სწორედ რუსულ ვაქცინას იყენებენ.** ჯერჯერობით ხმამაღლა არ თქმულა, მაგრამ, როგორც გვეუბნებიან, გადაწყვეტილება მიღებულია და საქართველოში რუსული ვაქცინის შემოტანა აიკრძალება.

მეორე მხრივ, საინტერესოა სტატისტიკა, რომელიც საქართველოსა და უკვე ვაქცინაციადაწყებულ ქვეყნებს შორის არის. შესადარებლად **ბრიტანეთი, ისრაელი** და აშშ ავიღოთ. ეს სამი ქვეყანა იმიტომ, რომ ისრაელში მოსახლეობის ლამის ასი პროცენტი აიცრა, ბრიტანეთს საკუთარი ვაქცინა აქვს და აცრებს უწყვეტად ახორციელებს, ხოლო შტატებში ყოველდღიურად მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე მეტი ადამიანი იცრება. 2 მარტს, საქართველოში „კოვიდ-19“-ით 12 ავადმყოფი გარდაიცვალა (3 ინფიცირებული ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე), ბრიტანეთში — 343 ინფიცირებული (5 ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე), აშშ-ში — 1989 (6 ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე), ისრაელში — 30 (3 ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე). იმავე 2 მარტს საქართველოში აღირიცხა „კოვიდ-19“-ის 461 ახალი შემთხვევა (115 ახალი შემთხვევა ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე), ისრაელში — 5050 (583 ახალი შემთხვევა ყოველ 1 მილიონ მოსახლეზე), აშშ-ში – 56 890 ახალი შემთხვევა (172 ახალი შემთხვევა 1 მილიონ მოსახლეზე). გამოდის, რომ **საქართველო ვაქცინის არქონის პირობებშიც კი ახერხებს წარმატებით მართოს პანდემია, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ვაქცინის გარეშე ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება.** ეს სტატისტიკური მონაცემები იმიტომ გაგაცანით, რომ მკაცრმა შეზღუდვებმა შედეგი კი გამოიღო, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ეკონომიკა, უბრალოდ, განადგურდა და მის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება. სამწუხაროდ, რეგულაციების შემცირების შემდეგ აშკარად ჩანს, რომ **მოსახლეობამ ყურადღება მოადუნა და, სოციალური დისტანცია კი არა, უკვე ნიღბის ტარებაც „ტეხავს“.** ამიტომ ეჭვი გვაქვს, კვლავ მოიმატებს შემთხვევები და გამოსავალი სწორედ ვაქცინაციაა. **ამირან გამყრელიძემ** თქვა, **წლის ბოლომდე საქართველოს მოსახლეობის ნახევარი — 1,7 მილიონი ადამიანი აიცრებაო. წლის ბოლომდე 9 თვეა დარჩენილი, გამოდის, მომდევნო ცხრა თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის ნახევარი კვლავ ვაქცინის გარეშე იქნება და ამის მიუხედავად, რუსულ ვაქცინაზე უარს ვამბობთ. სამაგიეროდ, წინსვლა გვექნება — თუ აქამდე საქართველოს მოსახლეობით ვრისკავდით, ახლა ნახევარი მოსახლეობით გავრისკავთ და პროგრესია, რას ერჩით?!**

ხელისუფლებას, ალბათ, არგუმენტი არ ექნება, რატომ ვამბობთ რუსულ ვაქცინაზე უარს. არ შეიძლება საწინააღმდეგო არგუმენტი გქონდეს იმ წამალზე, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა. ხმამაღლა ვერც იმას იტყვიან, დასავლელი პარტნიორები არ გვაძლევენ უფლებასო. ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობაში ისედაც შერყეული დასავლეთის იმიჯი ისე შეჯანჯღარდება, შეიძლება, საერთოდ, დაინგრეს. უბრალოდ, **კიდევ ერთხელ იტყვიან, რომ რუსეთი მტერია, მტერთან კი მოლაპარაკებებს არანაირ საკითხზე არ ვაწარმოებთ. მერე რა, რომ იგივე საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მხარდამჭერები არიან?! ეს მათ ხელს არ უშლის, ვაქცინა იყიდონ და მოსახლეობა აცრან. მით უმეტეს იტალიაში, სადაც გარდაცვლილთა ოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა.** ახლა რევერანსებისა და პოლიტიკური თამაშების დრო არ არის, მათ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა სიკვდილისგან უნდა იხსნან, ჩვენ კი... **ჩვენ ამაყად დავეცემით ბრძოლის ველზე და თანაც ისე, რომ ახლობლებს რიგიანად დატირების შესაძლებლობაც არ ექნებათ. სამაგიეროდ, დასავლეთი იქნება კმაყოფილი, რუსულ ეკონომიკას ქართული ფული რომ არ შეემატება და მერე რა, რომ რუსული ფულით ქართული ეკონომიკა, ათეული წლებია, სუნთქავს. აკი გითხარით, ერთეულების სიკვდილია ტრაგედია, თორემ საქართველოს 3600-ზე მეტი გარდაცვლილი მოქალაქე, უბრალოდ, სტატისტიკაა.**

**ისე ჩანს, ჩვენთან რუსული ვაქცინების შემოტანა აიკრძალება. რატომ? რუსეთი ხომ მტერია და მერე რა, მისგან პურის გამოსაცხობად საჭირო ხორბლის ას პროცენტს რომ ვყიდულობთ, ვაქცინა არ უნდა შევიძინოთ. ეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება არ არის, ამას დასავლელი პარტნიორები ითხოვენ. ევროპა და ამერიკა შეშფოთებას არ მალავენ, რომ რუსეთის ეკონომიკა ვაქცინების გაყიდვის შედეგად გაიზარდა და ამ წლების განმავლობაში დაწესებული სანქციებით მიყენებული ზიანის კომპენსაცია შეძლო**

**ბესო ბარბაქაძე**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეცდომათა აღიარებისა და დამღუპველი კურსიდან გადახვევის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის ის ნარჩენი მაინც გადავარჩინოთ, რომელიც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, სუნთქავს და არსებობს, კურსის უცვლელობის შემთხვევაში კი კატასტროფა გარდაუვალია.**



# უნდობლობის სინდრომი და უძალლო ქვეყანაში აყეფებული კატები

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მერვე გამოშვება

**„საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების ყველაზე უტყუარი გზა ისაა, რომ იშვიათად სცადო ეს“.**
*ჯორჯ ვაშინგტონი*

— მე არ ავიცრები! — კატეგორიული ხასიათის ამგვარი განცხადება ხშირად გვესმის ჩვენ ირგვლივ. მაშინ, როდესაც მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს, რომელიც საფრთხეს უქმნის თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობას, ეს კატეგორიული მიუღებლობა აცრისა, რით უნდა აიხსნას? **თუკი არსებობს ვაქცინა, რომელიც დაგვაზღვევს ამ საშინელი ვირუსისგან, რატომ აცხადებენ უარს ადამიანები აცრაზე?** პირველი, რაც ამ შეკითხვის პასუხად შეიძლება ითქვას, არის ის, რომ **ადამიანებმა მთელ მსოფლიოში ნდობა დაკარგეს. ნდობა არა კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების (ამ შემთხვევაში, ვაქცინის) მიმართ, არამედ — ერთმანეთის მიმართ, მსოფლიოში არსებული წესების მიმართ, ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკის მიმართ, კანონების მიმართ, სახელმწიფოს მიმართ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ და ა.შ.**

ნდობა დადებითი წარმოდგენებისა და განწყობების ერთობლიობაა ვინმეს ან რამეს მიმართ. რაც უფრო დიდია ნდობის ფაქტორი ადამიანში, მით მაღალია მისი შინაგანი კომფორტი და სიმშვიდის განცდა. და პირიქით — რაც უფრო ნაკლებია ადამიანში ნდობის ფაქტორი, ე.ი., რაც უფრო ნაკლებად ენდობა იგი ადამიანებს, გარე სამყაროს, მოქმედ სისტემებს, სახელმწიფოს, მით დაბალია მისი შინაგანი კომფორტი და მაღალია შფოთვისა და სულიერი განგაშის დონე. პრინციპულად განსხვავებულია ადამიანების მიმართ ნდობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ან მთლიანად სახელმწიფოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბების მექანიზმები და ფაქტორები, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ორივე უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იაპონური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი **ფრენსის ფუკუიამა** წიგნში „ნდობა: სოციალური კეთილისმყოფელები და გზა აყვავებისაკენ“ განხილულია ნდობის განსხვავებული დონეები სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოდელების მქონე სახელმწიფოებში (რუსეთი, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ჩინეთი, ჩრდილოეთი კორეა და სხვ.). ავტორი განიხილავს ამ ქვეყნებში დანერგილ მართვის მოდელებს, ნდობის განსხვავებულ დონეებს, აღზრდის ოჯახურ ტრადიციებს, ღია რელიგიებისა და ჩაკეტილი სექტების როლს და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ციფრებსა და ლოგიკაზე დაფუძნებულ მთლიან სისტემად ერთიანდება. **ამ სისტემების ანალიზს ავტორი მიჰყავს დასკვნამდე, რომ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ნდობის ფაქტორი უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება.**

არ მინდა, რომ წინამდებარე წერილი სამეცნიერო ნაშრომს დაემსგავსოს, რომლის გამოც ნდობის ფაქტორზე, როგორც ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფენომენზე ზოგადი მსჯელობისას ამ შესავლით შემოვიფარგლები და საკითხს, რომლის შესახებაც მინდა ვისაუბრო, ასე ჩამოვაყალიბებ: **ჩვენი ეპოქის ერთი მთავარი მახასიათებელი არის ნდობის საშინელი დეფიციტი საზოგადოდ. ადამიანებს შორის ნდობის ფაქტორი, მეტ-ნაკლებად, ჯერ კიდევ თუ მოქმედებს, სახელმწიფოსა და ინსტიტუციათა მიმართ ნდობა თითქმის ნულის დონეზეა დაცემული.** ცხადია, ეს მაჩვენებელი ყველგან ერთნაირი არ არის, მაგრამ უნდობლობის გაღრმავების ტენდენცია ყველგან არსებობს. **კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ის შესანიშნავად გამოხატავს საზოგადოების უნდობლობის მასშტაბებს, როგორც სახელმწიფოების, ასევე სამედიცინო წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.**

მთავარი შეკითხვა, რომელიც უნდა დავსვათ, არის შემდეგი: **რა იწვევს ამ უნდობლობას?** ამ შეკითხვაზე პასუხი, ალბათ, იმ სიბრტყეშია საძებნი, რომ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს. **რა შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ სახელმწიფო, რომელსაც ხალხი ქმნის, არათუ არ გამოხატავდეს ხალხის ინტერესებს, არამედ უპირისპირდებოდეს კიდეც მას? ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფო, რომელიც ხალხის სახელით მოქმედებს, უზურპირე-**



**ბულია ერთი რომელიღაც კლასის მიერ. ეს ის გაბატონებული კლასია, რომელიც ხელში იგდებს სიმდიდრეს, კაპიტალს, ძალაუფლებას და მოქმედებს საკუთარი კლასის სასარგებლოდ და ხალხის საზიანოდ. მონათმფლობელობის პირობებში ეს მონათმფლობელთა კლასია, ფეოდალიზმის პირობებში — მიწის მფლობელები, ანუ ფეოდალები, ხოლო კაპიტალიზმის პირობებში კაპიტალის მფლობელები, ანუ კაპიტალისტები.** ეს ის სისტემებია, რომლებშიც მშრომელი ადამიანი ოფიციალურად (კანონმდებლობით) არის ექსპლოატაციის ობიექტი, რომელშიც ოფიციალურად მოქმედებს ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრის ნებადართული წესი, მოქმედებს კონკურენციის წესი, რომელშიც ეკონომიკა ორიენტირებულია არა ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, არამედ ზედმეტი ღირებულების შექმნასა და მოგების მიღებაზე, რომელშიც სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ვითომ ხალხის ინტერესების დაცვის სამსახურში დგას, სინამდვილეში იმ სისტემის ინტერესების დაცვას ემსახურება, რომელიც საკუთარი არსით ხალხთან დაპირისპირებულია. მართალია, **კაპიტალისტურ სახელმწიფოებში წარმოუდგენლად ბევრს გაჰყვირიან დემოკრატიაზე, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, მაგრამ იქ, სადაც ერთმანეთის გვერდით (ლეგალურად, კონსტიტუციურად) არსებობენ მილიარდერები და ღატაკები, დემოკრატია მხოლოდ ილუზიაა, მხოლოდ ფორმაა, რომელიც შინაარსს არ შეესაბამება.** ასეთ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და სისტემის მიმართ ხალხის ნდობა ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალიან მცირეა. ხალხი მუდმივად იმას ფიქრობს, რომ ნებისმიერი მასობრივი აქციის მიზანი მოგება იქნება, რომელიც შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი მიზანშეწონილად და დასაშვებად ჩაითვალოს, თუნდაც ხალხისთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. **ხალხმა იცის, რომ სისტემაში, სადაც მას არსებობა უწევს, მოგება ყველაფერზე მაღლა დგას — ხალხზე, მორალზე, სამართალზე. მოგება თვით რწმენასა და რელიგიაზე მაღლა დგას, რადგან იგი თავად ქცეულა ლოცვად, სიყვარულად, ჭეშმარიტებად, ღმერთად...**

კორონავირუსი მსოფლიოს უტევს. ინფიცირებულია ას მილიონზე მეტი ადამიანი, გარდაცვლილია ორ მილიონზე მეტი. ამ კრიტიკულ ვითარებაში გამოჩნდა რამდენიმე ვაქცინა, რომლებიც მშველელად უნდა მოევლინონ მთელ მსოფლიოს, მაგრამ ამ ფაქტს საზოგადოება ყველგან სკეპტიციზმითა და ხაზგასმული უნდობლობით შეხვდა. ხალხს ეშინია ვაქცინაციის მძიმე თანმხლები მოვლენების, ლეტალური შედეგებისა და, რა თქმა უნდა, მასობრივი ე.წ. დაჩიპვის, რაც, როგორც მათ წარმოუდგენიათ, მთელ კაცობრიობას მუდმივი კონტროლის ქვეშ მყოფ იმ ერთიან მასად გადააქცევს, რომელსაც პირადი სივრცე აღარ დარჩება. **ბრიტანეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 86 პროცენტის აზრით, აცრებს საშინელი თანამდევი ეფექტები ექნება, რომელთა გამოც ისინი უარს აცხადებენ, აიცრან ან აცრან ბავშვები.** საფრანგეთში ჟურნალისტების მიერ ვაქცინაციის შესახებ მოქალაქეებისთვის დასმულ შეკითხვაზე უმრავლესობა პასუხობს, რომ არ აიცრება, ვინაიდან არ ენდობა არც ჯანდაცვის სისტემას, არც ვაქცინებს და, სხვათა შორის, არც მედიასაშუალებებს. გერმანიაში ხალხი მიტინგებს აწყობს და ვაქცინაციის წინააღმდეგ გამოდის. იგივე მდგომარეობაა ნიუიორკსა და აშშ-ის სხვა დიდ ქალაქებში. გავლენიანი Fox News-ის წამყვანი **ტაკერ კარლსონი** კი ხალხს ეუბნება, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შეიძლება მასობრივი სოციალური კონტროლის მექანიზმად იქცეს. **სად და რაშია საფუძველი ხალხის უნდობლობისა და ამგვარი ისტერიული რეაქციისა?** მკვლევარები განსხვავებულ მიზეზებს ასახელებენ: მასობრივი დეპრესია, ჩვეული კომფორტის ზონიდან უეცარი გამოსვლა, ხვალინდელი დღის წინაშე შიში და სხვა, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, **ეს არის კაპიტალისტური ცხოვრების წესი, რომელიც თრგუნავს და რწმენას აცლის საზოგადოებას, უფრო კონკრეტულად კი ესაა მედიცინისა და ფარმაციის კომერციალიზაცია, რომელიც ბურჟუაზიული სისტემის მიერ საზოგადოების წინაშე ჩადენილი საუკუნის დანაშაულია.** სოციალისტურ ჩინეთში ვაქცინის შემუშავება მოხდა გამოცდილ სახელმწიფო ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში. საინტერესოა, რომ კაპიტალისტურ რუსეთშიც კი, ვაქცინაზე მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობდნენ. **რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა** და სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციის შემდეგ სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ფორსირებულად გადავიდა კერძო საკუთრებაში, ეპიდემიოლოგია, ვირუსოლოგია და ფარმაცია დღემდე სახელმწიფოს ხელშია. დასავლეთში კი ვაქცინას კერძო სტრუქტურები აწარმოებენ. ესენი ერთობ საეჭვო რეპუტაციის გიგანტური ტრანსნაციონალური ფარმაკომპანიებია, რომლებსაც სკანდალური ისტორიების გრძელი შლეიფი „ამშვენებთ“. მაგალითად, **კომპანია Pfizer-ი გასული საუკუნის 90-იან წლებში ეჭვმიტანილი იყო ნიგერიაში საკუთარი ახალი ანტიბიოტიკის არალეგალურ ტესტირებაში, რასაც რამდენიმე მცირეწლოვანის გარდაცვალება მოჰყვა. ნიგერიის მთავრობამ კორპორაციის წინააღმდეგ 6, 9 მილიარდ დოლარზე სარჩელი შეიტანა, რამაც კომპანიის რეპუტაცია შეარყია. 2015-16 წლებში ამერიკელების მიერ Pfizer-ის წინააღმდეგ ასობით სარჩელი იქნა შეტანილი მათ მიერ გამოშვებული ანტიდეპრესანტის თანმხლები ეფექტის გამო. 2019 წელს კომპანიას ბრალი წაუყენეს მისი ერთ-ერთი** ▶

**ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი სამშობლო ტერიტორიულად დაიშალა, ეკონომიკურად, სოციალურად, დემოგრაფიულად, მორალურად განადგურდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფუძიდან აიყარა, ხალხს იმედი გადაეწურა და ქვეყანაში სასოწარკვეთილებამ დაისადგურა. სად არიან სტრატეგიული პარტნიორები? რაში გამოიხატა მათი დახმარება? რით უშველეს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ ჩვენს სამშობლოს? იქნებ იმ უზარმაზარი ვალებით, ყულფივით რომ ჩამოგვაცვეს ყელზე და, რომლის მომსახურებასაც ვეღარ ავუდივართ?**

**კომპანია PFIZER-ი გასული საუკუნის 90-იან წლებში ექვემიტანილი იყო ნიგერიაში საკუთარი ახალი ანტიბიოტიკის არალეგალურ ტესტირებაში, რომელსაც რამდენიმე მცირეწლოვანის გარდაცვალება მოჰყვა. ნიგერიის მთავრობამ კორპორაციის წინააღმდეგ 6, 9 მილიარდ დოლარზე სარჩელი შეიტანა, რამაც კომპანიის რეპუტაცია შეარყია. 2015-16 წლებში ამერიკელების მიერ PFIZER-ის წინააღმდეგ ასობით სარჩელი იქნა შეტანილი, მათ მიერ გამოშვებული ანტიდეპრესანტის თანმხლები ეფექტის გამო.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო არ არის მზად არც ოთხკუთხივ და არც ერთკუთხივ ომისთვის, არანაირი რესურსი არ აქვს საამისოდ, მაგრამ არის სხვა რესურსი, ისტორიულად აპრობირებული და დრო-ჟამისგან გამოცდილი. ესაა ნამდვილ, ბუნებრივ მოკავშირესთან მისვლა, პოზიციების დაზუსტება, ინტერესთა შეჯერება და ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთია ასეთი მოკავშირე. სხვა მოკავშირე საქართველოს არც წარსულში ჰყოლია და არც მომავალში ეყოლება







ფრენსის ფუკუიამა

**პრეპარატის კანცეროგენური ზემოქმედების გამო,** რაც, როგორც ბრალდების ტექსტში იყო ნათქვამი, ხელს უწყობდა ორგანიზმში კიბოს უჯრედების წარმოქმნას. როდესაც ჯანდაცვისა და ფარმაციის სფერო ვიღაცისთვის მოგებისა და გამდიდრების წყაროდ იქცევა, ეს სფეროები საფრთხის შემცველი ხდება, ვინაიდან ისინი გამოდიან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის რეჟიმიდან და გადადიან მდიდარი კლასის გამდიდრების რეჟიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის პრიორიტეტი, ადამიანის ჯანმრთელობის ნაცვლად, სიმდიდრე და მოგება ხდება. მათ არსებობის მიზანი ეცვლებათ. ავადმყოფი (პაციენტი) კი მათთვის მიზნიდან საშუალებად იქცევა, რომლისგანაც მოგება უნდა ამოქაჩონ. **ადამიანი (საზოგადოება), რომელიც ამგვარ მიდგომას არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ხედავს და გრძნობს, ვერ იქნება ნდობით გამსჭვალული იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც მას (ადამიანს) არა უმაღლეს ღირებულებად, არამედ თავიანთი მერკანტილური მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავენ.**

ხელისუფლების მიმართ ნდობის ფაქტორს ორი საყრდენი აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორსაფეხურიანია. პირველი საფეხური ზოგადი ხასიათისაა, მეორე — კონკრეტული. პირველი საფეხური ნიშნავს ნდობას იმ იდეოლოგიის (ისტორიული მიმართულების) მიმართ, რომელიც ამა თუ იმ ხელისუფლებას აქვს გაცხადებული, მეორე კი — ნდობას პერსონალიებისა და ავტორიტეტების მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე იმ გაცხადებული იდეოლოგიის კონკრეტულ შემსრულებლებლად გვევლინებიან. **შეიძლება, საზოგადოება ნდობას უცხადებდეს ზოგად მიმართულებას, მაგრამ ნაკლებად ენდობოდეს კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე სახელმწიფოს მართვის პულტს ხელში იღებენ. ან პირიქით, ნაკლებად ენდობოდეს ზოგად კურსს, მაგრამ კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც საჭესთან აღმოჩნდნენ, მათი პიროვნული თვისებების, მათი წარსული დამსახურებებისა თუ სხვა ფაქტორთა გამო მაინც ნდობას უცხადებდეს.** იდეალური სიტუაცია იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ენდობა როგორც ზოგად მიმართულებას (იდეოლოგიას), ასევე კონკრეტულ პიროვნებებს. **საგანგაშო მდგომარეობა კი მაშინ იქმნება, როდესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი აღარც ზოგად მიმართულებას ენდობა და აღარც კონკრეტულ შემსრულებლებს.**

ამ თვალსაზრისით რა ვითარებაა საქართველოში?

რა არის ჩვენი იდეოლოგია და ზოგადი მიმართულება? დასავლეთი, ნატო და ევროკავშირი.

**1991 წელს დაიშალა რა საბჭოთა კავშირი, საქართველომ კურსი დასავლეთისკენ აიღო და ამ გზიდან დღემდე არ გადაუხვევია. სწორია თუ არასწორია, გამართლებულია თუ გაუმართლებელია, პერსპექტიულია თუ უპერსპექტივო, საქართველო ჯიუტად ადგას გზას, რომელიც თვითონ დასავლეთის მიერ არის შემოთავაზებული და ხელში შემოჩეჩებული, მაგრამ, იმავე დასავლეთში, ჯერჯერობით ყველგან ყრუ კედელს აწყდება. ნატოს წევრობაზე უარი, ევროკავშირის წევრობაზე უარი (თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ასოცირების შესახებ არაფრისმთქმელსა და არაფრისმომცემ ხელშეკრულებას) და მხოლოდ სიმწრის ღიმილისმომგვრელი დაპირება, რომ ოდესმე აუცილებლად გავხდებით ნატოსა და ევროკავშირის წევრი, რომ ნატოს კარი ღიაა ჩვენთვის და სხვა ამგვარი ზღაპრები.**

ჩნდება შეკითხვა — ექნება ქართველ ხალხს იმ იდეოლოგიის მიმართ ნდობა, რომელიც, ოცდაათი წელიწადია, სიტყვით მასთან გვეპატიჟება, მაგრამ საქმით ხელსა გვკრავს. არც ჰოს გვეუბნება და არც არას. არც სხვაგან გვიშვებს და არც თვითონ გვიღებს? არა, რა თქმა უნდა!

ოცდაათი წელიწადი მცირე დრო ხომ არ არის, თითქმის მესამედი საუკუნეა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთვის ეს მშვიდად ლოდინის ოცდაათი წელიწადი კი არა, გამუდმებული ომებისა და მძიმე ქარტეხილების სისხლიანი და ცრემლიანი ოცდაათი წელიწადი იყო, უნდა მივხვდეთ, რომ **არც ევროპა და ამერიკა, არც ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ჩვენთვის მომავალშიც ისევე არ არიან დახმარების ხელის გამომწვდენი, როგორც აქამდე არ ყოფილან. ჰოდა, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ შეკითხვა, რომელიც მთელი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ბედისწერასავით მოგვდევს: ექნება ქართველ ხალხს იმ იდეოლოგიის მიმართ ნდობა, რომელიც ოდ მირაჟია და რეალობის ნიშანსვეტის მქონეც არ არის?** არა, რა თქმა უნდა!

ჩვენ მხოლოდ მოტყუებით როდი ვართ შეურაცხყოფილნი, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი სამშობლო ტერიტორიულად დაიშალა, ეკონომიკურად, სოციალურად, დემოგრაფიულად, მორალურად განადგურდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფუძიდან აიყარა, ხალხს იმედი გადაეწურა და ქვეყანაში სასოწარკვეთილებამ დაისადგურა. სად არიან სტრატეგიული პარტნიორები? რაში გამოიხატა მათი დახმარება? რით უშველეს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ ჩვენს სამშობლოს? იქნებ იმ უზარმაზარი ვალებით, ყულფივით რომ ჩამოგვაცვეს ყელზე და, რომლის მომსახურებასაც ვეღარ ავუდივართ? ან იქნებ იმ შეშფოთება-აღშფოთების გამომხატველი შორისდებულებით, რომელსაც ჩვენი ნებისმიერი მარცხის შემდეგ ფარისევლური თანაგრძნობით წარმოსთქვამენ ევროსაბჭოსა და ეუთოს მსგავს სალაყბო ორგანიზაციებში, აშშ-ის კონგრესისა თუ სენატის სხდომათა დარბაზებში, სტრასბურგში... ბრიუსელში... ჰოდა, **კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) ხომ არ გავიმეოროთ შეკითხვა, რომელიც საქართველოსთვის ეგზისტენციური მნიშვნელობის გამხდარა: ექნება ქართველ ხალხს იმ იდეოლოგიის მიმართ ნდობა, რომელიც თავიდან ბოლომდე პოლიტიკურ შულერობაზეა დაფუძნებული და აგებული? არა, რა თქმა უნდა! იქნება მარადიული გულუბრყვილობით შეპყრობილი ნაწილი საზოგადოებისა, იქნება დასავლეთის ასევე მარადიულ ხიბლში ჩავარდნილი ნაწილიც საზოგადოებისა, იქნებიან სხვა ჯგუფებიც, მერკანტილურ-პრაგმატული თვალსაზრისით დასავლურ წრეებს მიბმულ-მიჯაჭვულნი, მაგრამ ეს არ არის ქართველი საზოგადოება,** მით უმეტეს, ეს არ არის ქართველი ხალხი, რომელიც სასიცოცხლო ნერვით გრძნობს ტრაგიკულობას ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობისა.

*** ქართველი ხალხი განა ოდესმე შეეგუება დაკარგულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს?!**

*** ქართველი ხალხი განა ოდესმე შეეგუება დამამცირებელ თურქულ ექსპანსიას აჭარაში?!**

*** ქართველი ხალხი განა ოდესმე შეეგუება აზერბაიჯანის მკრეხელურ პრეტენზიებს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსსა და ტერიტორიებზე?!**

*** ქართველი ხალხი განა ოდესმე შეეგუება ქართულ სხეულზე უკვე აფუთფუთებული თუ მომავალში ასაფუთფუთებლად გამზადებული ათასი ჯურის უცხო თესლის მიერ ჩვენთვის ზურგში ჩასაცემად ამოწვდილ მახვილს?!**

—კი მაგრამ, რას იზამს, ოთხკუთხივ საომრად ეკვეთება მეზობელ სახელმწიფოებს? — მტრის დამცინავი ქირქილი ისე ცხადად ჩამესმის, თითქოს მართლაც ყურში ჩამძახისო.

— არა. საქართველო არ არის მზად არც ოთხკუთხივ და არც ერთკუთხივ ომისთვის, არანაირი რესურსი არ აქვს საამისოდ, მაგრამ არის სხვა რესურსი, ისტორიულად აპრობირებული და დრო-ჟამისგან გამოცდილი. ესაა ნამდვილ, ბუნებრივ მოკავშირესთან მისვლა, პოზიციების დაზუსტება, ინტერესთა შეჯერება და ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთია ასეთი მოკავშირე. სხვა მოკავშირე საქართველოს არც წარსულში ჰყოლია და არც მომავალში ეყოლება. **სასაცილოა საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნების დასავლეთის სპეცსამსახურების ლაბორატორიებში შექმნილი ლეგენდა, რადგან საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპული ოჯახის წევრი; სასაცილოა ნატოს წევრობით საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების ნატოს შტაბ-ბინაში შექმნილი მითი, რამეთუ ეს მითი თვითონ ნატომ გაგვიქარწყლა იმ თავხედური შემოთავაზებით, რომ ნატოს წევრობას მათი წესდების მეხუთე მუხლის ამოქმედების გარეშე უნდა დავთანხმდეთ.** მოკლედ, შარში ნუ გაგვხვევთო, შეიგნეთ, რომ თქვენ გამო არავისთან ომს არ ვაპირებთო. ჰოდა, აქ კიდევ ერთხელ დავსვათ ის შეკითხვა, მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად რომ აღიზიანებს უკვე: **ექნება ქართველ ხალხს იმ იდეოლოგიის მიმართ ნდობა, რომელიც ასე უპერსპექტივოა, ასე დისკრედიტებული და გაშარჟებულია? არა და არა!**

ამის შემდეგ იმ საკითხსაც შევეხოთ, შეიძლება თუ არა, რომ, მიუხედავად იდეოლოგიისა და მიმართულების მცდარობისა, ხალხი მაინც ენდობოდეს ხელისუფლებას, რადგან იქ შეუვალ ავტორიტეტებსა და ზნეკეთილ პერსონებს ხედავს? გადავავლოთ თვალი, აგერ არ არის მათი მთელი გალერეა? **ჯერ იმ პერსონებს გადავხედოთ, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ჩვენ თვალწინ იბლინძებოდნენ, მაგრამ, რომელიღაც მხრიდან მათთვის არასასურველმა ნიავმა რომ წამოუბერა, ბაბუაწვერას ბუსუსებივით მიმოიფანტნენ ჰაერში — კვირიკაშვილი, ბახტაძე, გახარია... ჯერ კიდევ გუშინ „საქართველოსთვის თავის დასადებად შემართული" რაინდები სად არიან დღეს?** ალბათ, პრემიერმინისტრობისას ნაშოვნი კაპიტალის დაბანდება-დაბინავების საშვილიშვილო საქმით იქნებიან დაკავებულნი. სად არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მარგველაშვილი**, რომლის მსგავს საპრეზიდენტო კანდიდატს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფო ინატრებსო, რომ გვიმტკიცებდა ბატონი ივანიშვილი? დასასრულ, **სად არის თვითონ ივანიშვილი? თუ მართლა გაიქცა ბრძოლის ველიდან, ახლა, როდესაც ჩიხში ვართ და გამოსავალისთვის ვერ მიგვიგნია, გაქცევა იქნებოდა? თუ არ გაქცეულა და ისე, მოსაჩვენებლად წავიდა, ანუ მოგვატყუა, ისედაც ამდენგზის მოტყუებულ-გაბითურებული ხალხის ასე გამასხარავება დასაშვებია? ამას პოლიტიკა ჰქვია? ამას საქციელი ჰქვია? სად ხედავთ აქ ავტორიტეტს? რა ნდობაზეა საუბარი? უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო, ზუსტად ის მდგომარეობა გვაქვს. ამიტომ, გვაპატიეთ, მაგრამ ვერ გენდობით!**

იდეოლოგია, რომელსაც დასავლური დემოკრატია ჰქვია, საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდა. პერსონები, რომლებიც ამ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ, დაწყებული ე.წ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებით და დამთავრებული „მოქალაქეთა კავშირის", „ნაციონალური მოძრაობის", „ქართული ოცნების" წარმომადგენლებით, ნდობას არ იმსახურებენ. ეს დასკვნა, მე პირადად, დიდი ხნის წინათ გავაკეთე, მაგრამ იგი ეროვნულ და სახალხო დონეზეა გასაკეთებელი. სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. **შეცდომათა აღიარებისა და დამღუპველი კურსიდან გადახვევის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის ის ნარჩენი მაინც გადავარჩინოთ, რომელიც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, სუნთქავს და არსებობს, კურსის უცვლელობის შემთხვევაში კი კატასტროფა გარდაუვალია.**

**ვალერი კვარაცხელია**

**P.S.** საქართველოში შემოტანილი ბრიტანული ვაქცინა „ასტრაზენეკა", მას შემდეგ, რაც ვაქცინაციით სიკვდილის შემთხვევები გამოვლინდა, ევროკავშირის მთელ რიგ სახელმწიფოებში ეჭვის ქვეშ დააყენეს. ავსტრია, დანია, ნორვეგია, ისლანდია, ესტონეთი, ლიტვა, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ლატვია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია — ასე გამოიყურება ჩამონათვალი იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც „ასტრაზენეკათი" აცრის პროცესი შეაჩერეს.

ვფიქრობ, საქართველოშიც გარკვეული პერიოდით (იქამდე, ვიდრე საკითხზე მეტი გარკვეულობა იქნება) უნდა შეჩერდეს „ასტრაზენეკათი" აცრის პროცესი.

საქართველოში რუსული ვაქცინის შემოტანაზე პოლიტიკური მოტივით ამბობენ უარს და ეს უზნეობაა. სააგენტო Reuters-ი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ევროკავშირი მზად არის რუსული ვაქცინის შესაძენად მოლაპარაკებების დასაწყებად. იტალიაში კი ერთ-ერთი უმძლავრესი ფარმაცევტული ქარხანა რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V"-ის გამოსაშვებად ემზადება.

ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა, რომელიც ყოველივე ამის ფონზე საზოგადოებრივ ნდობას უფრო და უფრო კარგავს.

ვ.კ.

ჩემიონი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ჭიათურა იყო ინტელექტუალთა ქალაქი. აქ ჩამოდიოდნენ სპეციალისტები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის და სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან“.



# გურამ კაპანაძე: დღეს ჭიათურის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკოლოგიური კატასტროფა

**ჭიათურა ბოლო პერიოდში არაერთხელ მოხვდა მოვლენების ეპიცენტრში, როცა იმართებოდა „ჭიათურმანგანუმის“ მშრომელთა აქციები ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ჭიათურელთა უკმაყოფილებას იწვევს ქალაქსა და მის შემოგარენში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაც.**
**„საქართველო და მსოფლიო“ ხშირად აქვეყნებს ისტორიებს საქართველოს უახლეს წარსულზე... ამჯერად გაზეთის სტუმარია ჭიათურელი გურამ კაპანაძე:**

— 1954 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინრის სპეციალობით. პროფილით ვიმუშავე სამი წლის განმავლობაში, შემდგომ ამირჩიეს ჭიათურის მაღაროთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ორი წლის შემდეგ გადამიყვანეს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კომკავშირის კომიტეტის მდივნად, კიდევ ორი წლის შემდეგ — კომუნისტური პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორად. 1989 წლის თებერვალში დამნიშნეს ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარედ — ჩვენს დაქვემდებარებაში იყო ჭიათურისა და საჩხერის რაიონები. 1995-დან 2010 წლამდე ვმუშაობდი გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ტყუილია, რომ საბჭოთა პერიოდში კომუნისტური პარტია არ იყო პატიოსანი ადამიანების პარტია. პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა რწმენით ემსახურებოდა სოციალიზმის იდეას და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობებს. კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის რიგებში მეც მრწამსის გამო შევედი. **მჯეროდა და დღესაც მჯერა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების პროგრესულობის, პერსპექტიულობის და დარწმუნებული ვარ მის საბოლოო გამარჯვებაში. ამ რწმენით ვემსახურებოდი სოციალიზმის სისტემას და მშრომელთა ქალაქ ჭიათურას.**

**— როგორც ვიცი, კარგად ერკვევით საბჭოთა პერიოდისდროინდელი და დღევანდელი ჭიათურის პრობლემებში...**

— დიახ, სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, გარკვეული ინფორმაცია მქონდა საბჭოთა წყობილების პერიოდში ჭიათურაში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის, კულტურის, განათლების, სპორტის, სამედიცინო სფეროს განვითარების და, საზოგადოდ, ხალხის სოციალური მდგომარეობის შესახებ. კარგად ვერკვევი ჭიათურის დღევანდელ პრობლემებშიც.

**საბჭოთა პერიოდში ქალაქ ჭიათურის მოსახლეობა იყო დაახლოებით 27 ათასი, ხოლო მთლიანად ჭიათურის ზონაში ცხოვრობდა 68 ათასი ადამიანი. ახლა მოსახლეობის ნახევარიც აღარ არის. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 10 საშუალო სკოლიდან ჭიათურაში მხოლოდ 4 სკოლაა დარჩენილი.**

სახალხო მეურნეობის დარგებიდან საბჭოთა ჭიათურაში მუშაობდა:

14 სამრეწველო საწარმო; 5 სამშენებლო ორგანიზაცია; 5 სატრანსპორტო მეურნეობა; 23 (320 ობიექტით) სავაჭრო ორგანიზაცია; 14 (127 ობიექტით) საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია; 81 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის — 2 საავადმყოფო ქალაქში 700 საწოლზე გათვლილი, 5 საავადმყოფო კი — სოფლებში, თითოეული 25 საწოლზე გათვლილი; ასევე 2 პოლიკლინიკა ქალაქში, დანარჩენი კი იყო სამედიცინო პუნქტები; 104 სასწავლო დაწესებულება; კულტურის 153 ობიექტი; 4 სპორტული ორგანიზაცია.

**— გთხოვთ, უფრო დაწვრილებით მოგვიყვეთ ჭიათურის მთავარი სამრეწველო საწარმოსა და საქართველოს მრეწველობის ფლაგმან „ჭიათურმანგანუმის“ შესახებ...**

— „ჭიათურმანგანუმი“ შედიოდა საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რის გამოც ქალაქი ჭიათურა იყო მომარაგების პირველ კატეგორიაში. ადგილობრივი ბინათმშენებლობის 80-90% ფინანსდებოდა „ჭიათურმანგანუმიდან“. მას ჰქონდა საკუთარი სოციალური ინფრასტრუქტურა საწარმოში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეებისათვის — ბაღები, სამედიცინო და კულტურული ობიექტები, ფეხბურთის მოედანი, ჰყავდა ფეხბურთის გუნდი „მაღაროელი“. საწარმოს დაფინანსებით აშენდა ფეხბურთის სტადიონი 10 000 მაყურებელზე. ცალკეულ მაღაროთა სამმართველოებს ჰქონდათ თავიანთი კულტურის სახლები. ჭიათურის აკაკი წერეთლი სახელობის თეატრის შენობა დიდი სამამულო ომის პერიოდში აშენდა, 1944 წელს. საბჭოთა ხელისუფლებამ უმძიმეს პირობებშიც კი მოიცალა და იზრუნა ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის. აღსანიშნავია, რომ ჭიათურის თეატრი 1894 წლის 11 დეკემბერს დაარსდა.

ჭიათურა იყო ინტელექტუალთა ქალაქი. აქ ჩამოდიოდნენ სპეციალისტები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. იწერებოდა სამეცნიერო ნაშრომები. იქმნებოდა და გამოცდას გადიოდა სამთო-მომპოვებელი ახალი მანქანა-მექანიზმები. საწარმოებში დასაქმებული იყო 12 000 კაცი.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჭიათურაში სხვა მნიშვნელოვანი საწარმოებიც ფუნქციობდა...**

— დიახ, ჭიათურაში, აგრეთვე, მოქმედებდა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო — მექანიკური ქარხანა, რომელიც სამხედრო დანიშნულების დეტალებსა და მექანიზმებს ამზადებდა.

ქალაქში მუშაობდა სამკერვალო ფაბრიკა, რომელშიც დასაქმებული იყო 1700 მუშა-მოსამსახურე. აღსანიშნავია მრავალპროფილიანი საქალაქო-სამრეწველო კომბინატი, რომელიც ყოველწლიურად 12 მილიონი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქციას აწარმოებდა. მუშაობდა რძის პროდუქტების მწარმოებელი ქარხანა, ხორცისა და ხორცის პროდუქტების კომბინატი, პურის ქარხანა, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა და სხვ.

**ყოველწლიურად საშუალოდ მზადდებოდა 1240 ტონა ხორცი, 1220 ტონა რძე და რძის პროდუქტები, 1250 ტონა ჩაი და სხვ.**

სამშენებლო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია მშენებლობის სამინისტროს Nმე-8 სამშენებლო ტრესტი (შედიოდა რესპუბლიკის ხუთი უმსხვილესი ტრესტის სიაში), რომელიც აერთიანებდა ექვს სამმართველოს თავიანთი ინფრასტრუქტურით. გარდა ჭიათურისა, მე-8 ტრესტი სამუშაოებს აწარმოებდა მის მოსაზღვრე 5 რაიონში. დასაქმებული ჰყავდა 6000 ადამიანი.

**ქალაქში მუშაობდა ავტოსატრანსპორტო გაერთიანება, რომელშიც შედიოდა 3 ავტოსატრანსპორტო საწარმო. დასაქმებული ჰყავდა 3000 ადამიანი. ასევე მუშაობდა ელექტროტრანსპორტის 2 ორგანიზაცია — საბაგირო გზები, ტროლეიბუსების სამმართველო.**

სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებში წლიური საქონელბრუნვა აღემატებოდა 12 მილიონ საბჭოთა მანეთს.

**— დღეს ბევრს საუბრობენ ეკოლოგიურ პრობლემებზე. ამდენი საწარმოს ერთ ქალაქში არსებობა არ ქმნიდა ეკოლოგიურ პრობლემებს? როგორი იყო ეკოლოგიური მდგომარეობა ჭიათურაში?**

— საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა ქალაქსა და მისი ზონის სოფლებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმმა“ 1970-იან წლებში ააშენა მექანიკური გამწმენდი ნაგებობა (55 მილიონი მანეთის ღირებულების), რითაც გამოირიცხა მდინარე ყვირილაში დაბინძურებული წყლის ჩადინება. საწარმოსთან არსებობდა კარიერების მიერ დაზიანებული ნიადაგების აღდგენის განყოფილება, რომელიც არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ ბიოლოგიურ აღდგენასაც კი აწარმოებდა. აღდგენილი ნიადაგები უკან უბრუნდებოდა კოლმეურნეობებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად ვარგისი სავარგულები. საბჭოთა პერიოდში აღდგენილ ნიადაგებზე გაშენებულია სოფლები ბაღ-ვენახებით.

**— რა მდგომარეობაა დღეს ჭიათურაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა წყობა დაინგრა და ქვეყანა ახალ, კაპიტალისტურ რელსებზე გადავიდა?**

— 14 სამრეწველო საწარმოდან დარჩენილია მხოლოდ ერთი, კაპიტალისტებისთვის ჩალის ფასად მიყიდული მანგანუმის წარმოება.

**6 გამამდიდრებელი ფაბრიკა, 6 მაღარო 110-120 კმ-ის სიგრძის კაპიტალური მიწისქვეშა კომუნიკაციებით, 2 ასეული ავტოტრანსპორტით, 10 ერთეული რკინიგზის თბომავლით (თითოეულის ღირებულება 4-5 მილიონი მანეთი), რამდენიმე ათეული რკინიგზის ვაგონითა და უზარმაზარი ინფრასტრუქტურით, გაიყიდა მხოლოდ 112 მილიონ დოლარად. სახელმწიფომ 112 მილიონ დოლარად გაასხვისა არა მარტო საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“, მასთან ერთად ერთ პაკეტში ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა და ვარციხეჰესიც.** ეს იგივეა, დღეს რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ქონებაში სიმბოლურ თანხას, 1 ლარს, რომ ახდევინებენ.

**— როგორ გამოსტყუა ბიზნესმა აღნიშნული საწარმოები კოლექტივს?**

— ჯერ ჩამოაყალიბეს სააქციო საზოგადოება და თითოეულ აქციონერს გადასცეს გარკვეული ღირებულების ვაუჩერები. შეჰპირდნენ, რომ საწარმოს მოგებიდან თითოეული აქციონერი მიიღებდა დივიდენდს. ბევრი გაბრიყვებული სხვა ჭიათურელიც კი, რომლებიც არ მუშაობდნენ საწარმოში, მომავალში მოგების იმედით გახდნენ „ჭიათურმანგანუმის“ აქციონერები.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო — **შეგნებულად, ხელოვნურად გააკოტრეს საწარმო და აქციონერებს განუცხადეს — თქვენი აქციები გაუფასურდა და დივიდენდებს ვერ მიიღებთ. გაკოტრებული საწარმო მიჰყიდეს უცხოელებს.** ეგრეთ წოდებულმა ინვესტორებმა მოსვლისთანავე მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 3000 კაცამდე შეამცირეს. ადამიანების ექსპლუატაციისა და ბუნების განადგურების ხარჯზე, როგორც ყველა კაპიტალისტი ინვესტორი იქცევა განვითარებად ქვეყანაში, შეუდგნენ მანგანუმის მტაცებლურ მოპოვებას. საწარმოში გადახდილი თანხები უახლოეს დროში ამოიღეს. გაყიდეს რამდენიმე კილომეტრი სიგრძის 500 მმ-იანი ლითონის მილები, რომლის საშუალებითაც ჩამდინარე წყლების გადატუმბვა ხდებოდა გამწმენდ ნაგებობამდე. სამი გამამდიდრებელი ფაბრიკა დაშალეს და ჯართად გაყიდეს. აგერ უკვე 2 ათეული წელია, დამუშავების წესების გარეშე მიმდინარეობს მანგანუმის გავრცელების ზონაში მყოფი სოფლების გადათხრა-გაპარტახება. მოსახლეობა იძულებულია, გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ მიატოვოს სოფელი და გადაიხვეწოს თბილისში ან უცხოეთში.

**სამრეწველო ორგანიზაციებთან ერთად განადგურდა ყველა სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაცია. აღარ არსებობს არც ერთი მსხვილი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაცია.**

800 საწოლის მქონე საავადმყოფოების ნაცვლად (2 ქალაქში, 5 კი სოფლად) დღეს არსებობს თაბაშირმუყაოთი გაწყობილი ერთი კერძო „ჯეოჰოსპიტალი“ 25 საწოლზე. ჭიათურიდან ავადმყოფები სხვა რაიონებში დაჰყავთ. საბჭოთა პერიოდში კოლმეურნეობების გარდა ჭიათურაში მუშაობდა სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებები. ისეთ მსხვილ საწარმოებთან, როგორიც იყო საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ და ავტოსატრანსპორტო გაერთიანება, არსებობდა სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის კომპლექსები, სასათბურე მეურნეობები. ეს მეურნეობები მოწეული პროდუქტებით თავიანთ მუშა-მოსამსახურეებს უზრუნველყოფდნენ. დღეს ეს ყველაფერი განადგურებულია.

**დღეს ჭიათურის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკოლოგიური კატასტროფა.** ასობით ჰექტარზე განადგურებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის აღდგენაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ცნობისათვის: 1 სმ სისქის ნაყოფიერი ფენის შესაქმნელად ბუნებას 1000 წელიწადი სჭირდება. ეს არის მიუტევებელი დანაშაული არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მომავალი თაობების წინაშე.

საზოგადოდ, როგორც სრულიად საქართველოში, ჭიათურაშიც მძიმე სოციალური მდგომარეობაა. ქალაქში მეზობელ რაიონებთან შედარებით ძვირია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სამშენებლო და სამრეწველო პროდუქცია.

### «ჭიათურაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა. ქალაქში, მეზობელ რაიონებთან შედარებით, ძვირია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სამშენებლო და სამრეწველო პროდუქცია»



ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**დასავლეთი წლიდან წლამდე გვაძლევს გრანტებს და ის, რომ ჯერჯერობით მზად არ ვართ და „დემოკრატიული ინსტიტუტები გვაქვს ასაშენებელი“, ყველაზე კარგად სწორედ დასავლეთში იციან. მათ იციან, რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ არ მიდის, მაგრამ ჩუმად არიან, ვითომ ვერ ხვდებიან, რადგან, როცა საქართველოს რომელიმე მაღალჩინოსანი ხმამაღლა იტყვის, მზად ვართ ნატოსა და ევროკავშირისთვისო, სწორედ იმ ინსტიტუტებზე მიუთითებენ, რომლებიც უნდა „აშენებულიყო,“ მაგრამ თითი თითზე არ დადებულა.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადრე ვხუმრობდით, — ლობიოს ძეგლი უნდა დავუდგათ, გადაგვარჩინაო, ახლა კარტოფილის ძეგლზე უნდა ვიფიქროთ

## საქართველოში ბავშვი ვალით იბადება, თანაც საკმაოდ სოლიდური ვალით!

**მსოფლიოში კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ 120 მილიონს გადააჭარბა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ოქროსა და კრიპტოვალუტის ფასმა მოიმატა. თავად განსაჯეთ, საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში 958 სინჯის ოქროს ქორწინების ბეჭედი 42,26%-ით გაძვირდა. ჩვეულებრივი, 5-გრამიანი ბეჭედი 1000 ლარზე მეტი ღირს და, წყვილმა ოჯახი რომ შექმნას, სულ ცოტა, 2 000 ლარი მხოლოდ ბეჭდებზე სჭირდება. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ცოტა ადამიანი ფიქრობს დაოჯახებაზე და, შესაბამისად, შობადობაც წლიდან წლამდე იკლებს. ჰო, არც ის დაგვავიწყდეს, რომ კოვიდ-19-ის გამო გაზრდილი სიკვდილიანობა შობადობის მაჩვენებელს, ე.ი., მოსახლეობის მატებას კატასტროფულად შეამცირებს.**

ვთქვათ, ახალი ოჯახები არ გვჭირდება ან გვჭირდება და, სადაც დიდი სიყვარულია, იქ ოქროს ბეჭედი ბევრს არაფერს წყვეტს. პროდუქტებზე გადავიდეთ: ოქროს გარეშე იარსებებს ადამიანი, საკვების გარეშე — ვერა. ბოლო წლის განმავლობაში, ყველაზე მეტად შემდეგი პროდუქტების ფასმა მოიმატა: **მზესუმზირის ზეთი — 62,03%, წიწიბურა — 38,44%, შაქარი** — 36,72%. მოდი, საკვების მოხმარების წრე უფრო შევამჭიდროვოთ და ვთქვათ, რომ მოსახლეობა არ მიირთმევს არც მზესუმზირის ზეთს, არც წიწიბურას და უშაქრო ჩაისა თუ ყავას გეახლებათ (სხვათა შორის, შაქარი ჯანმრთელობისთვის კარგი აშკარად არ არის). იმას რა ვუყოთ, რომ საშუალოდ, **საკვები პროდუქტების ფასმა, ჯამში, 17-დან 20%-მდე მოიმატა?** და ეს მატება, ბოლო ხუთი წელია, გრძელდება. **ბოლო ხუთწლედში (როგორც კომუნისტები იტყოდნენ) პროდუქტების ფასები, სულ ცოტა, გაორმაგდა და რიგ შემთხვევებში, უფრო გაძვირდა. ამას დაუმატეთ ეროვნული ვალუტის ინფლაცია და მიხვდებით, რომ ძალიან ცუდ დღეში ვართ.**

ლარის ინფლაცია შემთხვევით არ გვიხსენებია. მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში ეროვნულმა ბანკმა სარეზერვო ფონდიდან ლარის კურსის ინფლაციის დონის შესანარჩუნებლად 993 მილიონი დოლარის ინტერვენცია მოახდინა. **ლამის მილიარდი დასჭირდა იმას, რომ ლარი იმაზე მეტად არ გაუფასურებულიყო, ვიდრე დღეს არის.** შესადარებლად, ბოლო წელს ინტერვენციებზე დახარჯული თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა რომელიმე წლის განმავლობაში განხორციელებული სავალუტო აუქციონები. მაგალითად, 2016 წლის კრიზისის დროს აუქციონების გზით სებ-მა 280 მლნ დოლარი გაყიდა, 2015 წელს ეს თანხა იყო 287 მილიონი დოლარი, 2014-ში კი — 300 მილიონი. იმასაც გეტყვით, რომ **სარეზერვო ფონდი დაახლოებით 4 მილიარდი დოლარია და როგორ გგონიათ, ამ რეზერვის 25%-ის ბაზარზე გატანამ რა შედეგი გამოიღო? ერთი შეხედვით, უარყოფითი არაფერი, რადგან ბანკმა რეზერვი ისევ შეავსო და ახლა 4 მილიარდზე ოცნავ მეტია, თუმცა ეს შევსება საგარეო ვალის აღებით მოხერხდა. ყველაზე დაბალი საგარეო ვალი ქვეყანას ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ჰქონდა.** მერე იყო, აღმშენებლობა რომ დავიწყეთ და ნაციონალების ხელისუფლებამ 7 მილიარდი ვალი დაგვიტოვა (შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ვალი მილიარდიც არ იყო), „ქართულმა ოცნებამ“ კი ეს რიცხვი გააორმაგა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით (იხ. www.nbg.gov.ge), საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 18.3 მლრდ დოლარი შეადგინა და ეს დღეს უფრო გაზრდილია. აგერ, მარტში გრაფიკს თუ არ დავარღვევთ, 85 მილიონს საგარეო ვალში ვიხდით და ეს გრაფიკი რამდენიმე წელზეა გათვლილი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ვალს კიდევ არ დავიმატებთ და, თუ დავიმატებთ, შესაძლოა, ისე მოხდეს, ქვეყანა გაკოტრებულად გამოაცხადონ და შემდეგ ვალის გარეშე ცხოვრების პერსპექტივას მინიმუმ ნახევარი საუკუნით დავემშვიდობებით.

„ნაციონალური მოძრაობა“ საგარეო ვალის აღებას ინფრასტრუქტურული პროექტებით ამართლებდა. აქაოდა, გზებია გასაკეთებელი, შენობები ასაშენებელი, აგერ, მინისტრები კორუფციაში რომ არ იყვნენ გარეული, რამდენიმეათასიანი ჯამაგირი სჭირდებათო. გაგეცინებათ და, „ოცნების“ პირობებში იმაზე ორჯერ მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ვიდრე ეს წინა ხელისუფლებამ შეძლო, მაგრამ მთავარი კითხვა — რა სარგებელი მიიღო აქედან ხალხმა, კვლავ პასუხგაუცემელია. გვესმის, რომ კარგმა გზებმა ტურისტული პოტენციალი გაზარდა, რომ ყველას სურს, გამართული ინფრასტრუქტურა ჰქონდეს, მაგრამ იგივე ტურისტები ამბობენ, მოასფალტებულ და დავარცხნილ გზას გვირჩევნია, მიუვალ სოფლებში ცხენით ავიდეთო. ჰო, სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში გაყვანილი ბეტონის გზები, შესაძლოა, ადგილობრივებს მოსწონთ, ტურისტებს — ნაკლებად.

ცალკე თემაა სახელმწიფოს სუბსიდიები სხვადასხვა პროდუქტზე. საკვები რომ იაფი ღირს, ყველას უხარია, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ეს სიიაფე სწორედ ჩვენი გადასახადებით არის გამოწვეული. არც იმაზე ფიქრობს არავინ, რომ პურის ფასი, რომელიც სახელმწიფოს დღეს კბილებით უჭირავს, გაცილებით მეტია, ვიდრე ვიხდით, თუმცა სახელმწიფო სუბსიდიას ამატებს და ეს ყველაფერი ისევ ჩვენი ჯიბიდან მიდის, **ამას თითქოს ვერ ვგრნობთ, რეალურად კი ეს თანხა აკლდება სხვა სფეროს. მაღალჩინოსნებს რომ მაღალი ხელფასები აქვთ ქრთამზე უარის თქმის მოტივით, ქვედა რგოლმა რა დააშავა? ქვედა რგოლია სწორედ ვირივით რომ მუშაობს და სანაცვლოდ მხოლოდ ჯოხზე ჩამოკიდებულ ბალახს იღებს, რომელსაც ვერა და ვერ მისწვდა. გადავხედოთ ჩვენს შემოსავლებს და რომელს გაეზარდა ორჯერ ხელფასი ან პენსია, ან ბოლო ხუთ წელიწადში სამუშაო ადგილები გაორმაგდა? ანალოგიური არაფერი მომხდარა, უკან მივდივართ, მაგრამ ჯერჯერობით ვცოცხლობთ.**



ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ერთ დიდ ექსპერიმენტში ვმონაწილეობთ, რომელსაც სახელად „სადამდე გაძლებს ერი მშიერი“ ჰქვია. **შევარდნაძის პერიოდში ხალხი ხუმრობდა: ლობიოს ძეგლი უნდა დავუდგათ, გადაგვარჩინაო; და ახლა ისეთი ფასი აქვს ამ პროდუქტს, ლამის დელიკატესად ითვლება. ახლა, სავარაუდოდ, კარტოფილის ძეგლზე უნდა ვიფიქროთ, ყველაზე იაფი ის ღირს, მაგრამ, რაც ჩვენთან იყიდება, იმას რეალურად კარტოფილი არც ჰქვია. გაიხსენეთ, რამდენჯერ გააბრუნეს საზღვრიდან ის კარტოფილი, რომელსაც ე.წ. მცენარის კიბო აღმოაჩნდა და რამდენი შემოვიდა, კაცმა არ იცის.**

ევროპიდან და ამერიკიდან მიღებული გრანტები, პრაქტიკულად, არასდროს შეიცავს სოციალურ პაკეტს. დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას არც ადრე ეუბნებოდა, — აჰა, ფული და მოსახლეობა გამოკვებეო, არც ახლა ეუბნება და, სავარაუდოდ, არც მომავალში ეტყვის. გამოკვებაში არ ვგულისხმობთ იმას, რომ ადამიანებს პური უყიდონ და შინ მიართვან. არა, საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებსაც ადამიანების მასობრივი დასაქმება მოჰყვება და დასაქმებული ადამიანი მერე თვითონ იყიდის პურსაც და ყველსაც. არა, დასავლეთი რეფორმების განხორციელებაში იხდის თანხებს და **მოსახლეობის უმრავლესობას წარმოდგენაც არ აქვს, რა რეფორმები ხორციელდება, რატომ, რისთვის**

**...დაასახელეთ ერთი რეფორმა მაინც, რომელმაც რიგით ადამიანებს სოციალური თვალსაზრისით შვება მისცა.** ვერ დაასახელებთ და ეს მაშინ, როცა ამ რეფორმებზე 2003 წლიდან მოყოლებული საუბრობენ ხელისუფალნი. ეს ყველაფერი რეალურად ქაღალდზე წერია, თურმე სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიულად განვითარება ზღაპარია. წინა ხელისუფლება იყო და, ოპოზიცია სწორედ სახეომწიფო ინსტიტუტების ავტორიტარიზმზე მიუთითებდა; ახლაც ანალოგიური რამ ხდება. **სად მიდის დასავლეთის მიერ ამ ინსტიტუტების მშენებლობისთვის გამოყოფილი გრანტები? სწორია — ერთეულების ჯიბეში და მერე რა, რომ ეს ჯიბე პერიოდულად იცვლება, მოსახლეობას მაინც არაფერი ხვდება.**

ზღაპარი გამოდგა ისიც, რომ თითქოს გადასახადების მოსამატებლად რეფერენდუმის ჩატარება იქნებოდა საჭირო. ხელსუფლება მარტივად უმატებს გადასახადებს და მომავალშიც მოუმატებს. არც გრანტები მივა მოსახლეობამდე და დასავლეთიც მუდმივად იმას იტყვის, ჯერ დემოკრატიული ინსტიტუტები გაქვთ ასაშენებელიო. **დასავლეთი წლიდან წლამდე გვაძლევს გრანტებს და ის, რომ ჯერჯერობით მზად არ ვართ და „დემოკრატიული ინსტიტუტები გვაქვს ასაშენებელი,“ ყველაზე კარგად სწორედ დასავლეთში იციან. მათ იციან, რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ არ მიდის, მაგრამ ჩუმად არიან, ვითომ ვერ ხვდებიან, რადგან, როცა საქართველოს რომელიმე მაღალჩინოსანი ხმამაღლა იტყვის, მზად ვართ ნატოსა და ევროკავშირისთვისო, სწორედ იმ ინსტიტუტებზე მიუთითებენ, რომლებიც უნდა „აშენებულიყო“, მაგრამ თითი თითზე არ დადებულა.** ამიტომ შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, აგერ უკვე ლამის მეორე ათეული წელია, და შიმშლით შეწუხებული მოსახლეობის ყეფაში ქარავანი მიდის. **ისევ განახორციელებს ინტერვენციას ეროვნული ბანკი, ისევ დაიჭერს ხელოვნურად ლარის კურსს, ისევ არ გააძვირებს ხელისუფლება ჩვენი გადასახადებიდან შესული ფულით პურს და მერე, როცა ძალიან გაუჭირდება, ისევ ჩვენს ხარჯზე და ჩვენს იმედად, მორიგ ვალს აიღებს.** დღეის მდგომარეობით, საქართველოს თითოეული მოქალაქის საგარეო ვალი 17 ათას ლარზე მეტია, საქართველოში ახალდაბადებულ ბავშვს უკვე ვალი აქვს და თანაც საკმაოდ სოლიდური.

**ბესო ბარბაქაძე**

**ბოლო ხუთწლედში (როგორც კომუნისტები იტყოდნენ) პროდუქტების ფასები, სულ ცოტა, გაორმაგდა და რიგ შემთხვევებში, უფრო გაძვირდა. ამას დაუმატეთ ეროვნული ვალუტის ინფლაცია და მიხვდებით, რომ ძალიან ცუდ დღეში ვართ**

**ევროპიდან და ამერიკიდან მიღებული გრანტები, პრაქტიკულად, არასდროს შეიცავს სოციალურ პაკეტს. დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას არც ადრე ეუბნებოდა, აჰა, ფული და მოსახლეობა გამოკვებეო, არც ახლა ეუბნება და, სავარაუდოდ, არც მომავალში ეტყვის. გამოკვებაში არ ვგულისხმობთ იმას, რომ ადამიანებს პური უყიდონ და შინ მიართვან. არა, საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებსაც ადამიანების მასობრივი დასაქმება მოჰყვება და დასაქმებული ადამიანი მერე თვითონ იყიდის პურსაც და ყველსაც**

«კოლექტიური ბაიდენი»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კოლექტიური ბაიდენის“ დაჯგუფებაში შევიდნენ სხვადასხვა კლანის წარმომადგენლები: კლინტონების ხალხი, მადლენ ოლბრაიტის ინტერესების გამტარებლები და კენედის კლანის პერსონებიც კი; შეიძლებოდა, იქ ყოფილიყო ბაიდენის ხალხიც, მას რაღაც პოლიტიკური წონა რომ ჰქონოდა.**

# აშშ-ში ძალაუფლება «ციფრულმა გიგანტებმა» ჩაიგდეს ხელში

**თეთრ სახლში პენტაგონის შეფთან, გენერალ ოსტინთან ერთად გამოსვლისას, აშშ-ის პრეზიდენტმა ვერ გაიხსენა თავდაცვის მინისტრის სახელი, ვერც სამხედრო უწყების დასახელება შეძლო. თეთრი სახლის მეთაურის ზურგს უკან უცხო ქვეყნების ლიდერებთან მოლაპარაკებებს მართავს ვიცეპრეზიდენტი კამილა ჰარისი, მაგრამ საკმაოდ მოკრძალებული უფლებამოსილებების მქონე ჰარისიც არ შეიძლება ჩაითვალოს კულისებს მიღმა მმართველად. სინამდვილეში ვინ მართავს დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს?**

**ჯო ბაიდენს** თანაშემწეებმა კვლავ არ დართეს ჟურნალისტებთან პირისპირ საუბრის ნება. ეს მოხდა აშშ-ის პრეზიდენტის შესვლისას ვაშინგტონის ერთ-ერთ მაღაზიაში. **ტელეარხ FOX NEWS-ის ვიდეოკადრებში ჩანს, რომ მაღაზიის მფლობელთან ერთად შენობის დათვალიერების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურისთვის კითხვების დასმას მედიის წარმომადგენლები შეეცადნენ, მაგრამ ბაიდენმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ თანაშემწეებმა ადგილს განარიდეს.** უკვე თვე-ნახევარია, რაც ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზეა, მაგრამ ერთი პრესკონფერენციაც არ გაუმართავს. ამ თვალსაზრისით, 78 წლის ბაიდენი ძალიან ჩამორჩება თავის წინამორბედს — 74 წლის **დონალდ ტრამპს,** რომელიც, როგორც ცნობილია, რეგულარულად ეკონტაქტებოდა ჟურნალისტებს, მათთან კამათობდა, ბაიდენს კი ურთიერთობის პრობლემა აქვს არა მხოლოდ მეოთხე ხელისუფლებასთან.

მარტის დასაწყისში თეთრმა სახლმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეწყვიტა პირდაპირი ტრანსლაცია პრეზიდენტისა, რომელსაც უნდა ეპასუხა დემოკრატი კონგრესმენების კითხვებზე. როდესაც პრეზიდენტის საჯარო ოფიციალური განცხადებით გამოდის, არც ისე იშვიათად ხდება კურიოზი.

**თეთრ სახლში ქალი-სამხედროების პატივსაცემად გამართული შეხვედრისას ბაიდენს პენტაგონის შეფ ლოიდ ოსტინის სახელი დაავიწყდა, რომელიც მასთან ორიოდე მეტრის დაშორებით იდგა. „მინდა, მადლობა გადავუხადო ყოფილ გენერალს. მე მას კვლავინდებურად ვუწოდებ გენერალს, მაგრამ ჩემი, ჩემი... ბიჭი, აი, იქ რომ დგას, რომელიც ამ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს“, — თქვა პრეზიდენტმა. შემდეგ აშშ-ის ლიდერმა ტელესუფლიორის კარნახით ისარგებლა და თავდაცვის მინისტრს „მინისტრი ოსტინი“ უწოდა. ამასთანავე, აშშ-ის პრეზიდენტმა ვერ გაიხსენა პენტაგონის სახელი.** ბაიდენმა სიტყვით გამოსვლისას თავდაცვის სამინისტროს შტაბი მოიხსენია, როგორც „ეს ბიჭები“. ერთ-ერთი სამარცხვინო შეცდომა ბაიდენმა დაუშვა თავის ინაუგურაციაზე ცოტა ხნით ადრე, 2020 წლის დეკემბერში, როცა **კამილა ჰარისს**, მომავალ ვიცეპრეზიდენტს, აშშ-ის ლიდერი უწოდა. მანამდე მან არასწორად წარმოთქვა ტრამპის სახელი და ის ყოფილ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშ-უმცროსში** აერია.

გულმავიწყი შეფის ფონზე 56 წლის ვიცეპრეზიდენტი ჰარისი საკმაოდ თავდაჯერებულად მოქმედებს. რამდენიმე დღის წინათ მან ნორვეგიის პრემიერმინისტრ **ერნა სულბერგთან** არქტიკაში ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობაზე, კლიმატურ ცვლილებებსა და კორონავირუსის გავრცელებაზე იმსჯელა. მანამდე ის ესაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონსა** და კანადის პრემიერმინისტრ **ჯასტინ ტრიუდოს. ჯერ კიდევ თებერვალში ამერიკული მედია აღნიშნავდა ჰარისის აქტიურობას საგარეო პოლიტიკაში. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ 4 წლის შემდეგ ან შეიძლება უფრო ადრეც აშშ-ის ისტორიაში პირველმა ქალმა ვიცეპრეზიდენტმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს.**

თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, ბაიდენის პირველი შეხვედრა პრესასთან მარტის ბოლომდე გაიმართება, მაგრამ დროის გაჭიანურებამ უფრო გააძლიერა ეჭვი ბაიდენის უძლურების შესახებ. აშშ-ის ისტორიაში ის პირველია, ვინც პრეზიდენტად 78 წლისა აირჩიეს. ბაიდენის დუმილმა ბოლო 100 წლის რეკორდი მოხსნა, მისი წინამორბედი 15 პრეზიდენტი პოსტის დაკავებიდან პირველივე თვეში დაელაპარაკა პრესას. **საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას ბაიდენის უუნარობაზე ლაპარაკს დემოკრატები „ტრამპის პროპაგანდას“ უწოდებდნენ, მაგრამ სამედიცინო წრეებში მალე გამოთქვეს ეჭვი, რომ დემოკრატების კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში ვერ შეძლებდა ჯანსაღი გონებით ქვეყნის მართვას. მაგალითად, ასეთი ეჭვი 2020 წლის აპრილში გამოთქვა ცნობილმა ნორვეგიელმა ფსიქიატრმა ფრედ ჰეტენმა. ექიმმა ჯო ბაიდენის საქციელში შეამჩნია გონებრივი აშლილობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა „გულმავიწყობა, ანცობა, დაბნეულობა, წინდაუხედაობა და აგრესია“.**

თვით ბაიდენმა გასული წლის აგვისტოში განაცხადა, რომ „არ გაუვლია კოგნიტური ტესტი დემენციაზე (ხანდაზმულობით გამოწვეული ჭკუასუსტობა ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბებრული მარაზმი) და დასძინა, რომ ენდობა საზოგადოებას, რომელიც გადაწყვეტს, შეესაბამება თუ არა ის პრეზიდენტის თანამდებობას“, — იუწყებოდა „ბი-ბი-სი“.

ამჟამინდელი ვითარება, როცა ვიცეპრეზიდენტი ჰარისი პრეზიდენტის გასაკეთებელს აკეთებს, აჩენს კითხვას — შესწევს კი ბაიდენს უნარი, შეასრულოს თავისი უფლებამოვალეობები? პოლიტოლოგ **დიმიტრი დრობნიცკის** აზრით, აშშ-ში ძალაუფლება „კოლექტიური ბაიდენის“ ხელშია. **„ხანდაზმულობის გამო პრეზიდენტს აშკარად აღარ ძალუძს ოპერატიული საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება, გასაგებია, რატომ აჩვენებენ მის გამოსვლებს ფრაგმენტებით, რატომ ვერ უსვამენ ჟურნალისტები მას კითხვებს“,** — განაცხადა დრობნიცკიმ. ამასთანავე, პოლიტოლოგის აზრით, კამილა ჰარისი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცეპრეზიდენტია, მაინც ვერ იქცა „კოლექტიური ბაიდენის“ წამყვან ფიგურად.



ჯო ბაიდენი

**თეთრ სახლში ქალი-სამხედროების პატივსაცემად გამართული შეხვედრისას ბაიდენს პენტაგონის შეფ ლოიდ ოსტინის სახელი დაავიწყდა, რომელიც მასთან ორიოდე მეტრის დაშორებით იდგა... შემდეგ აშშ-ის ლიდერმა ტელესუფლიორის კარნახით ისარგებლა და თავდაცვის მინისტრს «მინისტრი ოსტინი» უწოდა. ამასთანავე, აშშ-ის პრეზიდენტმა ვერ გაიხსენა პენტაგონის სახელი**



კამილა ჰარისი

„კოლექტიური ბაიდენის“ დაჯგუფებაში შევიდნენ სხვადასხვა კლანის წარმომადგენლები: **კლინტონების** ხალხი, **მადლენ ოლბრაიტის** ინტერესების გამტარებლები და **კენედის** კლანის პერსონებიც კი. შეიძლებოდა, იქ ყოფილიყო ბაიდენის ხალხიც, მას რაღაც პოლიტიკური წონა რომ ჰქონოდა. ასეთ ვითარებაში მეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა კონგრესს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრს, მაგრამ, ექსპერტთა აზრით, კონგრესი ამჟამად გათიშულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესისგან. წარმომადგენელთა პალატის სპიკერი **ნენსი პელოსი** და მისი კოლეგები თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ პოლიტბიუროში არ შეიყვანდნენ. ახლა კონგრესი ცდილობს თავისი ძალის დემონსტრაციას, მაგალითად, ტრამპისთვის იმპიჩმენტის მოწყობით, აგრეთვე, პრეზიდენტისთვის სარაკეტო დაბომბვის ბრძანების გაცემის შეზღუდვით. სწორედ ეს მიუთითებს, რომ კონგრესის ლიდერები პოლიტბიუროში არ შეიყვანეს.

სამაგიეროდ, **არეოპაგის** (სახელისუფლო ორგანო ძველ საბერძნეთში — გ.გ.) შემადგენლობაში შევიდნენ გლობალური ციფრული კორპორაციების ლობისტები, ისეთები, როგორებიც არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **რონ კლაინი** და კიდევ 13 ადამიანი, რომლებიც მუშაობდნენ მაღალ პოსტებზე **„ფეისბუკში“, „ტვიტერსა“** და **„გუგლში“,** ახლა კი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღმოჩნდნენ, როგორც „დიდი ციფრისგან წარდგენილი მაყურებლები“. „ეს არაერთგვაროვანი კომპანია შეუდგა ყველაფრის მართვას აშშ-ში“, — განაცხადა დრობნიცკიმ, რომელმაც აშშ-ში ამჟამად შექმნილი ვითარება სსრკ-ში 1950-იან წლებს, სტალინის სიკვდილის შემდგომ პერიოდს, შეადარა. „იკვეთება ძალაუფლების კოლექტიური ორგანო, რომელშიც კარგად არ არის გამოკვეთილი ვინ ვის უნდა დაემორჩილოს. ვინ ვის გაემიჯნოს და ვის დაუპირისპირდეს. ძმებმა **სტრუგაცკებმა** თავიანთ რომან „დასახლებულ კუნძულ“-ში შესანიშნავად აღწერეს მმართველობის ასეთი ფორმა და მას „უცნობი მამების ხელისუფლება“ უწოდეს. ტრამპის დამარცხების შემდეგ აშშ ჩავარდა ღრმა ერთპარტიულ უძრაობაში, რომელიც ნაწილობრივ ჰგავს საბჭოთა კავშირისდროინდელ უძრაობას, რომელიც შეიქმნა **კოსიგინის** რეფორმების შეჩერების შემდეგ. იმხანად პოლიტბიუროს მართავდა ხანში შესული **ბრეჟნევი** და სხვა ხანდაზმულები... აშშ-ში საგარეო პოლიტიკის კურს, მხოლოდ სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** კი არა, „კოლექტიური ბაიდენი“ განსაზღვრავს“, — განაცხადა დრობნიცკიმ. ექსპერტთა აზრით, აშშ-ის მმართველი აპარატის საბოლოო კონფიგურაცია რამდენიმე თვეში ჩამოყალიბდება. ბაიდენის გუნდის საკვანძო მოთამაშეები შეეცდებიან, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების ბერკეტები ხელში არ ჩაუვარდეს კამილა ჰარისს. ბაიდენი, დიდი ალბათობით, შეეცდება, ძალაუფლების ბერკეტები სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თანაშემწე **ჯეიკ სალივანს,** აგრეთვე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ **ბილი ბერნსს** გადასცეს.

აშშ-ის ისტორიაში 9 პიროვნებამ — **ჯონ ტეილორმა, მილარდ ფილმორმა, ენდრიუ ჯონსონმა, ჩესტერ არტურმა, ფრანკლინ რუზველტმა, კალვინ კულიჯმა, ჰარი ტრუმენმა, ლონდონ ჯონსონმა** და **ჯერალდ ფორდმა** — დაიკავა სახელმწიფო მეთაურის პოსტი ვიცეპრეზიდენტის თანამდებობიდან. 8 შემთხვევაში ამის მიზეზი იყო პრეზიდენტის გარდაცვალება (ბუნებრივი ან ძალადობრივი გზა). მაგალითად, ტრუმენმა პოსტი ჩაიბარა რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, ლინდონ ჯონსონმა კი **ჯონ კენედის** მკვლელობის შემდეგ. 1974 წელს პრეზიდენტი გახდა ჯერალდ ფორდი, რომელმაც უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ პოსტზე რიჩარდ ნიქსონი შეცვალა.



**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ვაქცინაცია პირველმა შეწყვიტა ავსტრიამ. 7 მარტს იქ შეაჩერეს ASTRAZENECA-ს ერთ-ერთი პარტიის ვაქცინების გამოყენება, როცა აცრის შემდეგ სისხლის შედედებით დაიღუპა ერთი ქალი, მეორე კი ჰოსპიტალში მოხვდა ფილტვის არტერიის ტრომბოემბოლიის დიაგნოზით. ორივე აცრილი იყო პრეპარატის ერთი პარტიის ვაქცინით ცვეტლის კლინიკაში. დაიწყო ინციდენტის გამოძიება.

ვაქცინაციის დილემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირის 12-მა ქვეყანამ შეაჩერა AstraZeneca-ს პრეპარატით ვაქცინაცია

## საქართველოს ხელისუფლებამ კი სწორედ ეს პრეპარატი შემოიტანა ქვეყანაში დაპირებული «ფაიზერის» ვაქცინის ნაცვლად

**უკვე ევროკავშირის 12-მა ქვეყანამ შეაჩერა AstraZeneca-ს ვაქცინის აცრები. საქართველოს ხელისუფლებამ კი სწორედ ეს პრეპარატი შემოიტანა ქვეყანაში დაპირებული „ფაიზერის“ ვაქცინის ნაცვლად.**

### რა მოხდა?

**„ასტრაზენეკას“ ვაქცინით აცრის შემდეგ ავსტრიაში გარდაიცვალა ქალი, კიდევ ერთი ადამიანი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ორივე შემთხვევაში აცრა გაკეთდა ვაქცინების ერთი პარტიიდან. აცრის შემდეგ ორივე პაციენტს სასიკვდილო თრომბი განუვითარდა.**

ამის შემდეგ ევროკავშირის სხვა ქვეყნებმაც შეზღუდეს ოქსფორდის ვაქცინის გამოყენება. 11 მარტისთვის სია იმ ქვეყნებისა, რომლებმაც შეაჩერეს AstraZeneca-ს ვაქცინის გამოყენება, ასეთი იყო:

1. **ავსტრია;**
2. **ესტონეთი;**
3. **ლიეტუვა;**
4. **ლატვია;**
5. **ლუქსემბურგი;**
6. **კვიპროსი;**
7. **დანია;**
8. **ნორვეგია;**
9. **ისლანდია;**
10. **იტალია;**
11. **საფრანგეთი;**
12. **გერმანია.**

### ცუდი პარტია

ვაქცინაცია პირველმა შეწყვიტა **ავსტრიამ.** 7 მარტს იქ შეაჩერეს AstraZeneca-ს ერთ-ერთი პარტიის ვაქცინების გამოყენება, როცა აცრის შემდეგ სისხლის შედედებით დაიღუპა ერთი ქალი, მეორე კი ჰოსპიტალში მოხვდა ფილტვის არტერიის ტრომბოემბოლიის დიაგნოზით. ორივე აცრილი იყო პრეპარატის ერთი პარტიის ვაქცინით ცვეტლის კლინიკაში. დაიწყო ინციდენტის გამოძიება.

**ვაქცინების ეს პარტია, რომელზეც ავსტრიაში ალაპარაკდნენ, შედგებოდა მილიონი დოზისგან და განაწილდა ევროკავშირის 17 ქვეყანაში, ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბულგარეთი, კვიპროსი. დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, ესპანეთი, შვედეთი.**

ავსტრიის განცხადების შემდეგ ვაქცინაცია შეაჩერეს ესტონეთმა, ლიეტუვამ, ლატვიამ, ლუქსემბურგმა და კვიპროსმა. იქ გადაწყვიტეს, გამოძიების შედეგებს დალოდებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ქვეყნების ჩამონათვალი გაფართოვდა. 11 მარტს AstraZeneca-ს ვაქცინით აცრები შეაჩერეს **დანიაში.** იქაც, აგრეთვე, განაცხადეს ვაქცინის თანამდევ უარყოფით მოვლენა თრომბოზზე. იქაც დაიწყო გამოძიება. დანიის მაგალითს მიბაძეს **ისლანდიამ** და **ნორვეგიამ,** „ეს პრევენციული გადაწყვეტილებაა“, — განაცხადა ნორვეგიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტის ინფექციების პროფილაქტიკისა და კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელმა **გეირ ბუქოლმა.** ამათანავე, ნორვეგიაში, ისევე, როგორც




დანიაში, განაცხადეს, რომ ვაქცინაციის შეჩერება არ ნიშნავს საბოლოო უარის თქმას პრეპარატზე.

### რას ამბობენ ევროჩინოსნები?

სამკურნალო საშუალებების ევროპული სააგენტო ავსტრიაში მომხდარს ჯერჯერობით არ უკავშირებს პრეპარატის არადამაკმაყოფილებელ ხარისხს ან თანამდევ უარყოფით მოვლენებს. უწყება თავის გადაწყვეტილებას ამართლებს იმით, რომ ვაქცინას დადებითი მხარეები უფრო მეტი აქვს, ვიდრე უარყოფითი.

ამასთანავვე, AstraZeneca-ს ინსტრუქციაში არის პუნქტი: „დაავადებებმა, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის შედედებასთან, ვაქცინაციის შემდეგ შეიძლება თანამდევი უარყოფითი მოვლენები გამოიწვიოს“. ინსტრუქციაში, აგრეთე, მითითებულია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის პრეპარატი რეკომენდებული არ არის.

**P.S. გავრცელებული ინფორმაციით, 4 მარტისთვის დიდ ბრიტანეთში ვაქცინაციის შედეგად დაღუპულია 460 ადამიანი, 244 ათასს აღმოაჩნდა სხვადასხვა გართულება.**

**Strana.ua-ზე გამოქვვეყენებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**




**ავსტრიის განცხადების შემდეგ ვაქცინაცია შეაჩერა ესტონეთმა, ლიეტუვამ, ლატვიამ, ლუქსემბურგმა და კვიპროსმა. იქ გადაწყვიტეს, გამოძიების შედეგებს დალოდებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ქვეყნების ჩამონათვალი გაფართოვდა. 11 მარტს AstraZeneca-ს ვაქცინით აცრები შეაჩერეს დანიაში. იქაც, აგრეთვე, განაცხადეს ვაქცინის თანამდევ უარყოფით მოვლენა თრომბოზზე**

**ვაქცინების ეს პარტია, რომელზეც ავსტრიაში ალაპარაკდნენ, შედგებოდა მილიონი დოზისგან და განაწილდა ევროკავშირის 17 ქვეყანაში, ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბულგარეთი, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, ესპანეთი, შვედეთი**




# «ცივილიზებულ» გერმანიაში დიდი კორუფციული სკანდალი აგორდა

**მმართველ კოალიციაში შემავალი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა (ქდკ) და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის (ქსკ) ოცამდე დეპუტატი დამცავი ნიღბების შესყიდვის სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა.**

ყველაზე ხმაურიანია ქრისტიან-სოციალური კავშირიდან ბუნდესტაგის დეპუტატის (2002 წლიდან) **გეორგ ნიუსლაინის** საქმე, რომელმაც ნიღბების მწარმოებელი კომპანიისგან 660 ათასი ევრო აიღო ლობირებაში, — წერს გამოცემა Spiegel-ი.

გამოცემის ინფორმაციით, პოლიტიკოსი მონაწილეობდა ნიღაბი FFP2-ის შეკვეთაში. ატეხილი სკანდალის გამო ნიუსლაინმა განაცხადა, რომ დატოვებს საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას და კენჭს აღარასოდეს იყრის გერმანიის პარლამენტში. ამ მომენტში ის კორუფციაშია ეჭვმიტანილი.

დეპუტატმა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან **ნიკოლას ლებელმაც** აგრეთვე, გამოიყენა თავისი თანამდებობა ნიღბების მწარმოებელი ჩინური კომპანიის ლობირებისთვის, რისთისაც 250 ათასი ევრო მიიღო (12% თითოეულ ნიღაბზე). ლებელმაც განაცხადა, რომ გადადგება. გაირკვა, რომ მმართველი კოალიციის — ქდს/ქსკ-ს — ოცამდე წარმომადგენელი ლობირებდა მიმწოდებელთა ინტერესებს, რისთვისაც გარკვეულ ფინანსურ სარგებელს იღებდა.

**Allpravda.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




# ბუნდესტაგის დეპუტატი: ევროკავშირმა რუსული ვაქცინის ეფექტიანობა უნდა აღიაროს

**ბუნდესტაგის წევრმა, თავმჯდომარემ ფრაქციისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ — ალის ვაიდელმა განაცხადა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ი ისევე უნდა აღიაროს ევროკავშირმა, როგორც სხვა ეფექტიანი პრეპარატები. მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ვაქცინების რეალურ კონკურენციას, რომლითაც ევროპელები მხოლოდ მოიგებენ.**

ბუნდესტაგის დეპუტატმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ მოსკოვში ვიზიტისას „ალტერნატივა გერმანიისთვის“ დელეგაციის წევრები შეხვდნენ ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის შემქმნელებსა და რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრაზე იმსჯელეს ვაქცინაციაზე რუსეთსა და ევროკავშირში; ისაუბრეს, აგრეთვე, ვაქცინაციის წესებზე, ვაქცინების ხელმისაწვდომობასა და შესყიდვაზე.

**News-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ჩემბერლენი არ მალავდა სიხარულს და ჰიტლერს მიუნხენის დატოვებამდე უთხრა: „თქვენ გაქვთ საკმარისი თვითმფრინავები საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, მით უმეტეს, რომ ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების საფრთხე აღარ არსებობს“.**

# სტალინი, მედია და «გულაგი»

**მსოფლიოში არ დაბადებულა კაცი, რომლის სიკვდილით, მკვლელობით, მოწამვლით, ღალატით, თავდასხმით, ფარული თუ გაცხადებული ტერორით იმდენი ადამიანი ყოფილიყო დაინტერესებული, რამდენიც სტალინის განადგურებით.**



სახელმწიფოს მეთაურები გეგმებს ადგენდნენ სტალინის გასანადგურებლად, ტერორისტები სხვადასხვა გზას ეძებდნენ, შორსმსროლელი მაყუჩიანი იარაღით მოეკლათ იგი. კონსტრუქტორები ახალ-ახალ უძლიერეს მცირე ზომის პისტოლეტებს ქმნიდნენ ახლო მანძილიდან სტალინის მოსაკლავად, ფოტოაპარატებში მიკროიარაღებს ამონტაჟებდნენ სურათის გადაღებისას კამერის ობიექტივიდან გასროლით სტალინის მოსაკლავად. სამხედროები ათასგვარ ხილულ თუ უხილავ ხაფანგებს აგებდნენ მავზოლეუმის ტრიბუნაზე ასული სტალინის ასაფეთქებლად. უცხოეთიდან საბჭოეთის მიწაზე უშვებდნენ სტალინის მოსაკლავად წლობით ნაწრთობ თავდამსხმელებს პარაშუტებით, სპეცთვითმფრინავებით, წყალქვეშა ნავებით და სხვა საშუალებებით, რომლებიც საზოგადოებისათვის ჯერ ცნობილი არ არის. სტალინმა 1903 წლიდან (1-ელი დაპატიმრებიდან) 1953 წლის 28 თებერვლამდე, 50 წლის განმავლობაში, ყველა დამიზნებული ტყვია და საფრთხე აიცილა. სრულად არ ვარ დარწმუნებული, რომ სტალინის სიკვდილში ვინმეს ხელი ურევია, **ღმერთები არ კვდებიან, ისინი გარდაიცვლებიან და ათასწლეულების შემდეგ კვლავ უბრუნდებიან თავიანთ საქმეს.**

არც კაცი დაბადებულა ქვეყანაზე, რომელზეც იმდენი ქება დაიწერა, რამდენიც სტალინზე, თუმცა ცილისწამება და სისულელეც უამრავია დაწერილი. საერთოდ, სტალინზე ყველაზე მეტი წიგნია დაწერილი. სტალინს ვერავინ ვერაფერი დააკლო. იმ უზარმაზარმა ვეშაპმაც კი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სდია სტალინს გადასაყლაპავად, მაგრამ ფეხებიც ვერ მოჭამა. ეს ვეშაპი მედიაა.

**მედია, ლათინური სიტყვაა და შუამავალს ნიშნავს. რა სასაცილოა ჩვენს მედიას, რომ შუამავალი ვუწოდო!**

**სვანეთში ანტიკური ხანიდან მოდის საშუამავლო სამართალი, რომელიც თავისი „ეგრ, ეგრ, ეგრ“ წინაპრით რომაულ სამართალზეც ძველი უნდა იყოს. სვანეთში შუამავლები? ჩამოსათვლელად ორივე ხელის თითები გეყოფათ. შუამავლად ყველას არ გზავნიან. შუამავალი სიტყვის შემნახველი უნდა იყოს, ერთგული და მომთმენი. ერთი მხარის უკულმართულად ნათქვამი სიტყვა მოპირდაპირე მხარესთან პირდაპირ კი არ უნდა მიიტანოს — წაღმართად (დადებითად) უნდა წარუდგინოს, რომ შერიგებას ხელი შეეწყოს. თუ შუამავლებმა მტრებს შორის ისევ შური და მტრობა კიდევ უფრო გააღვივეს, მაშინ ამას შუამავლობა და საშუამავლო სამართალი არ ჰქვია.** შუამავლობაში ბოროტად მხილებული კაცი სვანეთში საცხოვრებელს ტოვებს და სხვაგან მიდის. მას სოფელში აღარ დაედგომება.

კანონი ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა ჭორზე. რაც მედიამ სტალინზე ცილისწამება და ჭორი გაავრცელა და ავცრელებს დღესაც, რა სამართალი და რა მოსამართლე გაუძლებს მის გარჩევას? და საინტერესოა, როდემდე გაუძლებს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, არამედ მსოფლიო ამ ცილისწამების პანდემიას, რომელსაც არანაირი ვაქცინა არ უშველის გებელსისეული ვაქცინის გარდა.

ზევით რაც სტალინის ლიკვიდაციის საშუალებები ჩამოვთვალე, ეს ყველაფერი მედიის (შუამავლის) „ფხიზელი“ თვალიდან მომდინარეობს. ახლა კი ძირითად თემას დავუბრუნდებით.

**ბოლო ათწლეულებია, მრავალმილიონიან აუდიტორიას შთააგონებენ (წერენ წერილებსა და წიგნებს), თითქოს სტალინმა არ იცოდა ენები, არაფერი გაეგებოდა თეორიების და საბჭოთა ხალხი სულელურად ემორჩილებოდა ამ ჩამორჩენილ, უხეშ და ფსიქიკურად დაავადებულ ტირანს.**

ემიგრანტმა მწერალმა **მარკ ალდანოვმა** სტალინს მიუძღვნა სტატია, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა პარიზის გაზეთში. სტატიაში საბჭოთა კავშირის ლიდერზე ისაუბრა ძალიან უსიამოვნოდ და, **ტროცკისგან** განსხვავებით, სტალინს დაბალი ინტელექტუალური დონის მქონე უწოდა. მართლაც — კომუნისტური პარტიის ახალი ლიდერი არ იყო „ცეცხლოვანი ორატორი“, რომელიც ხალხში ემოციებს მარტივად აღძრავდა მიმზიდველი ფრაზებით. და, როგორც ჩანს, მას განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა ჯერ გაკეთებული, მაგრამ ალდანოვმა მასში მომავალი დიდი სახელმწიფო მოღვაწე განჭვრიტა. ამიტომ ზოგჯერ აღნიშნულ სტატიას დავეყრდნობი, რადგან მჯერა, რომ ინტელექტუალურ და პატიოსან ადამიანს, თუნდა მოწინააღმდეგეს, ძალუძს, ობიექტურად დაახასიათოს სტალინი.

**„ჩემთვის უკიდურესად რთულია,** — წერს ალდანოვი, **— ობიექტურად შევაფასო ბოლშევიკები, თუმცა, აქვე ვიტყვი: ის არის გამორჩეული ადამიანი, უდავოდ ყველაზე გამორჩეული ლენინურ გვარდიაში. იგი იშვიათი ნებისყოფის და უშიშარი თვისებების მქონეა და ამას ვერ უარვყოფ. სტალინისთვის არამხოლოდ სხვის ცხოვრებას აქვს გროშის ფასი, არამედ საკუთარსაც, — ამით განსხვავდება ის მრავალი სხვა ბოლშევიკისგან“.** შემთხვევითი იყო, სტალინს რომ დაეკისრა ასეთი მნიშვნელოვანი პოსტები? რა თქმა უნდა, არა. სტალინისთვის პარტიული ცხოვრება მთავარი იყო. იგი აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა. 1912 წელს, ხუთი წლის შემდეგ, იგი გახდა პოლიტბიუროს წევრი (1917 წლის მაისში) და შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს ბოლშევიკ-ლენინისტად.

**1939 წლის 10 მარტს სტალინმა თავის მოხსენებაში კომუნისტური პარტიის (ბ) მე-18 ყრილობაზე თქვა: «გერმანიას დასავლეთიდან უბიძგებენ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას, რათა შემდეგ, როდესაც ეს ორი ქვეყანა დასუსტდება, თავად ავიდნენ სცენაზე ახალი ძალებით და იმოქმედონ, რა თქმა უნდა, «მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე» და თავიანთი პირობები უკარნახონ ომით დასუსტებულ ქვეყნებს. მარტივად და უბრალოდ!»**

ფრანგმა მწერალმა **ანრი ბარბუსმა** სტალინზე თქვა: **„იგი არასდროს ცდილობდა, ტრიბუნა ექცია პოდიუმად ან კვარცხლბეკად, მუსოლინისა და ჰიტლერის მსგავსად“.**

გერმანელმა მწერალმა **ლიონ ფოიხტვანგერმა** განმარტა სტალინური სტილის თავისებურებები: **„მისი გამოსვლები ძალიან მარტივია და მარტივი ენით გამოთქმული; მოსკოვში კი აუცილებელია ძალიან ხმამაღალი და მკაფიო საუბარი, რომ ეს ვლადივოსტოკშიც გაიგონ. ამიტომ სტალინი ხმამაღლა და გარკვევით საუბრობს და ყველას ესმის მისი სიტყვები, ყველას უხარია მათი მოსმენა და მისი გამოსვლები თავისიანის განცდას უქმნის მსმენელსა და წარმომთქმელს“.**

„სტალინი ამაზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა. ის „მეთაურად იყო დაბადებული“ და, შეიძლება ითქვას, ხალხის ლიდერადაც“, — ასე მიაჩნდა ალდანოვს. სტალინისა და ტროცკის სტილის შედარება გვეხმარება იმის გაგებაში, პარტიის წევრთა დიდი ნაწილი რატომ ემორჩილებოდა არა ტროცკის ემოციებს, არამედ გონივრულობას და საღ აზროვნებას, ანუ სტალინს.

**1927 წლის ბოლოს ალდანოვმა, რომელსაც ბოლშევიკები სძულდა, აღიარა, რომ მისთვის უკიდურესად ძნელი იყო მათზე ობიექტურად წერა, თუმცა სტალინის შესახებ წერს: „ის არის გამორჩეული ადამიანი, უდავოდ ყველაზე გამორჩეული ლენინის გვარდიიდან“.**

და მაინც ჩნდება კითხვა — **ლენინის სიცოცხლეში და პარტიის ყრილობებზე, ლენინის თვალსაზრისის მიუხედავად, რატომ აირჩიეს სტალინი გენერალურ მდივნად?** ამასთანავე, სტალინს მხარი დაუჭირა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობამ, რომელთა შორის ძველი ბოლშევიკ-ლენინისტები სჭარბობდნენ და არა სტალინის მხარდამჭერები. როგორ ავხსნათ მათი არჩევანი? ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება არ დაემორჩილო განდიდებულ, თუმცა მძიმედ დაავადებულ ლიდერს (ლენინს)?! სტალინსა და ჰიტლერს, რომლებიც პიროვნული თვისებებით და მრწამსით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მსგავსი ბედი აქვთ — ხალხისგან ცხოვრებაშივე განდიდება და ხალხისგანვე ლანძღვა გარდაცვალების შემდგომ. **ჰიტლერის მიმართ ეს გასაგებია. მისი თაოსნობით ნაცისტურმა გერმანიამ დაიწყო ომები, განახორციელა მასობრივი ტერორი, განსაკუთრებით სასტიკად გაუსწორდა ებრაელებს, ბოშებს, კომუნისტებს, რუს სამხედრო ტყვეებსა და პარტიზანებს. ჩაიდინა თვითმკვლელობა და დღემდე დაწყევლილია.** ამბობენ, გამარჯვებულებს არ განიკითხავენო, მაგრამ სტალინი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ფაშიზმის დამარცხებაში, მოგვიანებით, პირველ რიგში, მისმა მაქებრებმა გააკრიტიკეს და დღემდე ადანაშაულებენ ხალხის მასობრივ ტერორში, წარმოუდგენელ სისასტიკესა და ბოროტებაში.

**„ჩვენ ვიცით, რომ სტალინსა და ჰიტლერს შორის დაპირისპირებაში გაიმარჯვა პირველმა. რატომ? რაიმე ირაციონალური მიზეზით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა შევეცადოთ, ობიექტურად შევაფასოთ ამ წლების ყველაზე რთული ვითარება. სტალინიც და ჰიტლერიც დიდწილად დიქტატორები იყვნენ, რადგან მათ შეეძლოთ თავიანთი ნების თავს მოხვევა ქვეშევრდომებზე, მაგრამ პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. ნათელი იყო ფაშიზმის ანტიკომუნისტური ორიენტაცია. და ასევე საქმე ეხებოდა აღმოსავლეთში უზარმაზარი მიწების დაპყრობასა და ადგილობრივი მოსახლეობის შემდგომ ექსპლუატაციას. ჰიტლერს 1933 წლის მარტის გამოსვლაში ნათქვამი ჰქონდა, რომ 6-8 წელიწადში მარქსიზმს მთლიანად გაანადგურებდა და რომ სამიზნე აღმოსავლეთი იქნება“.**

ეს ხელს აძლევდა ინგლისს, საფრანგეთს, შეერთებულ შტატებს. ბრიტანელი ისტორიკოსი **ალან ბულოკი,** რომელსაც სძულდა სტალინი და სსრკ, წერდა, რომ ნაციზმის იდეოლოგიის ევოლუციამ — ანტიმარქსისტული ლოზუნგებიდან ბოლშევიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოწოდებამ — ჰიტლერის მხარეზე გადაიყვანა კონსერვატიული წრეები ევროპასა და გერმანიაში.

ჰიტლერი იყო პოლიტიკოსი, რომელიც აკეთებდა სწორ გათვლებს. სხვა დასავლელი ლიდერებისგან განსხვავებით, ჰიტლერმა სწრაფად დაამყარა ნაცისტური პარტიის სრული დიქტატურა. სსრკ-შიც შეიქმნა ერთპარტიული სისტემა, მაგრამ განსხვავება ორ სისტემას შორის ფუნდამენტური იყო. ისმის კითხვა — რისთვის, რა მიზნისთვის შენდებოდა ასეთი სახელმწიფო ძალაუფლება? **გერმანული ფაშიზმი ორიენტირებული იყო სხვა ხალხების ჩაგვრაზე, რასიზმსა და ფაშიზმის გაძლიერებაზე. სტალინურ სისტემას საპირისპირო** ▶

**მიუნხენის შეთანხმება ისტორიაში ღალატისა და სიცრუის სიმბოლოდ შევიდა. გერმანელების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკია გადაიქცა მახვილად საბჭოთა კავშირის ცენტრისკენ, რადგან 1939 წლის მარტში ნაცისტებმა დაიპყრეს ეს ქვეყანა, მათ განკარგულებაში იყო მისი ძლიერი ინდუსტრიული პოტენციალი. მიისაკუთრეს ასობით ტანკი, 1,5 ათასი თვითმფრინავი, 43 ათასი ტყვიამფრქვევი, უზარმაზარი რაოდენობით ჭურვები და ვაზნები. ამასთანავე, გერმანიის ჯარები შევიდნენ ლიტვაში, აიღეს მემელის პორტი (კლაიპედა).**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ პრიორიტეტები ჰქონდა — მოსპო პარაზიტული სოციალური ჯგუფები (კრიმინალები, სპეკულანტები, მძარცველები, ბიუროკრატები და კორუფციაში ჩაფლული მოხელეები). ჰიტლერის სისტემა მიზნად ისახავდა „რჩეული" ერის ექსპლუატატორობას (ამით ის ბრიტანეთის იმპერიის მსგავსი იყო).** ჰიტლერს სჭირდებოდა ვერმახტის სამხედრო ძალაუფლების გაძლიერება და საკუთრების გაფართოება, თუმცა, ევროპაში მშვიდობის დამყარების შეთანხმებას ხელი არ მოაწერა და მხოლოდ სიტყვიერად განაცხადა თავისი აზრი ომის წინააღმდეგ. „როდესაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ენტონი იდენი** ბერლინში ჩავიდა, რაც თავისთავად ჰიტლერის დიპლომატიის ტრიუმფი გახლდათ, ჰიტლერი თანახმა იყო რამე აქტის ხელმოწერაზე და აღნიშნა, რომ გერმანია დიდ დახმარებას უწევს ევროპას შეიარაღებით და ამ შეიარაღებით იცავს მას კომუნისტური საფრთხისგან".

საზოგადად, წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები ფაშიზმს უფრო უჭერდნენ მხარს, ვიდრე სოციალიზმს. **ჩერჩილმა** აღიარა თავისი სიძულვილი სსრკ-ის მიმართ, მაგრამ არ უღიარებია იგივე ნაცისტური გერმანიის მიმართ, რომლის აღქმაც მტრად მხოლოდ ბრიტანეთის გავლენის დაკარგვის საშიშროების გამო დაიწყო, როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე მსოფლიოში. სტალინსა და ჰიტლერს ესმოდათ, რომ მათი შეტაკება სასარგებლო იქნებოდა, უწინარესად, ინგლისისთვის, რომელსაც თავის მოკავშირეებთან ერთად შეეძლო, დასუსტებულს ნებისმიერ მომენტში დასხმოდა თავს. **1937 წლის სექტემბრის ბოლოს მიუნხენში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფოთა მეთაურებს შორის. სსრ კავშირის წარმომადგენლები არ მიიწვიეს. საქმე ეხებოდა ჩეხოსლოვაკიის დაყოფას, რამაც განსაზღვრა ჰიტლერის აგრესია აღმოსავლეთის მიმართულებით.** ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ჩემბერლენი** არ მალავდა სიხარულს და ჰიტლერს მიუნხენის დატოვებამდე უთხრა: **„თქვენ გაქვთ საკმარისი თვითმფრინავები საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, მით უმეტეს, რომ ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების საფრთხე აღარ არსებობს".** მიუნხენის შეთანხმება ისტორიაში ღალატისა და სიცრუის სიმბოლოდ შევიდა. გერმანელების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკია გადაიქცა მახვილად საბჭოთა კავშირის ცენტრისკენ, რადგან 1939 წლის მარტში ნაცისტებმა დაიპყრეს ეს ქვეყანა, მათ განკარგულებაში იყო მისი ძლიერი ინდუსტრიული პოტენციალი. მიისაკუთრეს ასობით ტანკი, 1,5 ათასი თვითმფრინავი, 43 ათასი ტყვიამფრქვევი, უზარმაზარი რაოდენობით ჭურვები და ვაზნები. ამასთანავე, გერმანიის ჯარები შევიდნენ ლიტვაში, აიღეს მემელის პორტი (კლაიპედა). როგორც ჩანს, ჰიტლერს სსრკ-ზე დარტყმა სურდა, მაგრამ ასეთ დიდ ქვეყანაზე თავდასხმას სხვა მასშტაბის



**დიახ, 1937-1939 წლებში წითელი არმიიდან გაათავისუფლეს 37 ათასი მეთაური. მათგან 8000 იყო ბუნებრივი დანაკარგი (სიკვდილი, დაავადება, ასაკი ან დანაშაული). დანარჩენი 32 ათასიდან 6-8 ათასი დააპატიმრეს და დაახლოებით 13 ათასი აღადგინეს ჯარში 1941 წლის 1 იანვრამდე; დახვრიტეს 1-დან 4 ათასამდე (სხვადასხვა წყაროს მიხედვით). წითელი არმიის ოფიცერთა საერთო რაოდენობა 1941 წლის შუა რიცხვებში 680 ათასი იყო, ანუ აბსურდია იმ დანაკარგებზე საუბარი, რომელსაც სტალინს მიაწერენ!**

გათვლები სჭირდებოდა. 1939 წლის 10 მარტს სტალინმა თავის მოხსენებაში კომუნისტური პარტიის (ბ) მე-18 ყრილობაზე თქვა: **„გერმანიას დასავლეთიდან უბიძგებენ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას, რათა შემდეგ, როდესაც ეს ორი ქვეყანა დასუსტდება, თავად ავიდნენ სცენაზე ახალი ძალებით და იმოქმედონ, რა თქმა უნდა, „მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე" და თავიანთი პირობები უკარნახონ ომით დასუსტებულ ქვეყნებს. მარტივად და უბრალოდ!"** სტალინმა ნათლად გამოკვეთა სიტუაცია. საბჭოთა ლიდერის სიტყვებმა დაანახვა გერმანიას, რომ მათი ქვეყნებისათვის გონივრული იყო, თავიდან აეცილებინათ დაპირისპირება.

პოლონეთზე თავდასხმით, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფერო იყო, მიუნხენის შეთანხმება დაირღვა. ამ ვითარებაში ინგლისი და საფრანგეთი ვერ გაბედავენ მესამე რაიხისთვის ომის გამოცხადებას.

**შეიძლება, ჩემბერლენი იმედოვნებდა, ნაცისტური გერმანია დაწყნარდებოდა გარკვეული ტერიტორიების მიტაცების შემდეგ და დაკმაყოფილდებოდა, ამასობაში ჰიტლერი და სტალინი გააგრძელებდნენ შეიარაღებული ძალების გაძლიერებას, ხოლო რომელი მხარის მხარდაჭერა იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი, მოგვიანებით გამოჩნდებოდა, მაგრამ ახლა ჩემბერლენისთვის აუცილებელი იყო ევროპაში მისი პოზიციების განმტკიცება და ბრიტანეთის იმპერიის შენარჩუნებაზე ზრუნვა.**

ბრიტანეთის მმართველებს გერმანული ფაშიზმი ერჩივნათ რუსულ სოციალიზმს. სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა ხაზი გაუსვა კომუნიზმის იდეებისა და მშრომელ ხალხთა სახელმწიფოს შექმნის ღირსებებს. არსებობდა ამ იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება ბრიტანეთზე დამოკიდებულ კოლონიურ ქვეყნებში, რაც ნამდვილად ემუქრებოდა ბრიტანეთის იმპერიას. ჰიტლერის პრეტენზიები მის სამფლობელოსთან დაკავშირებით სერიოზული არ ჩანდა (არც ჩემბერლენისა და მისი მომხრეებისათვის და არც ჩერჩილისთვის).

ფაქტი ფაქტად რჩებოდა: სსრ კავშირის ყველა წინადადებას, ევროპაში მშვიდობა დამყარებულიყო ბრიტანეთთან და საფრანგეთთან შეთანხმების საფუძველზე, ეს ორი ქვეყანა არ ეთანხმებოდა და ერჩივნა მოლაპარაკებების გაჭიანურება. სტალინს კი მხოლოდ იმის იმედი რჩებოდა, რომ ჰიტლერი შეეცდებოდა, დაეპყრო დასავლეთ ევროპა — ჯერ თავს დაესხმებოდა ბელგიასა და საფრანგეთს და მხოლოდ ამის შემდეგ გარისკავდა ის და ჯარებს მიმართავდა აღმოსავლეთისკენ. ამ მომენტისთვის კი (1942-1943) სსრკ მოასწრებდა გადაიარაღებას და მზად იქნებოდა აგრესორის მოსაგერიებლად. ჰიტლერი არ იყო დარწმუნებული, რომ 1938-1939 წლებში შეძლებდა სწრაფად გამკლავებას სსრკ-თან. ასეც რომ ყოფილიყო, მაშინ ყველაფერი შეიძლება დასრულებულიყო იმით, რაზეც სტალინმა გააფრთხილა: ინგლისის ჰეგემონია ომის შემდეგ დასუსტებული გერმანიაზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საფრანგეთი და ინგლისი შეეგუებოდნენ მესამე რაიხის შემდგომ მნიშვნელოვან გაძლიერებას.

სხვა საკითხი იყო, რა ბედი ელოდა პოლონეთს, რომელიც გზას ულობავდა ნაცისტებს რუსეთისკენ. გერმანელების შეჭრა პოლონეთში ინგლისისა და საფრანგეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რაც ნიშნავდა მათ შეტაკებას გერმანიასთან და ეს პერიოდი სასარგებლო იყო სსრკ-ის უსაფრთხოებისათვის.

ომამდელ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ეკონომიკურ მდგომარეობას და საგარეო პოლიტიკას, არამედ სულიერ ფაქტორებსაც. ომში იმარჯვებენ არამხოლოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები, არამედ ის სახელმწიფო, რომელშიც შენარჩუნებულია ხალხის ერთობა და რწმენა ხელმძღვანელობის მიმართ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს პროპაგანდა სტალინური რეჟიმის „დანაშაულების" შესახებ და ჩამოთვლილია ისეთი საშინელებები, რომელთა გამოც მკითხველი უნდა აღივსოს სტალინისადმი სიძულვილით და აღმოჩნდა, რომ ამ საშინელი რეჟიმის განადგურება უწევდა გერმანიას. რეპრესიების მასშტაბების საიდუმლო დოკუმენტები, დიდი ხანია, გასაჯაროებულია (ხრუშჩოვს აცნობეს ამ მონაცემებზე, მაგრამ მან სხვა ციფრები მიუთითა). ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებულია და სერიოზული ისტორიკოსები და მკვლევარები არ უარყოფენ. **1939 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „გულაგში" (ГУЛАГ — Главное управление исправительно-трудовых лагерей. შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველო) იმყოფებოდა 454 432 პოლიტპატიმარი კონტრრევოლუციური დანაშაულებისათვის. დამეთანხმებით, რომ რაოდენობა ცოტა არ არის, მაგრამ არც 6 ან, თუნდაც, 10 მილიონია, როგორც ანტისტალინელები ამტკიცებენ.**

რამდენი პატიმარი გარდაიცვალა 1938 წელს?

**1939 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 1 317 195 პატიმრიდან (კრიმინალების ჩათვლით) გარდაიცვალა 50 502, გაიქცა 12 333, გაათავისუფლეს 223 622. შესაბამისად, გარდაცვლილთა რაოდენობა 3% -ზე ოდნავ მეტია. ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე ელცინიზმის პერიოდში „დამოუკიდებელი" რუსეთის მოქალაქეების სიკვდილიანობა.** ამ ციფრების დაჯერება ძნელია, მაგრამ ეს ოფიციალურად გამოიცა (იხილეთ ჟურნალი „სოციოლოგიური გამოკვლევები", (ყრჯმყ),1991 წ. N6) და დადასტურებულია დოკუმენტურად. ირკვევა, რომ ტერორი მიმართული იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა არმიისა და შს სახალხო კომისარიატის კონტრრევოლუციურად განწყობილი ნომენკლატურისკენ. იყო თუ არა თანამდებობის ბოროტად გამოყენება? დიახ! და რეპრესირებულნი იყვნენ ე.წ. რუსი ნაციონალისტები, „ქართველი ნაციონალისტები" და სტალინის მომხრეებიც კი.

**დიახ, 1937-1939 წლებში წითელი არმიიდან გაათავისუფლეს 37 ათასი მეთაური. მათგან 8000 იყო ბუნებრივი დანაკარგი (სიკვდილი, დაავადება, ასაკი ან დანაშაული). დანარჩენი 32 ათასიდან 6-8 ათასი დააპატიმრეს და დაახლოებით 13 ათასი აღადგინეს ჯარში 1941 წლის 1 იანვრამდე; დახვრიტეს 1-დან 4 ათასამდე (სხვადასხვა წყაროს მიხედვით). წითელი არმიის ოფიცერთა საერთო რაოდენობა 1941 წლის შუა რიცხვებში 680 ათასი იყო, ანუ აბსურდია იმ დანაკარგებზე საუბარი, რომელსაც სტალინს მიაწერენ!**

ეს წმენდა სსრკ-ში 1939 წელს დასრულდა. ანტისტალინელთა თქმით, სტალინის დევნის მანიისა და მისი ახირებების გამო, სავარაუდოდ, მოკლეს 40 ათასი ოფიცერი, რომელთა ფონზეც გამოირჩეოდა მარშალი **ტუხაჩევსკი**. გერმანიის შეიარაღებული „მარშალ ტუხაჩევსკის დაცემის რეალური მიზეზები ჯერ კიდევ გაურკვეველია; უნდა ვივარაუდოთ, რომ მისმა დიდმა ამბიციებმა გამოიწვია წინააღმდეგობა მას და მშვიდ, გონივრულ და გონებამახვილ **ვოროშილოვს** შორის, რომელიც სტალინის ერთგულია. ტუხაჩევსკის დაცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და აჩვენებს, რომ სტალინს ხელში უჭირავს წითელი არმია".

გამოდის, რომ ტუხაჩევსკი სტალინის ერთგული არ ყოფილა და ნაცებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის დაცემას ან რას ნიშნავს სიტყვები „სტალინს ხელში უჭირავს წითელი არმია"? ეს აჩვენებს, რომ წითელ არმიასა და შს სახალხო კომისარიატში იყვნენ ადამიანები, მათ შორის პროგერმანელი **უბორევიჩი** და ტუხაჩევსკი, რომლებსაც შეეძლოთ ლიდერის დამხობა. გერმანიის სამხედრო რიგებშიც იყვნენ ჰიტლერის პოლიტიკით უკმაყოფილო ჯგუფები და ამ ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ჰიტლერისა და სტალინის მსგავსი ქმედებები ძნელი გასაგები არ არის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




# ყურადღება!

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ეკომეომრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**10 წლის წინათ, სახელდობრ, სოცინტერნის ყრილობაზე შეიმუშავეს დღის წესრიგი, რომლის მიხედვით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უნდა შემცირებულიყო ნედლეულის გამოყენება საწვავად. დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ ამ დღის წესრიგის შესრულებას, წინასწარ კი მსოფლიოს ყველა კუთხეში საპროტესტო ტალღას აგორებას. საპროტესტო აქციებში ჩართავენ ბავშვებსაც, რომლებსაც წაკითხული ექნებათ დამხმარე სახელმძღვანელო მსოფლიო რევოლუციაზე — „როგორ შევცვალოთ ყველაფერი“.**

# გალიის ბავშვები: ახალი ხუნვეიბინები მსოფლიო რევოლუციას მოაწყობენ






ნაომი კლაინი და მისი წიგნი

**პოპულარულმა მოაზროვნემ ნაომი კლაინმა დაწერა წიგნი ბავშვებისთვის. ეს არ არის რაღაც ზღაპრები და ლექსები, ეს ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დამხმარე სახელმძღვანელოა შესაბამისი სათაურით „როგორ შევცვალოთ ყველაფერი“.**

**ნაომი კლაინი** ნორჩ მკითხველებს მოუწოდებს, გააპროტესტონ კლიმატური ცვლილებები გაფიცვების, დემონსტრაციების, პიკეტების მოწყობის გზით. მცირეწლოვან ხუნვეიბინებს („წითელგვარდიელები“ — 1966-1967 წლებში სტუდენტებისა და მოსწავლეებისგან შექმნილი ჯგუფები ჩინეთში, კულტურული რევოლუციის აქტიური მონაწილეები — ნ.კ.) სთავაზობენ, სოციალური ქსელების მეშვეობით შექმნან თავისებური „ინტერნაციონალი“. დამხმარე სახელმძღვანელო გათვლილია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

**მხოლოდ ღმერთმა უწყის, გაუმჯობესდება თუ არა კლიმატური პირობები დედამიწაზე ამ რევოლუციური აქტიურობით, მაგრამ ამ ბავშვებმა შეიძლება თავისუფლად შეარყიონ ეროვნული მთავრობები. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებიან ის პოლიციელები, რომლებსაც მოუწევთ მცირეწლოვანი „აქტივისტების“ თავყრილობის დაშლა, ან მდგომარეობა პრემიერ-მინისტრისა, რომელსაც ამის გამო ახსნა-განმარტება მოუწევს განრისხებულ მშობლებთან.**

თვითონ კლაინის ფიგურა პარადოქსულია. ერთი მხრივ, მან სახელი ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და, საერთოდ, კაპიტალიზმის დაუნდობელი კრიტიკით გაითქვა, მეორე მხრივ, ეს კორპორაციები მას ეთაყვანებიან, თავს ევლებიან და გულუხვად აფინანსებენ. მისი პირველი წიგნი **„No Logo, ადამიანები ბრენდების წინააღმდეგ“** დაბეჭდა არა ღარიბმა მამერცხენე გამოცემამ, არამედ Simon and Schuster-მა — მედიამაგნატ Viacom CBS-ის ქვეგანყოფილებამ. კორპორაცია Viacom-ს **სამნერ რედსტაუნის,** ამერიკელი მილიარდერისა და მედიამაგნატის, მემკვიდრეები აკონტროლებენ.

მას შემდეგ კლაინის ნაშრომი მხოლოდ მდიდარი მფლობელების პოპულარულ გამოცემებში იბეჭდება. კაპიტალიზმისა და გლობალიზმის კრიტიკისთვის კლაინს უკვე მიღებული აქვს უამრავი პრიზი და პრემია. ის გამოდის გაეროში თუ დავოსის ფორუმზე, მასთან დისკუსიებს მართავს ნობელის პრემიის ლაურეატი **ჯოზეფ სტიგლიცი.** მის ციტატებს იყენებს **რომის პაპი ფრანცისკე.** განსაკუთრებული სურათია: **ფილოსოფოსმა ქალმა შეძლო მემარცხენე დღის წესრიგის საკითხების გააქტიურება და ეს მოეწონათ მსოფლიოს ანტიგლობალისტებს, სოციალისტებსა და ანარქისტებს.**

ამასთანავე, მემარცხენე მოაზროვნე წარმატებით ტრიალებს ზუსტად იმ მილიარდერების საზოგადოებაში, რომლებსაც ის, როგორც გარედან ჩანს, ასე მამაცურად ებრძვის. როგორც ჩანს, მის წიგნებს კითხულობენ არა როგორც გაფრთხილებას მტაცებლური კაპიტალიზმის საშინელებებზე, არამედ მიაჩნიათ ამ მილიარდერების მოქმედების პროგრამად მსოფლიოს გადასაკეთებლად.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დასავლური ეკონომიკის ბოსებმა შესანიშნავი პიარმენეჯერი იპოვეს.

**კლაინის ოჯახიც გამორჩეულია. მისი ქმარი, ავი ლუისი, კანადის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელია. ლუისის ბაბუა კანადის ახალი დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელია, მამა კი ონტარიოს ახალ დემოკრატიულ პარტიას ხელმძღვანელობდა და გაეროში კანადას წარმოადგენდა.** კანადის ახალი დემოკრატიული პარტია შედის სოციალისტურ ინტერნაციონალში. მასში აქამდე გაერთიანებული იყვნენ ამერიკის დემოკრატი სოციალისტებიც — აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ყველაზე მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებიც. მათ მიეკუთვნებიან პარტიის ისეთი ცნობილი წევრები, როგორებიც არიან **ბერნი სანდერსი** და **ალექსანდრია ოკასიო-კორტესი.**

**10 წლის წინათ, სახელდობრ, სოცინტერნის ყრილობაზე შეიმუშავეს დღის წესრიგი, რომლის მიხედვით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უნდა შემცირებულიყო ნედლეულის გამოყენება საწვავად. დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ ამ დღის წესრიგის შესრულებას, წინასწარ კი მსოფლიოს ყველა კუთხეში საპროტესტო ტალღას აგორებას. საპროტესტო აქციებში ჩართავენ ბავშვებსაც, რომელთაც წაკითხული ექნებათ დამხმარე სახელმძღვანელო მსოფლიო რევოლუციაზე — „როგორ შევცვალოთ ყველაფერი“.**




მოსწავლეების საპროტესტო აქცია ბერლინში

**ხუნვეიბინების მოქმედების მიზანი ყველაფრის დანგრევაა — ინდუსტრიის, აგრომრეწველობის, საზოგადოების, სახელმწიფოს; ყველაფრის, რაც მათ ასაზრდოებს, აცმევს, ასწავლის. ამ იდეას ზრდასრულებს ვერ მიჰყიდიან, ამიტომ გავლენიანი ადამიანები მას ბავშვებს ატენიან**




ყველაზე პატარებისთვის კლაინმა თავისი წიგნის მოტივებზე შექმნა მულტფილმი. ის მომავლის საინტერესო პროგნოზია.

**„2023 წელს,** — ისმის პირქუში ხმა კადრს მიღმა, — **მასშტაბურმა გვალვამ გამოიწვია გიგანტური ტაიფუნები და წყალდიდობები. ადამიანები თავის გადარჩენას გაქცევით შეეცადნენ. ლტოლვილები ცხოვრობდნენ კარვებში. სამყოფი არ იყო არც წყალი და არც საკვები. ამ მომენტში ბიზნესის დინოზავრები მოითხოვდნენ ახალ მსხვერპლთშეწირვას ეკონომიკური ზრდის სახელით...“** შემდეგ, სიუჟეტის მიხედვით, ადამიანები ერთიანდებიან და იწყებენ აჯანყებას. გაფიცვებში ერთვებიან ფერმერები, მძღოლები, კურიერები, პროფკავშირის წევრები. **პოლიცია კლავს საკვების მიმტან შავკანიანს და ეს საკრალური მსხვერპლი გააერთიანებს მასებს. პროცესი სრულიად მსოფლიოში მიმდინარეობს, მისთვის საზღვრები არ არსებობს. გაფიცვები ანგრევს ეკონომიკის ნარჩენებს. ახალგაზრდები კვდებიან ბარიკადებზე. მსოფლიო რევოლუცია წარმატებით ამხობს ეროვნულ მთავრობებს, მათ ადგილს კი იკავებს ახალი გლობალური მწვანე რეჟიმი.**

ეს ყველაფერი მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ სულელურ ზღაპარს ჰგავს, მაგრამ მსგავს სცენარს უკვე აქტიურად ცდიან („ტესტავენ“) რეალურ ცხოვრებაში. **ყმაწვილი ეკომეომარი დიშა რავი ინდოეთიდან ცოტა ხნის წინათ ცდილობდა ადგილობრივი ფერმერების პროტესტის გადაყვანას პოლიტიკურ სიბრტყეზე. მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მოწოდებები და მოაწყო მასობრივი მწვანე მოძრაობა. უზარმაზარი ინდოეთისთვის, სადაც ადამიანებს საკვები არ ჰყოფნით, ხოლო ფერმერები ხშირად თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს, სოფლის მეურნეობის თემა ძალიან მწვავეა და ვითარება შეიძლება ნებისმიერ მომენტში აფეთქდეს.**

რავიმ გაუფრთხილებლობით გამოაქვეყნა **გრეტა ტუნბერგის** მეთოდური სახელმძღვანელო, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ანტისამთავრობო მოქმედებების ეტაპები. პოლიციამ დიშა რავი შეთქმულებისა და არეულობების მოწყობის ბრალდებით დააპატიმრა, სასამართლომ გირაოთი კი გაათავისუფლა, მაგრამ მისი პერსპექტივა ბუნდოვანია. **კანონმდებლობა ჩამორჩება ახალ რევოლუციონერებს, და რავის მოღვაწეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც უცოდველი ეკოაქტიურობა.**

ნაომი კლაინმა ახლახან გამოაქვეყნა რაკის მხარდამჭერი დიდი წერილი. აგრეთვე, აღტაცებულია გრეტა ტუნბერგით: „ის, უბრალოდ, ჩემი გზის მანათობელი ვარსკვლავია... ხშირად მახსენდება, როგორ თქვა დავოსში: „გეყოფათ ბლა-ბლა-ბლა!“ კიდევ ერთი მოდელი, რომელსაც ფილოსოფოსი აპიარებს, არის 13 წლის **ტოკატა რკინის თვალება,** სიუს ტომის წარმომადგენელი გოგონა, რომელიც 9 წლიდან აპროტესტებს ურანის მაღაროებსა და ნავთობსადენებს.

ხუნვეიბინების მოქმედების მიზანი ყველაფრის დანგრევაა — ინდუსტრიის, აგრომრეწველობის, საზოგადოების, სახელმწიფოს; ყველაფრის, რაც მათ ასაზრდოებს, აცმევს, ასწავლის. ამ იდეას ზრდასრულებს ვერ მიჰყიდიან, ამიტომ გავლენიანი ადამიანები მას ბავშვებს ატენიან.

დღეს კლაინის წიგნზე წერს და ლაპარაკობს მსოფლიოს თითქმის ყველა გავლენიანი მედიასაშუალება და მას, ალბათ, ყველა ენაზე გადათარგმნიან, მათ შორის ქართულადაც. ყოველ შემთხვევაში მასში აღწერილი პოლიტტექნოლოგიები მსოფლიოს მოედება და გამორიცხული არ არის, ოპოზიციის აქციებზე სკოლის მოსწავლეებიც ვიხილოთ და ეს დასაწყისი იქნება. ჩვენი შვილები შეიძლება გახდნენ საექსპერიმენტო მასალა და მათი მეშვეობით შეეცდებიან ჩვენი სამყაროს დანგრევას.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მავნე აირები და ადამიანები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფრანცისკე ნიუ-იორკში შეხვდა როტშილდების კლანის წარმომადგენელ ლინ დე როტშილდს — „ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის“ კოალიციის (COALICION FOR INCLUSIVE CAPITALISM. CIC) ხელმძღვანელს. ნიუ-იორკში ხელმოწერილი ხელშეკრულება ითვალისწინებს ინკლუზიური კაპიტალის საბჭოს შექმნას ვატიკანთან ერთად. ამ პარტნიორობაში მონაწილეობს 48 ბანკი, ფონდი, კორპორაცია, რომლებიც მართავენ 10,5 ტრილიონი დოლარის აქტივებს.**

# მავნე აირების გამოყოფის ცოდვის მიტევებას ვატიკანი ინდულგენციების გაყიდვით იწყებს?



**2021 წლიდან სიმღერა Climate Catastrophe (კლიმატური კატასტროფა) იქცა მთავარ ნომრად „მომღერალთა გუნდისა“, რომლის შემადგენლობაში არიან გერმანელი ეკონომისტი, დავოსის საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორი კლაუს შვაბი, დიდი ბრიტანეთის პრინცი ჩარლზი, „მაიკროსოფტის“ მფლობელი, მილიარდერი ბილ გეიტსი, მილიარდერი ლინ დე როტშილდი და რომის პაპი ფრანცისკე.**



2 მარტს დასავლეთის წამყვანმა მედიასაშუალებებმა გამოაქვეყნეს რომის პაპ **ფრანცისკეს** მონათხრობი ბიბლიური ისტორია **ნოეზე,** რომელმაც ააგო კიდობანი თავისი ოჯახისა და ცხოველების გადასარჩენად კაცობრიობის გამანადგურებელი წარღვნისგან. პონტიფიკოსმა ყველა გააფრთხილა, რომ **„ტემპერატურის მომატებისა და ყინულების დნობის გამო ხალხებს ემუქრებათ დიდი წყალდიდობა, თუ ჩვენ კვლავ ძველი მიმართულებით ვივლით“.**

ზოგიერთი ექსპერტი პაპის განცხადებას უკავშირებს **ბილ გეიტსის** წიგნის გამოცემას სათაურით „როგორ ავიცილოთ კლიმატური კატასტროფები“. თვალსაზრისს კლიმატური დათბობის შესახებ „რელიგიური რწმენა“ უწოდეს და ამიტომაც დასჭირდა „სათბურის ეფექტის თეორიას“ რელიგიური მოღვაწის ხმა და მხარდაჭერა.

რომის პაპის მრევლი კაცობრიობის თითქმის მეექვსედს ითვლის — კათოლიკების რაოდენობა 1,2 მლრდ ადამიანია. რომის კათოლიკური ეკლესიის ტახტზე ჯდომის 7 წლის განმავლობაში მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმედება ეკოლოგიის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის სფეროში იყო ენციკლიკა (პაპის მიერ გამოცემული დოკუმენტი ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ და ზნეობრივ საკითხებზე, რომელიც განკუთვნილია მორწმუნეთათვის — ნ.კ.) **„ქებათაქება შენ“** (Laudato si). ეს არის თავისებური ინსტრუქცია, როგორ უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები, „სიცოცხლის უსაფრთხოების საფუძვლების“ სახელმძღვანელოს მსგავსი.

თავში „კლიმატი, როგორც საერთო სიკეთე“ ვკითხულობთ: **„მეცნიერული გამოკვლევები მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო ათწლეულებში გლობალური დათბობა გამოწვეულია ადამიანის მოღვაწეობის შედეგად წარმომნილი** (ნახშირორჟანგი, მეთანი, აზოტმჟავა და სხვ.) **სათბურის ეფექტის მქონე აირების გამოყოფით, რადგან ეს აირები გროვდება ატმოსფეროში, ისინი ეწინააღმდეგება მზის სხივებით დაგროვილი სითბოს გაფანტვას...“**

სინამდვილეში „სათბურის ეფექტი“, როგორც პლანეტაზე დათბობის მიზეზი, მხოლოდ ჰიპოთეზაა, ისეთივე, როგორიცაა საწინააღმდეგო ჰიპოთეზა გლობალური აცივების შესახებ.

**პაპი ფრანცისკე თავის ენციკლიკაში ლაპარაკობს მეორე მსოფლიო წარღვნაზე, თუმცა წმინდა წერილიდან ცნობილია, რომ წარღვნა იყო პირველი და უკანასკნელი. ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „და უთხრა ღმერთმა ნოესა და მის შვილებს მასთან ერთად: ... გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად“ (დაბადება 9.8-11).**

2020 წლის დეკემბერში რომის პაპი ესტუმრა ნიუ-იორკს, სადაც ორგანიზებული იყო შეხვედრა **„ინკლუზიური კაპიტალიზმის“** მქადაგებლებთან. ამ დოქტრინის ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენს „მწვანე ენერგეტიკა“ ან „ნახშირწყალბადოვანი გადატვირთვა“.

ფრანცისკე ნიუ-იორკში შეხვდა როტშილდების კლანის წარმომადგენელ **ლინ დე როტშილდს,** „ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის“ კოალიციის (Coalicion for Inclusive Capitalism. CIC) ხელმძღვანელს. ნიუ-იორკში ხელმოწერილი ხელშეკრულება ითვალისწინებს ინკლუზიური კაპიტალის საბჭოს შექმნას ვატიკანთან ერთად **(The Council for Inclusive Capitalism with The Vatican, CICV).** CICV — ამ პარტნიორობაში მონაწილეობს 48 ბანკი, ფონდი, კორპორაცია, რომლებიც მართავენ 10,5 ტრილიონი დოლარის აქტივებს.

საინტერესოა ენციკლიკა Laudato si-ს წარმოშობის იდეა. ამ დოკუმენტის მომზადების კონსულტანტი **ჰანს იოახიმ შნელნჰუბორი** იყო **ჟოზე მანუელ ბაროზუსა** და **ანგელა მერკელის** მრჩეველი, მონაწილეობდა 1992 წლის კიოტოს პროტოკოლის მომზადებაში ატმოსფეროში მავნე აირების გამოყოფის შესახებ. ის „სათბურის ეფექტის თეორიის“ ერთ-ერთ თავგამოდებულ დამცველად ითვლება. პაპის ენციკლიკა 2015 წელს გამოქვეყნდა პარიზში, კლიმატური ცვლილებების მსოფლიო კონფერენციის გამართვამდე რამდენიმე თვით ადრე.

**ბევრი დარწმუნებულია, რომ ენციკლიკის დახმარებით პაპი კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმებას ლობირებდა. „ნახშირბადოვანი გადატვირთვის“ გეგმის ლობირება სხვა არხებითაც მიმდინარეობს. 2015 წელს შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ციფრული პლატფორმა TED-ი, რომლის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს „უკუათვლის“ ინიციატივის შესახებ.**

დაიწყო უკუათვლა დღეებისა, რომელთა გასვლის შემდეგაც ბუნებრივი რესურსების საწვავად გამოყენების აკრძალვით გაჩერდება ტემპერატურის მომატება.

გასული წლის 10 ოქტომბერს პაპმა ფრანცისკემ პლატფორმა TED-ის აუდიტორიას ქადაგებით მიმართა პროექტ „უკუათვლის“ ამუშავების გამო. ინიციატივას მხარი დაუჭირა 50-ზე მეტმა პოპულარულმა ადამიანმა და საჯარო პირმა, მათ შორის გაეროს გენერალურმა მდივანმა **ანტონიუ გუტერეშმა** და დიდი ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილმა, პრინცმა **უილიამმა.**

2020 წლის დეკემბერში კლიმატის შესახებ მორიგ ონლაინსამიტზე პაპმა ფრანცისკემ აღნიშნა, რომ „ნახშირბადოვანი გადატვირთვით“ ხელშეწყობა პირადი მაგალითითაც შეიძლება, ის გულისხმობდა ვატიკანს.

საერთოდ კი, ეს ძალიან უცნაურია: **სახელმწიფო ვატიკანის ტერიტორია სულ 44 ჰექტარია და პონტიფიკოსი ყველას საზეიმოდ დაჰპირდა, რომ 2050 წლისთვის ვატიკანში მავნე აირების გამოყოფა ნულამდე დაეცემა. აქვე აღსანიშნავია „ვატიკანის დეკარბონიზაცია“. ვატიკანის შენობების თავზე უკვე დამონტაჟებულია 2 ათასი მზის პანელი და კოლექტორი გასათბობად და გასაციებლად.** ელექტრომობილების მწარმოებლებმა პაპს რამდენიმე ავტომობილი აჩუქეს, ცოტა ხნის წინათ კი ის საზოგადოებაში გამოჩნდა წყალბადის საწვავზე მომუშავე პაპამობილის მოდიფიცირებული მოდელით — Toyota Mirai სპეციალურად ფრანცისკესთვის შექმნეს. პაპი, აგრეთვე, გეგმავს 2021 წლის ნოემბერში კლიმატის შესახებ გაეროს კლიმატის შესახებ სამიტში მონაწილეობასაც.

**P.S. 2020 წლის დეკემბერში რომის პაპმა პანდემიის გამო ცოდვების მასობრივი მიტევება გამოაცხადა. მისი თქმით, კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში პაპის მხრიდან ინდულგენციების გაცემა აუცილებელია. გამორიცხული არ არის, ვატიკანის მეთაურის ახალი იდეა იყოს ინდულგენციების გაცემა ნახშირბადოვანი შეზღუდვების დაწესების გამოც.**

**საინტერესოა, რა ეღირება მიტევება ისეთი „ცოდვისა“, როგორიც არის ატმოსფეროში სათბურის ეფექტის შემქმნელი მავნე აირების გამოყოფა.**

**პაპი ფრანცისკე თავის ენციკლიკაში ლაპარაკობს მეორე მსოფლიო წარღვნაზე, თუმცა წმინდა წერილიდან ცნობილია, რომ წარღვნა იყო პირველი და უკანასკნელი. ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: «და უთხრა ღმერთმა ნოესა და მის შვილებს მასთან ერთად: ...ვდებ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად» (დაბადება 9.8-11)**




**2020 წლის დეკემბერში რომის პაპმა პანდემიის გამო ცოდვების მასობრივი მიტევება გამოაცხადა. მისი თქმით, კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში პაპის მხრიდან ინდულგენციების გაცემა აუცილებელია. გამორიცხული არ არის, ვატიკანის მეთაურის ახალი იდეა იყოს ინდულგენციების გაცემა ნახშირბადოვანი შეზღუდვების დაწესების გამოც. საინტერესოა, რა ეღირება მიტევება ისეთი «ცოდვისა», როგორიც არის ატმოსფეროში სათბურის ეფექტის შემქმნელი მავნე აირების გამოყოფა**



fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნარკოტიკები საუკუნეების განმავლობაში უკავშირდება შეიარაღებულ დაპირისპირებებს, ხშირად ომების ენერგიის მთავარ ფსონად და მოგებად წარმოგვიდგება და დღესაც მსოფლიოს მრავალ რეგიონში კონფლიქტების დაფინანსების ეფექტიან წყაროდ რჩება, ამასთან, რიგი არმიების ფინანსური ინსტრუმენტიცაა. მოთხოვნა-მიწოდების საჭიროების მიხედვით, ნარკოტიკები იცვლება შეიარაღებაზე, შეიარაღება — ნარკოტიკებზე.**

# ნარკოტიკები და პოლიტიკა

**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, უშიშროების გენერალ-მაიორმა ჯემალ ჯანაშიამ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას გამოუგზავნა საინტერესო სტატია, რომელშიც ფართო კუთხით გაანალიზებულია ნარკოტიკების ზეგავლენის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებზე. მკითხველებს დღეს წერილის პირველ ნაწილს ვთავაზობთ.**

## ომების ენერგია


ჯემალ ჯანაშია

ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედ ნივთიერებასა და გარე სინამდვილის კონფლიქტებს შორის არსებული კავშირი ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ მითოლოგიაშია ასახული. „ილიადაში“ აქაველ მებრძოლებს ტროას მისადგომებთან ძილის დროს ორფეოსი მოინახულებდა, ყაყაჩოს ღერით მოეფერებოდა და ცდილობდა, მათ სიზმარ-ოცნებებში შეეღწია. მებრძოლებსა და გონებაზე ზემოქმედ ნივთიერებებს შორის კავშირს მომდევნო ისტორიაც ადასტურებს. ამ კავშირის უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ეფექტი, რომელიც მებრძოლებს სტიმულს აძლევდა, შემართებით ყოფილიყვნენ, უკარგავდა შიშის განცდას, ხოლო ბრძოლის შემდგომ უხსნიდა დაძაბულობას და ამშვიდებდა.

ნარკოტიკი ამ ფუნქციას თანამედროვეობის ეთნიკურ კონფლიქტებში დღესაც ასრულებს. იგივე ითქმის ყველა სამოქალაქო ომზე (ავღანეთი, ლიბანი, ლიბერია, ნიკარაგუა, კოლუმბია, ბალკანეთი, კავკასია და სხვ.). თუ საკითხს ისტორიულ ჭრილშიც განვიხილავთ, დავინახავთ, რომ **ნარკოტიკები საუკუნეების განმავლობაში უკავშირდება შეიარაღებულ დაპირისპირებებს, ხშირად ომების ენერგიის მთავარ ფსონად და მოგებად წარმოგვიდგება და დღესაც მსოფლიოს მრავალ რეგიონში კონფლიქტების დაფინანსების ეფექტიან წყაროდ რჩება, ამასთან, რიგი არმიების ფინანსური ინსტრუმენტიცაა. მოთხოვნა-მიწოდების საჭიროების მიხედვით, ნარკოტიკები იცვლება შეიარაღებაზე, შეიარაღება — ნარკოტიკებზე.**

ასეთ ქვეყნებში მეფობს უკანონობა, ხშირად თავს იჩენს ეთნიკური უთანხმოება, ადვილად იქმნება კრიმინალური გაერთიანებები, დამნაშავეთა ტრანსნაციონალური ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც, ნარკოტიკების უკნონო ბრუნვის გარდა, სხვადასხვა კანონსაწინაალმდეგო ქმედებებში არიან ჩაბმული. საფრთხეს უქმნიან უშიშროების სისტემის საერთო არქიტექტურას: სახელმწიფოში მოშლილია მართვისა და კონტროლის ცენტრალიზაცია, რაც მოსახლეობაში უნდობლობის და გულგრილობის ატმოსფეროს ქმნის, აზიანებენ დემოკრატიულ პრინციპებს და ადამიანის უფლებათა დამცველ ინსტიტუციებს. მათ ხელი მიუწვდებათ იარაღზეც და, რაც მთავარია, არც თუ იშვიათად, **ასეთი ქვეყნების მმართველი ელიტები თავადვე ქმნიან დაცულ არხებსა და ნარკოტიკების წარმოების, დამზადებისა და გავრცელების გარემოს.** მზარდი ნარკოკრატია, როგორც ცივილიზაციის მესაფლავე და, აგრეთვე, ზემოთ აღწერილი საფრთხეები, რომლებიც ასეთი პოლიტიკის შედეგად ექმნება ამა თუ იმ ქვეყანას, მოითხოვს იმ საშიშროების გაანალიზებას, თუ რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას საერთოდ მთელი მსოფლიოსთვის.

**ომებში, კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში თითქმის ყოველთვის ფიგურირებს ნარკოტიკები. მათი მუდმივი სამოქმედო არეალია ინდოჩინეთი, ხმელთაშუა და შავი ზღვის სივრცეები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. ისინი ასეთი სახით ყველა რუკასა და ყველა ისტორიული აღწერისა თუ უძველეს დოკუმენტებში არის მოხსენიებული.**

მეცნიერებისთვის, რომლებიც ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორიას სწავლობენ, უდავოდ საინტერესოა მისი ინტერნაციონალური კომერციის ხანა, როდესაც ტოქსიკომანიის შემოჭრასთან ერთად ზეიმით იხსნება ფულის სალაროები და ნარკოტიკები იმპერიული ომების ცენტრში ექცევა.

საინტერესოა, რომ ოტომანთა იმპერიაში უცხოეთთან ოპიუმის კომერცია ხელისუფლების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. XIX საუკუნის მიწურულს ოტომანთა ბანკს, ფრანკო-ბრიტანული კონსორციუმის ფილიალს, კონიისა და აფიონის (სიტყვა-სიტყვით „ოპიუმის ქალაქის“) მწარმოებელი რეგიონების შუაგულში ჰქონდათ თავიანთი განყოფილებები და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დასავლეთის ფარმაცევტულ კომპანიებთან.

თურქეთში ოპიუმის ყაყაჩოს ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის **ქემალ ათათურქის** მიერ შექმნილი სახელმწიფო მონოპოლიის საშუალებით იყიდებოდა, მეორე ნაწილისთვის პარალელური ქსელები გამოიყენებოდა, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო ფრანგული ქსელები (მიმართულება) – French Connection.




**თუ 1980 წლისთვის ჰეროინის მოხმარება არც ისე დიდი მასშტაბით ხასიათდებოდა, 1990 წლისთვის მომხმარებელთა რაოდენობამ 1,5 მილიონს მიაღწია. ამჟამად კი 58 მილიონია**

ინტერნაციონალური განვითარების ამერიკული სააგენტოს (AID) კონფიდენციალურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმხანად არალეგალური ბაზრისკენ მიმართული ოპიუმის წარმოება სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით ნახევარს შეადგენდა. ასე გაგრძელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1961 წლის ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ერთიანი კონვენციის მიღებამდე, რომლის შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ზემოქმედებით თურქეთმა ოპიუმის ყაყაჩოს — ხაშხაშის კულტივაცია 21-დან 14 პროვინციამდე დაიყვანა და, შესაბამისად, შეამცირა ოპიუმის წარმოებაც.

აკრძალვა, რომელიც შორსაა დასახული მიზნის მიღწევისგან, თანხვდება ნარკოტიკების მოხმარების აფეთქებას. ისტორიის ეს მომენტი კოლონიურ მსოფლიოსა და თანამედროვე ქვეყნებს, მაგიურ მედიცინასა და ქიმიურ რაციონალიზმს, წარსულ რელიგიურ რწმენასა და თანამედროვეობის მორალურ ამბოხებას შორის ნათლად გვაძლევს ნარკოტიკების გასაღება-მოხმარების მსოფლიო ისტორიულ სურათს, რომელშიც იოლად ამოვიცნობთ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ თანამედროვე ფენომენს.

აქვე ჩნდება ლოგიკური შეკითხვა — **რატომ ექცევა ნარკოტიკი ყველა ომისა და კონფლიქტის შუაგულში?** პასუხი მრავალმხრივ გაანალიზებას მოითხოვს.


თეთრი სიკვდილი

**უპირველესი:** უკანონო ნარკოტიკს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს განსაკუთრებული თვისებების მქონე აკრძალული ნივთიერებებით ვაჭრობის საგანს. ამ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია მოგებამოხვეჭა, ანუ უკანონო სარგებლის მიღება. **თითოეული ეტაპი, თავის მხრივ, საშუამავლო ოპერაციების მთელ სერიას წარმოადგენს. იწყება სავარგულიდან პროდუქციის მიღებით, გაივლის გადამუშავების რამდენიმე ფაზას და ბოლოს გასაყიდად გააქვთ. მოგება ყოველ ეტაპზე კოლოსალურად იზრდება: კოკაინის ღირებულება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საშუალოდ 2000-ჯერ ძვირდება, ჰეროინი — 700-ჯერ.** სოციოლოგ **ალენ ჯოქსის** აზრით, „თითოეული ეს ეტაპი ხელისუფლების სამხედრო ძალის თავმოყრის ადგილს წარმოადგენს, რადგანაც დიდი მოგების შედეგად ადვილად შეიძლება ჯარისკაცების გამოკვებაც და შეიარაღებაც“.

**ასეთ კომერციას რამდენიმე ფორმა აქვს: თავდაპირველად იარაღის გაცვლა ნარკოტიკში. მაგალითად, იტალიური კამორა 1990 წელს ყოფილ იუგოსლავიაში იარაღს ჰეროინითა და კოკაინით ყიდულობდა. შემდგომ ამ იარაღს ნარკოტიკებზე უცვლიდა ლათინური ამერიკის ნარკოკარტელს. იყო შემთხვევები, როდესაც გამსაღებელი კლიენტს სთავაზობდა ერთდროულად იარაღსა და ნარკოტიკს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს უკანასკნელი მას მიწოდებული ნარკოტიკების საცალო და ფასნამატით გასაღების შემდეგ ერთად გადაუხდიდა იარაღისა და ნარკოტიკების ღირებულებას და შესაძლოა, მოგებაც დარჩენოდა. ეს კარგი საშუალება იყო ქსელის გაორმაგების თავიდან ასაცილებლად (ალტერანტიული გზის ძიება) და გამსაღებლის ერთგულების მოსაპოვებლად. ბალკანეთის გზაზე სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა, როდესაც დაკავებულ გადამზიდს ჰეროინთან ერთად ბალისტიკური რაკეტა სტინგერი გადაჰქონდა.**

ნარკოტიკი XX საუკუნის მეორე ნახევარში მრავალი კონფლიქტის მიზეზად წარმოგვიდგა. მაგალითად, კომინპტანგის ჯარის მიერ ბირმის გათავისუფლების მცდელობა; ვიეტნამსა და ლიბანში მიმდინარე კონფლიქტი, ნიკარაგუაში მიდინარე გარე და შიდა დაპირისპირებები; ავღანეთის ომი; კავკასიაში და ბალკანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომები და კრიზისები გარე და შიდა ჩარევების ფონზე.

**1980-იან წლებში ნარკოტიკის წარმოებამ კვლავ იფეთქა და დაიწყო ნარკოტიკის ვაჭრობით მიღებული ფულის გათეთრება. საიდუმლო სამსახურებს არ ან ველარ დარჩა მონოპოლია. ნარკოტიკი აფინანსებდა პლანეტის ნაცრისფერი ზონის მოთარეშეთა არმიებს და ხელს არ უშლიდა ადგილობრივი მთავრობების წარმომადგენლებს მათთან (მოთარეშეებთან) ურთიერთობის გაგრძელებაში. უფრო მეტიც, მას სტრატეგიული ამოცანების დასაფინანსებლადაც იყენებდნენ. მაგალითად, ჰეროინით მიღებული თანხით დაფინანსდა პაკისტანში სამხედრო მიზნებისთვის წარმოებული ბირთვული კვლევები.**

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეში მოქმედი მცირე შეიარაღებული შენაერთები თუ არმიები ნარკოტიკების პლანტაციებიდან მიღებულ პროდუქციაზე დაწესებული გადასახადებით ფინანსდება. ეს სამხედრო ორგანიზაციები საკმაოდ კარგად შეიარაღებული, მობილური და მაღალპროფესიულ დონეზეა დაკომპლექტებული. მაგალითად, პერუში **„სანდერო ლუმინოსო“** (ნათელი გზა) ჩაერია ამერიკის მიერ წამოწყებულ კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავდა ცნობილ უალაგას ხეობაში კოკას სხვა კულტურებით ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას. „სანდერო ლუმინოსოს“ და ნარკოტიკების ურთიერთკავშირი 1986 წლით თარიღდება. ამ დროს მან ჩამოიცილა ყველა კონკურენტი და თვითონ გახდა შუამავალი გლეხებსა და კოკაინის ნედლეულის შემსყიდველებს შორის. ამ სისტემამ შეუწყვეტლივ იმუშავა 1988 წლიდან 1993 წლამდე.

ღრმა მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს ნარკოტიკების როლი **ავღანეთის ომში** და იმ ეთნიკურ დაპირისპირებებში, რომლებიც ამ რეგიონს ახასიათებს. პლანეტის ამ ცხელ წერტილში ნათლად გამოჩნდა, როგორი მძლავრი სტიმულატორია ომები და ეთნიკური კონფლიქტები ნარკოტიკების წარმოება- გავრცელებისთვის და რა როლს თამაშობს მასში მსოფლიოს სახელმწიფოები

ისტორიულად, **1979 წლამდე, სანამ ძალაუფლებას ხელში კომუნისტური ძალები აიღებდნენ, ოპიუმის ყაყაჩო — ხაშხაში — ავღანეთის 34 პროვინციიდან 25-ში მოჰყავდათ. განსაკუთრებით მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა ოთხი პროვინცია (ნანგახარი, ყანდაარი, ბალხი და ბადახშანი) და აქტიურად გამოიყენებოდა სახალხო ფარმაკოთერაპიაში, რაც ყოველთვის კონტროლდებოდა. ხაშხაშის ნაწარმსაც მრავალი დანიშნულებით იყენებდნენ: მარცვალი ზეთსა და საპონს იძლეოდა, ღერო** ▶

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომებში, კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში თითქმის ყოველთვის ფიგურირებს ნარკოტიკები. მათი მუდმივი სამოქმედო არეალია ინდოჩინეთი, ხმელთაშუა და შავი ზღვის სივრცეები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. ისინი ასეთი სახით ყველა რუკასა და ყველა ისტორიული აღწერისა თუ უძველეს დოკუმენტებში არის მოხსენიებული.**

**— მცენარეულ საღებავს, ნამჯას საქონლის საკვებად ხმარობდნენ.**

ავღანური ოპიუმის მცირე ნაწილი გაჰქონდათ თურქეთისა და ირანის ლაბორატორიებში, სადაც ჰეროინად გადაამუშავებდნენ. ქაბულში მხოლოდ 1970 წელს გამოჩნდა **ირანული წარმოშობის ჰეროინი,** მაგრამ საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით.

ოპიუმით მოვაჭრეებსა და მწარმოებლებს წინ რომ აღდგომოდა ავღანეთის ხელისუფლება, უდიდეს ფინანსურ დახმარებას იღებდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისგან, უპირველესად კი, ამერიკის შეერთებული შტატებისგან. სტატისტიკური მონაცემებით, 1980 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება საშუალოდ 300 მლნ დოლარს აღწევდა, მაშინ, როდესაც ოპიუმის შავ ბაზარზე გაყიდვას 21 მილიონი დოლარი შემოჰქონდა.

## ხაშხაშის როლი ავღანეთისა და პაკისტანის სახელმწიფოთა ეკონომიკასა და პოლიტიკაში

საბჭოთა ჯარების შეჭრამ ავღანეთში სრულიად შეცვალა იქ არსებული ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. ომის მასშტაბების მკვეთრმა ზრდამ გლეხებს, რომელთა სავარგულები ავიაციის დაბომბვის შედეგად საგრძნობლად შემცირდა, ბიძგი მისცა, ხელი მოეკიდათ უფრო ნაკლებად მომთხოვნი და რენტაბელური კულტურებისათვის, სამაგიეროდ კონტრაბანდისტებმა დაუბრკოლებლად შეძლეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება. მოგვიანებით მოჯაჰედებიც მიხვდნენ იმ სარგებელს, რომლის მოტანაც „ყაყისფერ ოქროზე“ კონტროლის დაწესებას შეეძლო.

**1988 წელს ოპიუმიდან წარმოებულმა პროდუქციამ 1,5 ტონას მიაღწია, ხოლო, როდესაც საბჭოთა ჯარები ქვეყნიდან გავიდნენ (1989წ.) და 1992 წელს ქაბულში ახალი ისლამისტური მთავრობა დაფუძნდა, დაიწყო პროდუქციის ბუმი. მიზეზი, რა თქმა უნდა, ეკონომიკური იყო. იმ რაიონებში, რომლებიდანაც საბჭოელები და დემოკრატიული მთავრობის მომხრეები წავიდნენ, ინფრასტრუქტურა მთლიანად დაინგრა, განსაკუთრებით კი, სარწყავი და ტრადიციული ქების (კარეზების) სისტემა დაზარალდა.** ასე რომ, ხაშხაში როგორც ნაკლებმომთხოვნი კულტურა, წინა პლანზე დადგა და გლეხებმა აქტიურად დაიწყეს მისი მოყვანა. ამას დაემატა ისიც, რომ 1989 წელს ლტოლვილები უკან დაბრუნდნენ და მათგან 3 მილიონი (ბანაკებში) კარვებში ცხოვრობდა. მიტოვებული მიწების დაპატრონების მიზნით ქვეყნის სამხრეთ რაიონებში მიგრანტების დიდი რაოდენობა ჩავიდა ირანიდანაც.

1992 წლიდან ლტოლვილთა დაბრუნებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობდა ამ პროცესს და 130 დოლარსა და 300 კგ ხორბალს უგზავნიდა მას, ვინც ლტოლვილის ბარათს აბარებდა, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისი



**ბინ ლადენი რთული ფენომენი იყო. მას «კონტროლიდან გამოსულ პროფესიონალად» მიიჩნევენ. ჰქონდა სერიოზული სპეციალური განათლება. მისი სტრატეგიიდან და ტაქტიკური სვლებიდან ჩანდა, რომ იგი საკმაოდ ახლოს იყო სპეცსამსახურებთან. უპირველეს ყოვლისა, საშიში იყო იმიტომ, რომ «იდეური პიროვნება» გახლდათ. იბრძოდა არა ფულისთვის ან ხელისუფლებაში ადგილის მოპოვებისათვის, არამედ იდეისთვის**

იყო. 1994 წელს 1,5 მილიონზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა პაკისტანიდან. ქაბულის 500 ათასმა მოქალაქემ სოფელს მიაშურა, რადგან ომისგან გაჩანაგებულ ქვეყანაში სიტუაცია იქ უფრო საიმედო იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაოდენობა — 700 ათასი ლტოლვილი — დაბრუნდა ნანგაჰარის რაიონში, რომელიც ოპიუმის წარმოების ძირითად ზონას წარმოადგენდა.

ერთ-ერთი მიზეზი პროდუქციის წარმოების ზრდისა ისიც იყო, რომ საველე მეთაურების გარკვეულმა ნაწილმა 1992 წლის იანვრიდან ახალი, თანამედროვე შეიარაღების შეძენა გადაწყვიტა. ქვეყნის ტრაიბალიზაციამ (ადამიანების ჯგუფური, ტომობრივი გაერთიანება) კომუნისტური ძალაუფლების დაცემის შემდგომ გააძლიერა ხაშხაშის კულტურის, როგორც ადგილობრივი ძალაუფლების ავტონომიურობის საშუალების მნიშვნელობა.

**1994 წელს UNDP-მა (გაეროს სტრუქტურამ) ნარკოტიკების მოყვანაში ეჭვმიტანილ ყველა პროვინციაში პირველი აღწერა ჩაატარა. დადგინდა, რომ ხაშხაშის კულტურა, რომელიც 80 000 ჰექტარზე იყო გავრცელებული, იძლეოდა 3200-3300 ტონა ოპიუმს. პროდუქციის ეს რაოდენობა ქვეყანას ბირმაზე წინ აყენებდა, რომელიც 1993-1994 წლებში 2600-2800 ტონას აწარმოებდა.**

მნიშვნელოვანია **პაკისტანის როლი** ევროპისათვის განკუთვნილი ნარკოტიკის წარმოებასა და ექსპორტში. ნარკოტიკის გამოკვეთილი ინდუსტრია 1979 წლიდან ომის დაწყებასთან ერთად დაიწყო გენერალ **ზია ულ ჰაკის** სამხედრო დიქტატურის მმართველობის პერიოდში. იგი აფინანსებდა ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებთან მდებარე პროვინციაში ტრაიბალურ ზონებს, რაც ბრიტანული კოლონიზაციის მემკვიდრეობის


ხაშხაშის პლანტაციაში

გაგრძელებად წარმოგვიდგა.

**პაკისტანელი შუამავლები 1 კგ ნედლ ოპიუმში გლეხებს 220 ფრანკის შესაბამის თანხას უხდიდნენ დოლარებში. „გამომშრალი“ 340 ფრანკი ღირდა. წელიწადში პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 220 მლნ დოლარს აჭარბებდა.**

## საველე ლაბორატორიებში ჰეროინის წარმოების მასშტაბები

ავღანეთში საომარმა მდგომარეობამ, საზღვრისპირა ბანაკებში მილიონობით ლტოლვილის არსებობამ სიტუაცია კიდევ უფრო ფეთქებადი გახადა. ჰეროინს აწარმოებდა 150-200 ლაბორატორია, რომლებსაც „მფრინავ ლაბორატორიებს“ უწოდებდნენ. ნარკოსიტუაცია გამწვავდა მეზობელ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით პაკისტანში. მაშინ როცა 1990 წელს პაკისტანმა მხოლოდ 150-200 ტონა ოპიუმი აწარმოა, 1994 წლისათვის ავღანური ოპიუმის ნახევარი შეიტანა და 120-150 ტონა ჰეროინი დაამზადა; აქედან 50-70 ტონა ექსპორტზე გაიტანეს, დანარჩენი 70-80 ტონა კი საშინაო მომხმარებისთვის იყო განკუთვნილი. **თუ 1980 წლისათვის ჰეროინის მოხმარება არც ისე დიდი მასშტაბით ხასიათდებოდა, 1990 წლისთვის მომხმარებელთა რაოდენობამ 1,5 მილიონს მიაღწია. ამჟამად 58 მილიონია.**

პაკისტანის, როგორც ჰეროინის მწარმოებელი ქვეყნის, როლი არ არის პირობადებული ისტორიული თუ გეოგრაფიული ფაქტორით. მას მძლავრი იმპულსი ავღანეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა მისცა. დალუქული სამხედრო მანქანები, რომლებითაც იარაღი მოჯაჰედების მიერ გაკონტროლებულ ზონებში გადაჰქონდათ, ოპიუმით დატვირთული ბრუნდებოდა და ნარკოტიკს ტრაიბალური ზონების ლაბორატორიებში აბარებდნენ. **ეს „მფრინავი ლაბორატორიები“ ადვილად რეაგირებდნენ ნარკოტიკებთან მებრძოლი სპეცსამსახურების წერტილოვან დარტყმებზე და თვითაღდგენის მრავალფეროვანი საშუალებები ჰქონდათ შექმნილი. მიღებული შემოსავლით ივსებოდა „შავი ყუთი“ და იმ საიდუმლო ოპერაციების დაფინანსებას ხმარდებოდა, რომელსაც მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაცია უნდა გამოეწვია. ანალოგიურად ფინანსდებოდა სიქჰისა და ქაშმირის აჯანყებულების შეიარაღებაც. დასავლეთის სამსახურების ცნობით, პაკისტანის არმიის აღჭურვილობის 30 პროცენტი ჰეროინით ფინანსდებოდა.** შესაძლოა, ამავე ფულით ფინანსდებოდა გასაიდუმლოებული ბირთვული ცდების ზოგიერთი ასპექტით. **ეკონომისტების აზრით, უკანონო ნარკობიზნესი 2-4 მილიარდამდე მოგებას იძლეოდა, ხოლო მიუხედავად იმისა, რომ 1 გრ ჰეროინი ადგილობრივ შავ ბაზარზე 1 დოლარს არ აღემატებოდა, ქვეყნის შიგნით ყოველწლიურად 1,2 მლრდ დოლარის მოგებას შეადგენდა.**


ხაშხაშის უხვი მოსავალი

უცხოეთის სპეცსამსახურებისა და საერთაშორისო ექსპერტების აზრით, 1990 წლიდან ყველა მთავრობა, რომელსაც **ბენაზირ ბჰუტო**, შემდეგ **ნავაზ შარიფი** და კვლავ **ბენაზირ ბჰუტო** მეთაურობდნენ, ნარკობიზნესს ეწეოდა და მათი ყველა საარჩევნო კამპანიაც, ამ თანხით ფინანსდებოდა. ასევე იქცეოდნენ პროვინციული ასამბლეისა და პარლამენტის ზოგიერთი წევრი, რამდენიმე მინისტრი, განსაკუთრებით ტრაიბალური ზონებიდან.

ნარკოტიკების ისტორიული ფესვებისა და განვითარების ტენდეციების შესწავლა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განსაკუთრებით კი ავღანეთის და პაკისტანის სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების განვითარების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ნარკოტიკები ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი იყო.

## უკონტროლობა, როგორც ტერორისტული ორგანიზაციების გაძლიერების ფაქტორი

დღეს შეიძლება დავასკვნათ, რომ ავღანეთში ომის შემდგომი უკონტროლობისა და ქაოსის დამკვიდრების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ქვეყანამ აღმოსავლეთისა და დასავლეთ ნახევარსფეროების დაპირისპირების წერტილის ფუნქცია დაკარგა. დასავლეთის ქვეყნებს იგი აღარ აინტერესებდათ: ხანძარი ჩამქრალია. ახლის დაწყების მიზეზი გამოჩნდა მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში დატრიალებული ტრაგედიის სახით, რომელმაც 4500 ადამიანზე მეტი შეიწირა.

**10 უკონტროლო წლის განმავლობაში ავღანეთის უზარმაზარი სივრცე სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებისა და ტერორისტული ორგანიზაციის, უპირველესად, „ალ-ქაიდას“ საბაზისო ტერიტორიად ჩამოყალიბდა, რომლის ძირითადი ბირთვი პაკისტანის სპეციალურ საწვრთნელ ბანაკებში მომზადებული თალიბები იყვნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ალ-ქაიდა“ გასული საუკუნის 90-იან წლებში საუდის არაბეთის მულტიმილიონერთა ოჯახის წევრმა უსამა ბინ ლადენმა დააარსა.**

ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო ერთიანი მაჰმადიანური სახელმწიფოს — ხალიფათის შექმნა და მსოფლიოს მასშტაბით, მოკავშირე ისლამისტთა ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან ერთად მუსლიმანური სამყაროდან დასავლეთის სახელმწიფოთა განდევნა, რადგან თვლიდნენ, რომ ძირითადად მუსლიმები უნდა სარგებლობდნენ ამ სივრცეში არსებული ბუნებრივი სიმდიდრით (ნავთობით, ბუნებრივი აირით, წიაღისეულით და ა.შ.).

სწორედ ავღანეთის სივრცეების უკონტროლოდ მიტოვების პერიოდს ემთხვევა იქ ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაიდას რეზიდენციის დაარსება და მისი ძირითადი საწრთვნელი ბანაკების შექმნა, რადგან ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული უდიდესი შემოსავალი აადვილებდა ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მუდმივ სრულყოფას და აფართოებდა ტერორისტული აქტების განხორციელების შესაძლებლობას.

**ბინ ლადენი რთული ფენომენი იყო. მას „კონტროლიდან გამოსულ პროფესიონალად“ მიიჩნევენ. ჰქონდა სერიოზული სპეციალური განათლება. მისი სტრატეგიიდან და ტაქტიკური სვლებიდან ჩანდა, რომ იგი საკმაოდ ახლოს იყო სპეცსამსახურებთან. უწინარეს ყოვლისა, საშიში იყო იმიტომ, რომ „იდეური პიროვნება“ გახლდათ. იბრძოდა არა ფულისთვის ან ხელისუფლებაში ადგილის მოპოვებისათვის, არამედ იდეისთვის, რომელიც სარწმუნეობრივი ნიადაგიდან არის ამოზრდილი და არ ეთანხმება სამყაროს მოწყობის ცივილიზირებულ ხედვას.** მისი გვაროვნული შტო არ განეკუთვნებოდა მუჰამედის სანათესაოს. ბინ ლადენის იდეას იზიარებდა მისი დიდი გარემოცვა, თანამოაზრეთა დიდი წრე, რომლის წევრები მსოფლიოს არაერთ სახელნიფოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ამიტომ ბინ ლადენის ბრძოლა ალ-ქაიდასთან არ იყო ერთი ან ორი წლის საქმე და მას ერთი რომელიმე ზესახელმწიფო თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ვერ გადაწყვეტდა. ამისთვის მთელი ცივილიზებული სამყაროს ეკონომიკური და გონებრივი რესურსების მობილიზება შეიქნა საჭირო.

ავღანეთ-პაკისტანის სასაზღვრო რეგიონში მრავალწლიანი ფართომაშტაბიანი, კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, რომლებშიც თანამედროვე ტექნოლოგიების უკანასკნელი მიღწევებიც იყო გამოყენებული, ბინ ლადენის დაკავებისა და ლიკვიდაციის პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა.

**უნდა გავიხსენო, რომ მისი შესაძლო გადაადგილების მარშრუტი სწორად იყო ნავარაუდევი ჩემ მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „XXI საუკუნის გამოწვევა“. ვამტკიცებდი, რომ იგი შორს არ წავიდოდა თავისი საწვრთნელი ბაზების არეალიდან, ხოლო ნარკოტიკებით მოპოვებული თანხები გააიოლებდა მის კონსპირაციულად „შენახვას“ სწორედ ამ რეგიონის ფარგლებში.**

სწორედ ბინ ლადენის მის მიერ შექმნილი „ალ-ქაიდა იყო მსოფლიოს ახალი, უფრო მასშტაბური პრობლემის — „ისლამურ სახელმწიფოს“ წარმოშობის ბაზისი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ჯემალ ჯანაშია**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უშიშროების გენერალ-მაიორი

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც“ (ილია).

# გავთითოკაცდით

## ანუ «ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა? — ეს კითხვა მხოლოდ დღეს არ წამოჭრილა ქართველი ერის წინაშე. უწინაც ბევრი უფიქრიათ ჩვენს წინაპრებს ამ საკითხზე, რადგან „ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც“ (ილია). ჰოდა, არ გველევა ამ მიზეზით არც „სტრატეგიული პარტნიორები“, არც „გულითადი მეგობრები“... რომლებიც, როგორც სურთ, ისე აფათურებენ ხელს ჩვენს ცხოვრებაში, გვკარნახობენ წესებს, მეტიც — ერთმანეთზე განაწყენებულნი მათთან გავრბივართ საჩივლელად და მათი დახმარებით ვცდილობთ ერთმანეთის დამცრობასა თუ ჩაწიხლვას...

დღეს ერთი გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე დაგორავს ზოგი აქეთ, ზოგი იქით და „თუ არაფერს აკეთებს, თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც.

რატომ?

„ის შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა“.

აი ასე განვთვითეულდით.

ამჯერად ევროსაბჭოს გამოგზავნილ კაცზე ვამყარებთ იმედს, რომელიც თბილისში 12 მარტს ჩამოვიდა, როგორც ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი. ეს პოლიტიკური ფიგურა შვედი დიპლომატი კრისტიან დენიელსონია, რომელმაც საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი უნდა განმუხტოს, ანუ ჩვენს ოჯახურ საქმეებში ჩაყოს ცხვირი. ხომ გაგიგონიათ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ჰოდა, ახლა ამ უცხო კაცის იმედად ვართ, კაცის, რომლისთვისაც საქართველოც და ქართველებიც უცხოა, სხვაა და თვითონაც, როგორც სხვა, ისე მოიქცეოდა...

მაგრამ რამდენად მოახერხა მოლაპარაკებით ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმება; რაზე დაახევინა უკან როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს და რამდენად შეასრულებს დადებით როლს ეს ნაბიჯები ჩვენი სახელმწიფოს წინსვლის საქმეში, აწი გამოჩნდება. ამჯერადაც გამოჩნდება, რომ სხვას შენი დარდი იმდენად აქვს, რამდენადაც ეს მას აძლევს ხელს.

ერის დღევანდელ სათქმელს ეხმიანება და პირდაპირ მიზანში ხვდება ილიას წერილი „ზოგიერთი რამ“, რომელიც 1866-1876 წლებით არის დათარიღებული და ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გრ. ორბელიანის სტრიქონები „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“, რომელიც ერთგვარი მინიშნებაა ჩვენთვისაც.

**დღეს ერთი გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე დაგორავს ზოგი აქეთ, ზოგი იქით და «თუ არაფერს აკეთებს, თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც. რატომ? «ის შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა». აი ასე განვთვითეულდით**



**ხომ გაგიგონიათ, «სხვა სხვის ომში ბრძენიაო», ჰოდა, ახლა ამ უცხო კაცის იმედად ვართ, კაცის, რომლისთვისაც საქართველოც და ქართველებიც უცხოა, სხვაა და თვითონაც, როგორც სხვა, ისე მოიქცეოდა... მაგრამ რამდენად მოახერხა მოლაპარაკებით ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმება; რაზე დაახევინა უკან როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს და რამდენად შეასრულებს დადებით როლს ეს ნაბიჯები ჩვენი სახელმწიფოს წინსვლის საქმეში, აწი გამოჩნდება. ამჯერადაც გამოჩნდება, რომ სხვას შენი დარდი იმდენად აქვს, რამდენადაც ეს მას აძლევს ხელს**

„აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს.

რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმაო თუ დაო, რომ „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს“.

ამას მოჰყვება მთავარი საკითხი: **სად არის ქართველი და ქართველობა?** აი დღევანდელობის, როგორც ილია იტყოდა, წყევლაკრულვიანი საკითხავი — სად არის ქართველობა?! როგორ წახდა ისე, რომ უცხოელს ეხვეწება; ძმები ვერ მოვრიგდით და შენ დაგვიდგინე სამართალიო?! ნუთუ ასე, უცხოელების კარნახით, აშენდება ქართული სახელმწიფო?!

„ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ღა სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ **ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა**. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, — ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“

ილიამ, მხოლოდ ის კაცი გვეტყვის, ბრმანი ყოფილხართო, რომელსაც უნდა, შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს. ასეთი კაცები დღესაც გვყავანან და ჩვენ უმადურებსა და დაუნახავებს გვიწოდებენ, რაკი ხელისუფლებას მოასფალტებული გზის, გადარგული ხის თუ სკვერის კეთილმოწყობისთვის ოდა არ ვუძღვენით... განა ვერ შევამჩნიეთ ან არ მოგვეწონა, მაგრამ **იმ გზისა თუ სკვერის კიდეზე ნაგვის ურნაში გადაყუდებულ უპოვარს რომ ვუყურებთ, ალარაფერი გვიხარია. ქართველ კაცს თავის სამშობლოში სამათხოვროდ რომ გაუხდა საქმე, ეს ერის უდიდესი ტრაგედიაა. ტრაგედიაა ისიც, რომ პოლიტიკური ნიშნით დახარისხებულია მთელი საზოგადოება — ქოცს ნაცი სძულს, შესაბამისად, მათ მხარდამჭერებს — ერთმანეთი, ანუ დას — ძმა, ბიძაშვილს — მამიდაშვილი, მეზობელს — მეზობელი... ლანძღავენ და ჭამენ ერთმანეთს. დგას სიძულვილის კორიანტელი.**

**„ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? — ალბათ, ამ შემ**



**თხვევაშიაც ვერ დაფარავდა გაოცებას დიდი ილია. — ...ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის — საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?“**

ეს ოპოზიცია ხელისუფლებას გზას რომ ულობავს და ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს სიკეთის ქმნაში, ხელისუფლება კი მხოლოდ მისი შემოტევების მოგერიებას რომ უნდება, ხალხი რა დღეშია ამ დროს, არავინ კითხულობს. ხალხს სწორედ ამ დროს ერთნაირი სიხარბით სწოვენ სისხლს ბანკირები, ვაჭრუკანები თუ ბიზნესმენები. „ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე!“

**„თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი.** ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ ▶

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არ გველევა არც „სტრატეგიული პარტნიორები“, არც „გულითადი მეგობრები“... რომლებიც, როგორც სურთ, ისე აფათურებენ ხელს ჩვენს ცხოვრებაში, გვკარნახობენ წესებს, მეტიც — ერთმანეთზე განაწყენებულნი მათთან გავრბივართ საჩივლელად და მათი დახმარებით ვცდილობთ ერთმანეთის დამცრობასა თუ ჩაწიხლვას...

◀მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივენი ერთად კი არა“.

**დიახ, დღეს ერთი გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე დაგორავს ზოგი აქეთ, ზოგი იქით და „თუ არაფერს აკეთებს, თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც.**

**რატომ?**

**„ის შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა“.**

და ახლა არის ქოცი, ნაცი, ლიბერალი თუ კონსერვატორი და ა. შ.

„მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხოქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ **ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან — ჩემი ხალხის წყენააო, და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენააო.**

...ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!“

ამიტომ

განვთვითეულდით,

„ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველსფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა და ვერ ზიდავდა. ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერიევენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა“.

როგორც ილია ამბობს, **„იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის** (მამულის — დ. ა.) **აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის.**

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, —



**«ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის»**







**ქართველ კაცს თავის სამშობლოში სამათხოვროდ რომ გაუხდა საქმე, ეს ერის უდიდესი ტრაგედიაა. ტრაგედიაა ისიც, რომ პოლიტიკური ნიშნით დახარისხებულია მთელი საზოგადოება — ქოცს ნაცი სძულს, შესაბამისად, მათ მხარდამჭერებს — ერთმანეთი, ანუ დას — ძმა, ბიძაშვილს — მამიდაშვილი, მეზობელს — მეზობელი... ლანძღავენ და ჭამენ ერთმანეთს. დგას სიძულვილის კორიანტელი. ალბათ, ამ შემთხვევაშიაც ვერ დაფარავდა გაოცებას დიდი ილია: «ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? ...ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის — საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?»**

ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მისდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა?“

„ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია. აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

**განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა.** რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მზგავსი მზგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ **თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“.**

**საკუთარ თავში ჩავიკეტეთ, ერთმანეთს შევატოვეთ პოზიცია და ოპოზიცია და ამით ქვეყნის დამაქცევარ აგიზგიზებულ კოცონს კიდევ ერთი მუგუზალი შევუკეთეთ. ხალხი აღარ ენდობა პოლიტიკოსებს,** „ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდის ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთიერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც **ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რად მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა...“**







ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანა მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა, პირიქით, ბევრი მაჩვენებელი გაუარესდა — უმუშევრობა, სიღატაკე, შობადობა, სუიციდი, ეკოლოგია, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობა, ხელოვნება, კულტურა... იანვარში საქართველოს ეკონომიკა 11,6%-ით შემცირდა, ეს კატასტროფაა. ყველაზე ცუდი შედეგია 1994 წლის შემდეგ.**

# მადლობა და საყვედური ბიძინა ივანიშვილს

# მხოლოდ კეთილი სურვილით და ობიექტურობით

**გულახდილად ვილაპარაკოთ, ბატონო ბიძინა, იმედია, არ მიწყენთ.**
**უსაზღვროდ მადლიერი ვართ, ამაზრზენი სააკაშვილი რომ მოგვაშორეთ, წმინდა სამების დიდებული ტაძარი რომ აგვიგეთ, სკოლები, თეატრები რომ აგვიშენეთ და განაახლეთ, იავარქმნილი ეკლესია-მონასტრები რომ აღადგინეთ, შეკვეთილის ნაკრძალი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ზამთრის და ზაფხულის მშვენიერი კურორტები, მრავალი სიკეთე რომ დაგვიტოვეთ.**
**წახვედით, მაგრამ განაგრძობთ ქვეყნის აღმშენებლობას — წყალტუბო, აბასთუმანი, თბილისის შემოგარენი, ვაკის პარკი, იპოდრომი...**

ასეთია რეალობა.

მაგრამ რეალობაა ისიც, რასაც ახლა გეტყვით. უწინარეს ყოვლისა, ავადსახსენებელი **კოაბიტაცია** და ჯალათი სააკაშვილისთვის ერთი წლით პრეზიდენტობის ვადის გაგრძელება, რომელმაც დღევანდელ კრიზისამდე მიგვიყვანა და **საგარეო პოლიტიკა,** რომელიც რუსეთთან დიალოგზე უარის თქმაში გამოიხატა, ურომლისოდაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაცია ვერ გადაწყდება. ვერ მოგიწონებთ სამართლიანობის აღდგენის პრობლემის გაჭიანურებას — წართმეული ბიზნესებისა და ქონების კანონიერი მესაკუთრეებისთვის მხოლოდ ეპიზოდურ დაბრუნებას, პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტის არ შეშვებას, მარიხუანით გამდიდრების დაუოკებელ სურვილს, მრავალი შესანიშნავი ძეგლის აღუდგენლობას, რომლებიც ბარბაროსულად ააფეთქეს.

სამწუხაროდ, **ყოფილი რეჟიმის სისხლის სამართლის დამნაშავეები კვლავაც დაუსჯელები არიან, ხოლო ბიუჯეტის მძარცველი უგულავა პატიმრობიდან ორჯერ არის გათავისუფლებული.**

ხალხმა ვერ გაიგო, რატომ ვერ დააბრუნეთ დავით აღმაშენებლის ძეგლი ღირსეულ ადგილზე, ხოლო თბილისის ცენტრში დაგვიტოვეთ სააკაშვილის საამაყო ველოსიპედის „მონუმენტი". გაუგებარია, რატომ ითვლება ვიზალიბერალიზაციის შედეგად მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწის მკვეთრი ზრდა მიღწევად, ხოლო სამართალდამცავ სტრუქტურებში სახელმწიფო დამნაშავეების თანამდებობებზე დატოვება დემოკრატიულობის გამოვლინებად, ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ჩვენი თანამემამულეების გაგზავნის შესახებ გერმანიის ხელისუფლებასთან შეთანხმება ჩვენს ხალხზე ზრუნვის პროგრესულ მოვლენად?!

ცხრა წლის განმავლობაში ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე სერიოზულად რომ გეფიქრათ, თავისუფლად შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის აღორძინება. ჩვენი სამშობლო მადლიანია მშვენიერი ბუნებით, კლიმატით, ჰავით, სახნავ-სათესი მიწით. საბჭოეთის დროინდელი სამელიორაციო სისტემის და სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენის შემთხვევაში დაუსაქმებელი ხალხი უცხოეთში სატანჯველ სამუშაოებზე არ გადაიხვეწებოდა.

**აზერბაიჯანმა ბოსტნეულის წარმოება 1.716 მილიონ ტონამდე გაზარდა, ჩვენ კი მხოლოდ 161 ათას ტონას ძლივს მივაღწიეთ. უცხოეთიდან შემოგვაქვს თითქმის ყველა დასახელების სოფლის მეურნეობის პროდუქტი, სირცხვილი არ არის? თქვენ რომ ხელი შეგეწყოთ, დაბალპროცენტიანი ან საერთოდ უპროცენტო სესხებით, უზრუნველგეყოთ აგროტექნიკით, ერთი სიტყვით, გეზრუნათ არა მხოლოდ ფსევდოინტელიგენციაზე, არამედ სოფლის მშრომელ ხალხზეც, რომლებიც გარბიან უცხოეთში მიწაზე სამუშაოდ, სოფელი არ დაიცლებოდა, ოჯახები არ დაინგრეოდა, ქვეყანა არ გავერანდებოდა.** მარტო უშედეგო ლაპარაკი, ცრუ დაპირებები არ კმარა. არსებული მდგომარეობის გონივრული ანალიზი და შეფასება, გამოცდილ პროფესიონალებთან კონსულტაციები და სწრაფი მოქმედება იყო საჭირო.

ნაგვის ყუთებში თავჩაკიდულნი, სამათხოვროდ ხელგაწვდილნი არ გვეყოლებოდნენ! **გული მიკვდება, ბანკის ვალებით უბინაოდ დარჩენილ გატანჯულ ხალხზე და უცხოური კრედიტებით გამათხოვრებულ ჩემს ქვეყანაზე რომ ვფიქრობ. პატივაყრილმა ჩვენმა ხელისუფლებამ საქართველო დაბეჩავებულ, ღირსებააყრილ ქვეყნად აქცია.**

შეადარეთ საბჭოეთისდროინდელი სოფლის მეურნეობის მიღწევები დღევანდელ რეალობას — ცა და დედამიწა! ჰალსტუხგაყრონჭილი, გამოპრანჭული კანდიდატები მხოლოდ არჩევნების წინ ჩამოუქროლებენ გაძვალტყავებულ სოფლებს, გადასახადებით და ცრუ დაპირებებით გაბეზრებულ-გამწარებულ მოსახლეობას და, რომ არ გადაიღალონ, სწრაფად სხდებიან შავ ჯიპებში, შეყუჩდებიან რესტორნებში, რათა აღნიშნონ თავიანთი იმდღევანდელი თავდადებული შრომა და გამარჯვება თანამემამულეებზე. სულაც არ აინტერესებთ სოფლებისა და რაიონების უზრუნველყოფა კომუნიკაციებით — გზებით, ბუნებრივი აირით, ელენერგიით, წყლით, დასაქმებით და ყოფა-ცხოვრების ელემენტარული პირობებით.

კარგად მახსოვს საბჭოეთისდროინდელი ძლიერი ქართული სოფლები, ღონიერი, მრავალსულიანი ოჯახები, ლაღები, სიხარულით, ნებისმიერი რაოდენობის და ნებისმიერი დონის სტუმარს გულუხვად რომ მასპინძლობდნენ. გული ხარობდა: მშვენიერი სახლ-კარი, ლამაზი კარმიდამო, ჭირნახულით სავსე ბეღლები, დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობა. ახლა კი სოფლად სახლები იყიდება



**უმწიფარი ყმაწვილების — კობახიძის, თალაკვაძის, მდინარაძის— გამოუცდელობამ მელია გმირად აქცია, ოპოზიცია — გამარჯვებულად. ოკეანისგაღმელი კონგრესმენები, სენატორები, ევროპარლამენტარები, ბალტიისპირეთის ქვეყნების მინისტრები, ევროპის სახალხო პარტია და ვისაც არ ეზარება, ყველანი აფთრებივით დაგვესივნენ, ლობირებენ ოპოზიციას, ჭკუასაც გვარიგებენ და სანქციებითაც გემუქრებიან**

4-5 ტომარა სიმინდზე, სამრეწველო ქალაქებში კი ბინები 2-3 ტომარაზე.

**ბატონო ბიძინა, 9 წლის განმავლობაში არც გარემოცვა გივარგოდათ და არც მრჩევლები. გამოცდილი და გონიერი ხალხი არ გაიკარეთ.**

ქვეყანა მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა, პირიქით, ბევრი მაჩვენებელი გაუარესდა — უმუშევრობა, სიღატაკე, შობადობა, სუიციდი, ეკოლოგია, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობა, ხელოვნება, კულტურა... იანვარში საქართველოს ეკონომიკა 11,6%-ით შემცირდა, ეს კატასტროფაა. ყველაზე ცუდი შედეგია 1994 წლის შემდეგ.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დეტალური პროგრამა **თურნავას** სამინისტრომ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს, წარუდგინოს მთავრობას განსახილველად და პარლამენტს დასამტკიცებლად, წინა წლის შედეგების გათვალისწინებითა და კორექტირებით. ქვეყნის ეკონომიკას ურეკში გრანდიოზული უმოქმედო საკონცერტო დარბაზი და ჭავჭავაძის პროსპექტის გაუკუღმართებული რეკონსტრუქცია გააუმჯობესებს?!

**ქვეყნის ესოდენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და დღენიადაგ ხალხზე „მზრუნველ" ოპოზიციას განა ეს აწუხებს?** არა! ამ ხროვას მხოლოდ ის აინტერესებს, **ნიკანორ მელია** როგორ გრძნობს თავს საქათმეში და აღიარებული ქილერის, **რურუას** გათავისუფლება საპატიმროდან. **ე.წ. ოპოზიციის საზრუნავი და საფიქრალია, როგორმე არიონ ქვეყანაში ვითარება, ძალით შეცვივდნენ პარლამენტში, როგორც გარეწარი ბელადი და მამამარჩენალი მოუწოდებთ. ხელში ჩაიგდონ მართვის სადავეები, სისხლის ტბორები დააყენონ ქუჩებსა და ციხეებში. მელია 20 ივნისს რომ დაგეპატიმრებინათ (არ იმსახურებდა თუ რა?), ან მაშინ, როცა სამაჯური მოიხსნა და გადააგდო, ეს ბინძური ალიაქოთი არ ატყდებოდა. ეს ცნობილი კრიმინალი და ძებნილი პატრიკ დაუნი სადღა გამოთხარა შუბლისძარღვგაწყვეტილმა ნანუკამ?**



ბატონო ბიძინა, გვპირდებოდით, მაგრამ ვერც თქვენ მოგვაშორეთ და ვერც **გახარიამ** ვერ დაამთავრა ეს ოპოზიცია. წახვედით და დაგვიტოვეთ ფანჩატურში მოყრანტალე ცრუპარტიების ცრულიდერები.

სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყავით მოღალატე უფლებადამცველის, არასამთავრობოების და ტელეარხების სიცრუის, ცილისწამების, ქვეყნისა და ხალხის შეურაცხმყოფელი განცხადებების და გადაცემების ალაგმვა, რაც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ნამდვილად არ იქნებოდა. სასიკეთო არაფერი ხდება საქართველოში, მელიას ირგვლივ აგორებული ბაკქანალია კი ზენიტისკენ მიიწევს. ქვეყანა პარალიზებულია.

**უმწიფარი ყმაწვილების — კობახიძის, თალაკვაძის, მდინარაძის — გამოუცდელობამ მელია გმირად აქცია, ოპოზიცია — გამარჯვებულად. ოკეანისგაღმელი კონგრესმენები, სენატორები, ევროპარლამენტარები, ბალტიისპირეთის ქვეყნების მინისტრები, ევროპის სახალხო პარტია და ვისაც არ ეზარება, ყველანი აფთრებივით დაგვესივნენ, ლობირებენ ოპოზიციას, ჭკუასაც გვარიგებენ და სანქციებითაც გემუქრებიან.**

არჩევნები იყო სამართლიანი, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე, მისი შედეგები ლეგიტიმურია, არავითარ შემთხვევაში განმეორებითი არჩევნები არ უნდა ჩატარდეს, მაგრამ რომც ჩატარდეს, დარწმუნებული ვარ, ოპოზიციური პარტიების შედეგები იქნება გაცილებით უარესი, ისე შეაჯავრეს თავი ამომრჩეველს თავიანთი უზნეობით და თავხედობით.

მახინჯი სულის ოპოზიციამ და მისმა ფსიქიკაშერყეულმა ლიდერმა თქვენს საამაყო, ზნეკეთილ და სანიმუშო ოჯახზე მიიტანა იერიში თავისი ბინძური საცეცებით. ჯობია, თავის უწმინდურ და აწეწილ ოჯახურ ცხოვრებას მიხედონ, უტიფრებმა.

მე სასიამოვნოდ გაოგნებული ვარ „იმედზე" გასული ბერას ინტერვიუთი. მან დახვეწილი, ლოგიკური მსჯელობით და ტაქტით გააშიშვლა ცილისმწამებლებიც, ტელეარხიც და გარეწარი მელაძეც. ჩემზე დატოვა ღირსეული, ჭეშმარიტი ქართველის და უსათნოესი დედის აღზრდილის შთაბეჭდილება (აფერუმ მას).

თქვენი მმართველობის 9 წლის განმავლობაში ნუთუ არ შეიძლებოდა გაგერკვიათ, ჩვენი რწმენისა და კულტურისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის საკითხი, როგორიც დავითგარეჯაა, რატომ აღმოჩნდა დავის საგანი?! მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების წინ კარტოგრაფების ან დაკავება რას ემსახურებოდა, ან მათი სწრაფად გათავისუფლება?! თანაც ეს საკითხი კვლავაც ჰაერშია გამოკიდებული, ხალხისთვის ▶

**ხალხმა ვერ გაიგო, რატომ ვერ დააბრუნეთ დავით აღმაშენებლის ძეგლი ღირსეულ ადგილზე, ხოლო თბილისის ცენტრში დაგვიტოვეთ სააკაშვილის საამაყო ველოსიპედის „მონუმენტი“. გაუგებარია, რატომ ითვლება ვიზალიბერალიზაციის შედეგად მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწის მკვეთრი ზრდა მიღწევად, ხოლო სამართალდამცავ სტრუქტურებში სახელმწიფო დამნაშავეების თანამდებობებზე დატოვება დემოკრატიულობის გამოვლინებად.**

ყველაფერი ყველაფერზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მკაფიო განმარტებაზე არავინ ფიქრობს — მოღალატე შალიკოს ფანჩატურის ოპოზიცია და უტიფარი ტელესაროსკიპოები კი შემაღონებლად ღავღავებენ.

**ილჰამ ალიევმა** 555 მილიონი დოლარი გადასცა **სააკაშვილს,** მაგრამ სად გაქრა ეს ფული, არავინ იცის მიშას გარდა. მაიამში სასახლეები რომ იყიდა ტრამპის მეზობლად, აპარტამენტები მანჰეტენზე და ძვირად ღირებული იახტა, ალბათ, იქ დააბანდა. ცნობილია სააკაშვილის განცხადება — „სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უნდა მოექცეს, რადგან მათ სჭირდებათ“. ეს მისი აღიარებაა და ყველაფერი ნათელია.

**გაოცებას იწვევს მდინარე რიონზე ნამახვანჰესის მშენებლობის თემა, რომელიც რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის რეგიონის ბუნებას უქმნის საფრთხეს. თურქულ კომპანიასთან 200-გვერდიანი ხელშეკრულება წინა ხელისუფლების მიერ არის გაფორმებული, მაგრამ თქვენი მმართველობის თითქმის ცხრა წლის მანძილზე „ქართული ოცნება“ ამ დოკუმენტის კაბალური პირობების შესახებ ინფორმაციას საგულდაგულოდ გვიმალავდა, რომელიც საერთო მღელვარების დაწყების შემდეგ გასაჯაროვდა.** ახლა კი მთავრობა ჩვენთვის უაღრესად საზიანო პროექტის ლობირებას აქტიურად ეწევა. თურქეთი თავის ელექტროსადგურს ჩვენს მიწა-წყალზე ააშენებს, რომელიც მას საკუთრებაში გადაეცა 100 წლის ვადით, თითქმის უსასყიდლოდ, და თავისი ნება-სურვილით განკარგავს.

თურქეთის ხელისუფლებამ **გიული ალასანიას** — მიხეილ სააკაშვილის დედას თურქეთის უმაღლესი ჯილდო გადასცა საქართველოსთან ურთიერთობების წარმატებით განვითარებისთვის.

ასევე გაკვირვებას და აღშფოთებას იწვევს თქვენი დამოკიდებულება ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისადმი. ამ დღეებში გაირკვა, რომ მთავრობა მის ასაშენებლად ინვესტორებს გაფაციცებით ეძებს. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ კონსორციუმის ხელმძღვანელობისას **მამუკა ხაზარაძესა** და **ბადრი ჯაფარიძეს** მნიშვნელოვანი თანხის (250 მილიონი დოლარის) დამბანდებელი მოძიებული ჰყავდათ, რამდენიმე მსხვილ ინვესტორთან მოლაპარაკებები (400 მილიონ დოლარზე) კი წარმატებით დასრულების სტადიაში იყო. პროექტის მიმართ უპრეცენდენტო მხარდაჭერას გამოხატავდნენ ამერიკელი და ევროპელი ინვესტორები, მაგრამ საქართველოს ეკონომიკისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საუკუნის პროექტი გაიყინა ქვეყნის უმაღლესი რანგის ჩინოსანთა სრულიად გაუგებარი ლუღლუღის ფონზე. ბიძინა ივანიშვილი ისე წავიდა, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემაზე განმარტება არ გაუკეთებია. რა მოიგო ქვეყანამ, ზიანის გარდა?

პორტის მშენებლობის შეჩერებით საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე იმიჯი შეელახა და წარმოჩინდა არასაიმედო პარტნიორად, რაც უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს ამერიკელი და ევროპელი ინვესტორების მოზიდვაზე.

**ირაკლი ღარიბაშვილი** ახლა ცდილობს, გააცოცხლოს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი, მაგრამ დიდი დრო დაიკარგა და ინვესტორების მოზიდვა საეჭვოა.

**ახალგაზრდა ოპოზიციონერებო, მოგმართავთ რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო ცხოვრებაგავლილი პიროვნება — თუ გიყვართ თქვენი სამშობლო და ხალხი, შეწყვიტეთ მათი გაუთავებელი ჯიჯგნა და შეღონება, თქვენი უსაქციელობით გადაიღალა ხალხი, სირცხვილია, დაგვცინის მთელი სამყარო.**

იფიქრეთ და იზრუნეთ ერის კეთილდღეობაზე, განვითარებაზე, ბედნიერ ცხოვრებაზე, ადამიანურ ყოფაზე. თქვენი უშრეტი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება, განათლება, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, უმორჩილესად გთხოვთ, მიმართოთ უამრავი პრობლემის მოგვარებისკენ და ქვეყნის აღორძინებისკენ.

**თუ არ მიიღებთ ჩემს თხოვნა-მუდარას, იძულებული ვიქნები, მხარი დავუჭირო წინადადებას ნაციონალების ოფისის პოლიტიკურ საგამოფენო დარბაზად გადაკეთების შესახებ, სადაც გამოიფინება სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობის დოკუმენტური მასალები — როგორ უმოწყალოდ არბევდით მშვიდობიან მომიტინგეებს, სასტიკად სცემდით, წამლავდით და ხოცავდით მათ.** უმტვრევდით და ულეწავდით ავტომანქანებს, ციხეებსა და იზოლატორებში ფაშისტურად აწამებდით და კლავდით სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. ხალხს არ დავიწყებია თქვენი აღვირახსნილი შევარდნები სინოდის სხდომებზე, ძალადობა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაზე, პატრიარქისა და წმინდა სინოდის წევრების შეურაცხყოფა, ქონების და ბიზნესის წართმევა, ქუჩაში სახელოვანი ხალხის ჩახოცვა, სოფლების აწიოკება-ამოჟლეტა, ხელფეხშეკრული ადამიანების ზღვაში ჩახრჩობა, ციხეში ბუნტის პროვოცირება და პატიმრების ამოხოცვა... რომელი ერთი ჩამოვთვალო... ასეთია თქვენი ცხრაწლიანი შემოქმედება და ხელწერა.

კარგად დაიმახსოვრეთ: ასეთი მუზეუმი ახლო პერიოდში თუ არა, მომავალში მაინც აუცილებლად დაარსდება და თქვენი შვილები და შვილიშვილები გაეცნობიან თქვენ მიერ ჩადენილ სიბილწეს — ხალხის დაცინვისა და ზიზღის ობიექტები გახდებით, თქვენც და თქვენს მონაგარს კოშმარული სიზმრები დაგტანჯავთ, საფლავშიც არ მოგასვენებთ ჩადენილი ცოდვები.

ისტორია და ხალხი ყველაზე სამართლიანი მსაჯულია.

დაფიქრდით!

გახსოვდეთ, მარადიული მხოლოდ უფალი და სამშობლოა!

უფლის წყალობა კი რჩეულთა ხვედრია!

**ომარ მარგველაშვილი**

# ცნობილი პოეტები და მწერლები, რომლებიც ციხეში ისხდნენ თავიანთი მოღვაწეობის გამო

1937 წლის მარტში ლექსისთვის „პოეტის სიკვდილი“ დააპატიმრეს მიხეილ ლერმონტოვი. გასული საუკუნეები ცენზურული კანონებითა და უკანონობით ხასიათდებოდა და ლიტერატორების დაპატიმრება იშვიათი არ ყოფილა.






## ოსკარ უაილდი

ირლანდიელი მწერალი ესთეტიზმის ერთ-ერთ ცნობილ დრამატურგად და მოდერნიზმის გამორჩეულ შემოქმედად ითვლება. ის 1895 წელს დაადანაშაულეს სოდომიაში და გაასამართლეს. იმხანად ბრიტანეთში მსგავსი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. უაილდი დამნაშავედ ცნეს და 2-წლიანი კატორღა მიუსაჯეს. მწერალი სასჯელს ბერკშირის საგრაფოს ციხეში იხდიდა. მოგვიანებით მის ნაწარმოებებში გაჩნდა პატარა ქალაქი რედინგი. ციხეში ყოფნა მისთვის ძალიან მძიმე იყო — ჯერ დედის სიკვდილის შესახებ შეიტყო, შემდეგ — ოჯახის ემიგაციაზე. მწერალს მეგობრებმა ზურგი შეაქციეს, თაყვანისმცემლებმა დაივიწყეს.

1887 წელს სწორედ ციხეში დაწერა ოსკარ უაილდმა თავისი წერილი-აღიარება De Profundis-ი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი — „რედინგის ციხის ბალადა“.






## თევდორე დოსტოევსკი

რუსული ლიტერატურის კლასიკოსმა 4 წელიწადი გაატარა ომსკის ციხეში. მწერალი 1849 წელს დააპატიმრეს პეტრაშევსკის საიდუმლო ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით. ახალგაზრდების ჯგუფი ოცნებობდა საზოგადოების ლიბერალიზაციაზე. დამწყები სოციალისტები ცდილობდნენ, ყურადღება მიეპყროთ და მივიდნენ მწერალთან. ამბოხების მოწყობის იდეისთვის სასამართლომ მწერალს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ ბოლო მომენტში ეს განაჩენი კატორღით შეუცვალა.

სასჯელის მოხდის შემდეგ დოსტოევსკიმ დაწერა „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან“ — ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მსოფლიო კლასიკად იქცა.





მაიაკოვსკის საკანი

## ვლადიმერ მაიაკოვსკი

საქართველოში (ბაღდათში) დაბადებული რუსი პოეტი ორჯერ იყო ნასამართლევი: პირველად, როცა 15 წლის იყო. იატაკქვეშა ტიპოგრაფიისთვის 8 წლით კატორღა ემუქრებოდა, მაგრამ მცირეწლოვანი იყო და ასე სასტიკად არ დასაჯეს. აი ანარქისტ-ექსპროპრიატორებთან კავშირის გამო კი 11 თვე მარტოდმარტო გაატარა ციხის საკანში. მოგვიანებით მაიაკოვსკი თავის პატიმრობაზე წერდა: „ჩემთვის უმნიშვნელოვანესი დრო. თეორიისა და პრაქტიკის სამი წლის შემდეგ ბელეტრისტიკას შევეჭიდე. წავიკითხე ყველაფერი — ახალი სიმბოლისტები: **ბელი, ბალმონტი“.**



## ო. ჰენრი

შესანიშნავი ამერიკელი მწერლის ნამდვილი სახელია **უილიამ სიდნი პორტერი.** ის გარკვეული დროის განმავლობაში მოლარე-ბუღალტრად მუშაობდა ტეხასის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, მაგრამ კარიერა წარუმატებელი აღმოჩნდა: ფულის გაფლანგვაში დაადანაშაულეს და იძულებული შეიქნა, ჰონდურასში გაქცეულიყო, იქიდან — სამხრეთ ამერიკაში. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ ო. ჰენრი ამერიკაში დაბრუნდა, მაგრამ მყისვე ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის ციხეში ამოყო თავი.

მწერალმა იქ 2 წელიწადი გაატარა და 14 მოთხრობა დაწერა სხვადასხვა ფსევდონიმით.


ციხე, სადაც ო. ჰენრი იჯდა

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*




## ესპანელმა ვარსკვლავებმა ჯგუფურ სექსში გაიბრწყინეს



**მადრიდის პოლიცია იძიებს ჯგუფური გაუპატიურების საქმეს არალეგალური წვეულების დროს, რომელსაც ესწრებოდნენ ესპანეთის რეალური შოუს „ცდუნებათა კუნძულის“ ვარსკვლავები, იუწყება გამოცემა 20 minutos.**

მადრიდის მუნიციპალიტეტ კოლმენარეხოში 50-მდე ადამიანმა საღამო მოაწყო ნაქირავებ სახლში. არენდატორმა პოლიცია გამოიძახა, რომელმაც თავიდან მხოლოდ ის ფაქტი დაადასტურა, რომ სტუმრებს ნიღბები არ ეკეთათ, რითაც არღვევდნენ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებას პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

მაგრამ შემდეგ პოლიციას ერთ-ერთმა მონაწილემ შეატყობინა, რომ ამ წვეულებაზე ადგილი ჰქონდა ჯგუფური გაუპატიურების ფაქტს. მომჩივანი თავად იყო მსხვერპლი. იგი ჯერ დაათვრეს, შემდეგ აიძულეს სტუმრების სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. 20 minutos დამატებით გვაუწყებს, რომ ჯერჯერობით დაუდგენელია, მონაწილეობდნენ თუ არა აღნიშნული ტელეშოუს ვარსკვლავები ჯგუფურ გაუპატიურებაში.

## საბერძნეთის ეროვნული თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს ბრალი დასდეს სერიულ გაუპატიურებაში

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲚᲘᲒᲜᲐᲓᲘᲡᲘ დააპატიმრეს, — იუწყება საბერძნეთის იუსტიციის სამინისტრო.**

ცნობილ მსახიობისა და რეჟისორის წინააღმდეგ ორი სასამართლო სარჩელი შეიტანეს. პირველის ავტორი 25 წლის ახალგაზრდა კაცია, რომელიც აცხადებს, რომ 2010 წელს, როცა იგი 14 წლისა იყო, ლიგნადისი ცდილობდა მის შეცდენასა და გაუპატიურებას.



**„ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲛ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲩᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ“,** — აცხადებს მომჩივანი.

ლიგნადისი სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა 2018 წლის აგვისტოდან 2021 წლის 6 თებერვლამდე. გადადგომის მიზეზად მან დაასახელა მოარული ხმების ტოქსიკური ატმოსფერო, რომელიც მის წინააღმდეგ შექმნეს დაინტერესებულმა პირებმა. ნიშანდობლივია, რომ დაკავებული თანამდებობიდან წასვლის მომენტისთვის მის წინააღმდეგ არც ერთი ბრალდება წაყენებული არ ყოფილა.

ისინი ლიგნადისის გადადგომის შემდეგ გააქტიურდნენ.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## მორალის გაკვეთილები მტირალა მინისტრის კაბინეტში

**ახლახან გავრცელდა გასაკვირი ამბავი — ავსტრალიის თავდაცვის მინისტრი, ქალბატონი ლინდა რეინოლდსი სენატში ატირდა.**



იმან გაიკვირვოს, ვინაც პირველად გაიგო ასეთი ეკზოტიკური ფაქტის შესახებ. საქართველოში ასეთი რამ კარგა ხნის წინათ მომხდარი დეჟავიუა: სააკაშვილისდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გოგონამ, რომელიც ქვეყნის მმართველმა „მიშა, მიშამ!“ ოქრუაშვილის მსგავსად თანამდებობიდან თანამდებობაზე ახტუნავა, ბოლოს კი საგარეო უწყებას ჩაუყენა სათავეში, ერთიანი ევროპის რომელიღაც სტრუქტურაში ვიზიტისას ისეთი ცრემლი ღვარა, „ვეფხის დედაის“ არც დასიზმრებია.

არგუმენტები რომ არ ეყო, მაშინ გამოიყენა ქალების ეს საიდუმლო იარაღიო. რის დამტკიცებას ცდილობდა, არ ვიცი, არც გვარი მახსოვს ჩვენი მინისტრის, რომც მახსოვდეს, მაინც არ ვიტყოდი.

არ ღირს და იმიტომ.

მოკლედ, ავსტრალიური კაზუსი ქართველებს არ გაგვკვირვებია.

მწვანე კონტინენტზე გაიკვირვეს: ასეთი რამ არც გვინახავს, არც გვსმენია ვინმესგანო. აბა, როგორ გაიგებდნენ ან ვინ ეტყოდათ, როცა საქართველო თავის უნიკალურ მიღწევებს არ აპიარებს, არ ასაჯაროებს.

პროპაგანდას არ უწევს.

აგიტაციაზე არ იხარჯება.

ავსტრალიაში პირიქითაა: ადგილობრივმა ტელეარხმა 9 News-მა დაუყოვნებლივ გაავრცელა ეს უჩვეულო ამბავი და ყველანი „ყურებზე დააყენა“.

„ყურებზე დაყენება“ ქართული იდიომა არ არის.

ქართული იდიომაა „ყურებიდან ენას გვიყოფენ“, რომლის ავტორია განუმეორებელი რეზო ამაშუკელი — მეტაფორების „მეფე, ღვთისაგან სვიანი“.

დიდებული პოეტი!

მაინც რა მოხდა ავსტრალიაში? რამ აატირა ბრძოლებში გამობრძმედილი ამირსპასალარი ქალბატონი?

რამ და, ქვეყნის სენატში დეპუტატების გასაგონად ნათქვამმა ფაქტმა თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი ქვეშევრდომის სექსუალური თავაწყვეტილობის შესახებ.

**საქმეში უკვე გამოიკვეთა ოთხი ეპიზოდი, ერთ-ერთმა დაზარალებულმა აღნიშნა, რომ გამბახებელმა გააუპატიურა იგი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად მინისტრ ლინდა რეინოლდსის სამუშაო ოთახში.**

**ბრალდება წაუყენეს სამინისტროს თანამშრომელს, რომლის გვარს ოფიციალურად არ ასახელებენ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.**

სამაგიეროდ ტელესიუჟეტიდან დეტალურად შევიტყვეთ, რომ პოლიციას მიმართა აღნიშნული სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა **ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘ ᲰᲘᲒᲘᲜᲡᲛᲐ**. იგი ჩიოდა, რომ 2019 წლის მარტში უნამუსო კოლეგამ ბოროტად ისარგებლა მისი უმწეო მდგომარეობით, გააუპატიურა და რომ **„დანაშაული მოხდა“ უშუალოდ პარლამენტის შენობაში, თავდაცვის მინისტრის ᲚᲘᲜᲓᲐ ᲠᲔᲘᲜᲝᲚᲓᲡᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ.**

**გაგვაკვირვეს რა ჩვენ, ქართველები, როცა ენამწარე და მიშისტების დაუნდობელი კრიტიკოსის, კინორეჟისორ ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡ მრავალგზისი დაკვირვებით, ერთი მინისტრის ერთ კაბინეტში მომხდარი ერთი შემთხვევა კი არა, „ზოგიერთი“ პარტიული ტელევიზია, წლებია, „ტელესაროსკიპოებად“ ჩამოყალიბდა.**

**პოლიტიკურ საროსკიპოებად.**

ორი სხვა „პოტერპევშიეც“ (ნასესხებია გაბრიაძე-დანელიას „მიმინოდან“) პარლამენტის თანამშრომლები არიან. მათგან ერთი ადგილობრივი ლიბერალური პარტიის მდივანი და მოხალისეთა პროგრამების ასისტენტია. მეორე მომჩივანი კი ეჭვმიტანილს შემთხვევით გადაეყარა, როცა კანბერის „ფაბლიკ ბარში“, ავსტრალიის პოლიტიკური ისტებლიშმენტის გამორჩეულ დროს სატარებელ ობიექტზე დასასვენებლად იყო მისული. მან განაცხადა, რომ მოძალადე მისი სხეულის „აკრძალულ ადგილებში შეღწევის სურვილს არათუ არ მალავდა, არამედ ცდილობდა კიდეც“. რაც **ᲑᲔᲠᲢᲝᲚᲓ ᲑᲠᲔᲮᲢᲘᲡ** „კავკასიური ცარცის წრის“ **ᲠᲝᲑᲘᲙᲝ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡᲔᲣᲚ** კონგენიალურ სპექტაკლში ჟუჟუნას სამამამთილოს სარჩელის განხილვის ალუზიას აჩენს.

აზდაკი (**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ**) დანის ასაღებად წაკუზულ ჟუჟუნაზე მიუთითებს და წარმოთქვამს განაჩენს. „ნახეთ, როგორ უთრთის და უთაფთაფებს ეს ყველაფერი! დამნაშავე აღმოჩენილია და ძალადობაც აშკარაა! — მიმართავს ჟუჟუნას, — ბევრი ჭამის, განსაკუთრებით, ტკბილეულის ჭამის, თბილ წყალში დიდხანს ჯდომის, სიზარმაცისა და ერთობ ფაფუკი ტანის გამო, შენ შესძელი ამ საბრალო ადამიანის გაუპატიურება“... — მეჯინიბეს თავზე ხელს ადებს.

ისღა აკლია გამოაცხადოს:



განაჩენი საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას!

ავსტრალიურ სექსსკანდალს იძიებენ არა მხოლოდ სამართალდამცველნი, არამედ სპეციალური საპარლამენტო პოლიციაც. მინისტრი იძულებული გახდა, წარმდგარიყო სენატის წინაშე, მაგრამ განხილვის პროცედურის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ შეწყვიტა უსიამოვნო შეკითხვებზე პასუხის გაცემა და აცრემლებულმა დატოვა დარბაზი.

ცოტა ხნის წინათ მსოფლიოში სახელგანთქმულ მსახიობს **ᲟᲔᲠᲐᲠ ᲓᲔᲞᲐᲠᲓᲘᲔᲡ** სასამართლოში უჩივლა ახალბედა მსახიობმა, 2018 წელს გამაუპატიურაო. გამოძიებამ ვერ დაადასტურა, რომ მომჩივანი მართალს ამბობდა. ჰოლივუდში „გაუპატიურების ეპიდემიის“ მაგალითები ხომ პირზე აკერია ჭორიკანა მსოფლიოს.

დრო დადგა დაბრალებით ხელოვნებაში კარიერული აღმასვლის ჟინთაღვსებისა ნიჭთა არქონის გამო. ვერც ვერაფერს შეჰკადრებ — თავისუფლება უსაზღვროა, უფლებები — ყოვლისმომცველი. ამას გვიქადაგებს ნეოლიბერალურ ღირსებათა კოდექსი — ახალი რელიგია.

**ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ: რაც მე ათწლეულების განმავლობაში ლამაზი სიტყვები დამიხარჯია ქალებისთვის ნათქვამ კომპლიმენტებში, ჯერ ერთი, ისინი უნდა გაგიჟებულიყვნენ, მეორე — სამჯერ მაინც უნდა მომევლო გულაგი საბჭოთა საზოგადოების გახრწნის ბრალდებით გაციმბირებულ ვაიდონჟუანს.**

**და მაინც:**

**„აუ, რა კარგი დღე არის,**

**აუ, რამდენი ქალია“, — იოსებ გრიშაშვილის ნებართვით,**

**ა.ს.**



**ფილიპე, ბელგიის მეფე, 61 წლის**

ფილიპე ადრე სამხედრო მფრინავი იყო, შეიარაღებულ ძალებში გენერალ-ლეიტენანტობამდე მიაღწია. მეფე ამჟამად მხოლოდ ამიტომ არ არის შესანიშნავ ფორმაში. როგორც ბელგიის მონარქის გარემოცვა ამბობს, ის ყოველდღიურად სტუმრობს სავარჯიშო დარბაზს, სრიალებს თხილამურებით და სეირნობს ველოსიპედით.

სპორტი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1966 წლის მაისში მაო ძედუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ, გადაცურა მდინარე იანძი, რომლის სიგანე დაახლოებით 600 მეტრია. მაო იმხანად 73 წლის გახლდათ, ცურვა კი 1 საათსა და 50 წუთს გაგრძელდა. ჩინეთის ლიდერისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. თავისი სიცოცხლის განმავლობაში მან იანძი 42-ჯერ გადაცურა.
გთავაზობთ მასალას პოლიტიკოსებზე, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობით არიან გატაცებული.

# სპორტი და პოლიტიკა

## სპორტის რომელი სახეობებით არიან გატაცებული სახელმწიფო მეთაურები





### ანგელა მერკელი,

**გერმანიის კანცლერი, 67 წლის**

ვინ იფიქრებდა, რომ გერმანიის კანცლერი გააკვირვებდა იტალიელ ალპინისტ **რეინჰოლდ მესნერს**, რომელიც ფრაუ მერკელს სამხრეთი ტირილის მთებში ახლდა. მერკელმა ექვსი საათის განმავლობაში დაუსვენებლად იარა მთაში. მისი გამძლეობისა და ამტანობის საიდუმლოს ამოხსნა სურდა მასმედიას, მაგრამ გაირკვა, რომ არანაირი საიდუმლო არ არსებობს. უბრალოდ, მერკელს ფანატიკურად უყვარს სამთო-სათხილამურო სპორტი.





### ფილიპე VI,

**ესპანეთის მეფე, 53 წლის**

ესპანეთის მონარქს ორი სამხედრო სკოლა და სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემია აქვს დამთავრებული და სიყმაწვილიდან სპორტით არის დაკავებული. ის 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზეც კი ასპარეზობდა აფრისნობაში. ესპანეთის მეფეს, აგრეთვე, მოსწონს სპორტის ზამთრის სახეობები და მშვენივრად სრიალებს თხილამურებით.





### ბენიამინ ნეთანიაჰუ,

**ისრაელის პრემიერმინისტრი, 72 წლის**

ისრაელის პრემიერმინისტრი თავის ხალხს ჯანმრთელ ცხოვრებას ასწავლის. ჯერ კიდევ მინისტრთა კაბინეტში მუშაობისას მან კოლეგებს მოუწოდა, ევლოთ სავარჯიშო დარბაზში. თვითონ კვირაში ორჯერ დარბის სუფთა ჰაერზე, თამაშობს ფრენბურთს და რეგულარულად სეირნობს ფეხით.





### ვლადიმერ პუტინი,

**რუსეთის პრეზიდენტი, 68 წლის**

რუსეთის ლიდერი საბრძოლო ხელოვნების აღიარებული ოსტატია. ის 14 წლიდან ვარჯიშობს სამბოში, აქვს კარატე შავი ქამარი კიოკუშინკაიში, რომელიც კარატეს ყველაზე რთული და ხისტი სახეობაა. ამასთანავე, პუტინი ძიუდოთიც არის დაკავებული, თუმცა მისი სპორტული ინტერესები მხოლოდ ორთაბრძოლებით არ ამოიწურება. ის მშვენივრად დაჯირითობს ცხენით, ცურავს, სრიალებს თხილამურებით და კარგად თამაშობს ჰოკეის.







### ხალტმააგიინ ბატულგა,

**მონღოლეთის პრეზიდენტი, 57 წლის**

სამბისტი და ძიუდოისტი 1980-1990 წლებში, მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი სამბოში — ხალტმააგიინ ბატულგა 1963 წლის 3 მარტს დაიბადა ულან-ბატორში. დაამთავრა სახვითი ხელოვნების სასწავლებელი მხატვრის სპეციალობით.
2017 წლიდან არის მონგოლეთის პრეზიდენტი.



### ჯიგმე კესარ ნამგიელ ვანგჩუკი,

**ბუტანის მეფე, 41 წლის**

ბუტანის მონარქი ბავშვობაში ფეხბურთით იყო გატაცებული, მაგრამ თავისი მაღალი მდგომარეობის გამო სპორტის ამ სახეობაზე უარის თქმამ მოუწია — მოწინააღმდეგენი ვერ ბედავდნენ მისთვის ბურთის წართმევას, თანაგუნდელებს კი ეშინოდათ, ცუდად არ ეთამაშათ. ამიტომ ვანგჩუკი კალათბურთზე გადაერთო — ბუტანის მეფე ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშია, თავისუფალ დროს კი მოსწონს მშვილდის სროლა და მეუღლესთან ერთად ველოსიპედით სეირნობა.







### ჯასტინ ტრიუდო,

**კანადის პრემიერმინისტრი, 50 წლის**

ტრიუდომ ჯერ კიდევ 2012 წელს გაითქვა სახელი, როგორც მოკრივემ, როცა მოკრივეთა საქველმოქმედო მატჩში ნოკაუტში გაგზავნა სენატორი **პატრიკ ბრაზო,** თანაც ბრაზო გამოცდილი იყო ორთაბრძოლებში. მიუხედავად იმისა, რომ ტრიუდო თითქმის სულ დაკავებულია სამუშაოთი, რეგულარულად ვარჯიშობს კრივში. წინასაარჩევნო პერიოდშიც კი მას ხშირად ხედავდნენ კრივის დარბაზში. ტრიუდოს თქმით, „კრივი, უწინარესად, გასწავლის დარტყმების ატანას, ვიდრე დარტყმას“. კრივის გარდა, კანადელი პოლიტიკოსი დარბის, დაკავებულია სნოუბორდითა და კანოეთი ცურვით.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# «უკრაინის რეალური მფლობელი არის აშშ»

## «სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორთა შტაბი იყო აშშ-ის საელჩოში, მათ ეხმარებოდნენ ბრიტანელები»



**უკრაინის ყოფილ პრემიერმინისტრ ნიკოლოზ აზაროვს მიაჩნია, რომ მისი ქვეყნის რეალური მეპატრონე ამერიკის შეერთებული შტატებია.**

უკრაინაში ახალი სახალხო მღელვარების შესაძლებლობის კომენტირებისას **აზაროვმა** აღნიშნა, რომ ამისთვის ქვეყანაში უნდა იყოს ხალხის ინტერესების გამტარებელი რომელიმე პარტია. ეს მშვენივრად იციან ამერიკელებმა, ამიტომაც აკრძალეს რეგიონების პარტია. აზაროვის აზრით, რეგიონების პარტიას შეეძლო გამხდარიყო პოლიტიკური ძალა, რომელიც საჭიროა მასობრივი სახალხო გამოსვლებისთვის.

**„ეს კარგად იციან უკრაინის კურატორებმა, რეალურმა მეპატრონეებმა — ამერიკელებმა“,** — განაცხადა პოლიტიკოსმა რადიოსადგურ „ლაპარაკობს მოსკოვის“ ეთერში.

აზაროვმა ყველას შეახსენა 2014 წლის კიევის მაიდანი, რომელიც, მისი თქმით, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აქტიური ჩარევით მოაწყვეს.

**„სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორთა შტაბი იყო აშშ-ის საელჩოში, მათ ეხმარებოდნენ ბრიტანელები. ინგლისელები, ამ მხრივ, დიდი სპეციალისტები არიან, ოლიგარქები კი ამ საქმეში დასავლეთის ხელშეწყობით ჩაერთვნენ“,** — აღნიშნა ნიკოლოზ აზაროვმა.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (МАДИ) საქართველოში ატარებს საერთაშორისო ინტელექტუალურ კონკურსს და იწვევს მოსკოვში სწავლის მსურველებს

## «ყველა გზა მიდის МАДИ-ში!»




**კონკურსში შეირჩევა ხუთი გამარჯვებული.
ყველა მათგანი ჩაირიცხება და უფასოდ ისწავლის უნივერსიტეტში.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, ლიცეუმების და ა.შ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს.

კონკურსი ჩატარდება მათემატიკაში ონლაინ-ტესტირების ფორმით. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსში მონაწილეობისთვის ონლაინ რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და დამთავრდება ა.წ. 15 აპრილს. საკუთრივ კონკურსი გაიმართება 17 აპრილს, შედეგები გამოცხადდება 28 აპრილს.

გამარჯვებულებს გამოეყოფათ ხუთი საბიუჯეტო ადგილი ბაკალავრიატის შემდეგ მიმართულებებზე:

08.03.01 მშენებლობა, პროფილით „ავტოსაგზაო ხიდები და გვირაბები“; „საავტომობილო გზები“; „აეროდრომები“.

13.03.02 ელექტროენერგეტიკა და ელექტროტექნიკა, პროფილით „ავტომობილების ელექტრომოწყობილობა და ელექტრომობილები“.

23.03.01 სატრანსპორტო პროცესების ტექნოლოგია, პროფილით სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“; „საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება“.

23.03.03 სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების და კომპლექსების მართვა, პროფილით „საავტომობილო სერვისი“.

38.03.02 მენეჯმენტი, პროფილით „მიწოდებათა ჯაჭვების ლოგისტიკა და მართვა“; „ორგანიზაციის მენეჯმენტი“, „პროექტის მართვა“.

**სტუდენტებს გამოეყოფათ ადგილი საერთო საცხოვრებელში, სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას.**

**გაიმარჯვეთ კონკურსში და ჩამობრძანდით მოსკოვში უფასოდ სასწავლებლად!**

**რეგისტრაცია კონკურსში მონაწილეობისთვის ვებ-გვერდზე: grant.madi.ru**

**საკონტაქტო ელ. ფოსტა: grant@madi.ru**

**კონკურსის ცხელი ხაზი: +7-499-155-0171 / +7-928-497-5555 (WhatsApp / Telegram / Viber).**

**მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის (МАДИ) შესახებ საერთო ინფორმაცია შეგიძლიათ გაეცნოთ მათ ვებ-გვერდზე: madi.ru**

# ВСЕ ДОРОГИ ВЕДУТ В МАДИ!

**Московский автомобильно-дорожный государственный технический университет (МАДИ) приглашает молодежь Грузии принять участие в Международном интеллектуальном конкурсе „Все дороги ведут в МАДИ!“. Участвовать в конкурсе могут учащиеся выпускных классов школ, гимназий, лицеев, а также студенты колледжей и техникумов Грузии.**

Победители конкурса получат **право на бесплатное обучение в МАДИ**, а также место в общежитии. Кроме того, отметим, что стипендии в МАДИ — одни из самых высоких по Москве!

Конкурс пройдет в дистанционном формате. Для участия в конкурсе **регистрируетесь** на сайте grant.madi.ru. **до 15 апреля** и пройдите **онлайн-тестирование по математике 17 апреля**. Побеждайте и приезжайте учиться в Москву!

**Перечень образовательных программ международного интеллектуального конкурса „Все дороги ведут в МАДИ“ в 2021/22 учебном году:**

08.03.01 Строительство (профиль: „Автодорожные мосты и тоннели“, „Автомобильные дороги“, „Аэродромы“).

13.03.02 Электроэнергетика и электротехника (профиль: „Электрооборудование автомобилей и электромобили“).

23.03.01 Технология транспортных процессов (профиль: „Организация перевозок и управление на транспорте“, „Организация и безопасность дорожного движения“).

23.03.03 Эксплуатация транспортно-технологичесих машин и комплексов (профиль: „Автомобильный сервис“).

38.03.02 Менеджмент (профиль: „Логистика и управление цепями поставок“, „Менеджмент организации“, „Управление проектом“).

**Международный интеллектуальный конкурс „Все дороги ведут в МАДИ“ пройдет в онлайн формате на сайте grant.madi.ru и состоит из двух этапов:**

**I ЭТАП (подача заявок — регистрация на участие в Конкурсе) пройдет с 15.02.2021г. по 15.04.2021г.;**

**II ЭТАП (тестирование): 17.04.2021г. — математика. Результаты будут объявлены 28 апреля.**

**Более подробная информация: grant.madi.ru**

**КОНТАКТЫ: e-mail: grant@madi.ru**

**Телефон: +7-499-155-01-71**

**Горячая линия Конкурса: +7-928-497-55-55 (WhatsApp / Telegram / Viber, ежедневно с 10:00 до 20:00)**



# 2021 წელს მსოფლიოში გაყიდული სმარტფონების 71%-ს ხელოვნური ინტელექტი ექნება

**Strategy Analytics-მა გამოაქვეყნა ახალი ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2021 წელს მსოფლიოში გაყიდული სმარტფონების 71%-ს ხელოვნური ინტელექტით ექნება.** „სმარტფონის მწარმოებლები მოწყობილობებზე AI-ს (ხელოვნურ ინტელექტს) სულ უფრო ხშირად იყენებენ. ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება სმარტფონის სხვადასხვა მახასიათებელში, როგორიცაა ენერგიის ინტელექტუალური ოპტიმიზაცია, გამოსახულების დამუშავება, ვირტუალური ასისტენტებისა და მოწყობილობის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ხელოვნური ინტელექტის წყალობით Google Assistant უფრო ჭკვიანი და მოხერხებული გახდა თავის სფეროში. თუ 2021 წელს სმარტფონების 80%-ზე მეტს ეყოლება ვირტუალური დამხმარე, 2025 წლისთვის მათი წილი 97%-მდე გაიზრდება“, — წერს Strategy Analytics.



# მფრინავი ტაქსები და კაფსულები — როგორი იქნება გადაადგილების უახლესი საშუალებები დუბაიში

**ბოლო ათწლეულებია, არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქი დუბაი მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული ქალაქი გახდა. ქალაქის ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანია — არსებობს გართობისა და დასვენების უამრავი საშუალება, ეწყობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლესი აღმოჩენების პრეზენტაციები და სხვ.**

ქალაქში, სადაც 3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტ ტურისტს ემსახურებიან (პანდემიამდე), შესაბამისად, დუბაის გადაადგილების თანამედროვე, კომფორტული და უსაფრთხო საშუალებები ესაჭიროება.

ბოლო 15 წლის განმავლობაში ქალაქის ტრამვაისა და მეტროს სისტემა გაფართოვდა, ამოქმედდა წყლის ტაქსები, გამოჩნდა უამრავი ელექტრომობილი და სხვ. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის და დუბაიში მალე შეიძლება ისეთი ტრანსპორტი ვიხილოთ, რომელიც აქამდე მხოლოდ ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში თუ გვინახავს.

სწრაფი გადაადგილების **კაფსულები** მომავლის უსწრაფესი საშუალებაა, რომელიც ახლახან ლას-ვეგასში გამოსცადეს. Euronews-ის ინფორმაციით, გადაადგილების ახალი საშუალება არაბთა გაერთიანებულ სამეფოში მალე დაინერგება და დუბაიდან აბუდაბიმდე 140-კილომეტრიანი გზის გავლას 12 წუთი დასჭირდება, მაშინ, როდესაც ავტომობილით ამ გზის დაფარვას 1 საათზე მეტი დრო სჭირდება.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც დუბაიში განხორციელდება, არის **მფრინავი ტაქსები**. ქალაქის ტრანსპორტის სააგენტოს უფროსის თქმით, დუბაი გახდება ერთ-ერთი პირველი ქალაქი მსოფლიოში, რომელშიც მფრინავი ტაქსებით ყოველდღიურად გადაადგილება შესაძლებელი იქნება.

ქალაქში ასევე დაგეგმილია ავტომატურად მართული ავტომობილების სისტემის დანერგვა, რაც ავტომობილით გადაადგილებას მძღოლის გარეშე გულისხმობს.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894